


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



დ ე კ ე მ ბ ე რ ი



რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს, ვისევედაც დარჩენილია წარსული წლის ჟურნალის ფასი უსათუოდ დაჩქარებით გამოკვანონ და დროზე გვაცნობონ თუ სურთ ჟურნალი 1915 წლისათვის

---

**შინაარსი:** 1) რედაქციისგან. 2) სქესობრივი საკითხი ჰედაგოგიაში—**ლ. ცაგარელი.** 3) ძირითადი იდეები აწინდელი ჰედაგოგიის (ფრ. ჰანსბერგი)—**კატო ბაქ—ძე.** 4) ახალი ხანა სამკურნალო მეცნიერებაში—**ექიმი ბადრიძე.** 5) სოფლის მსწავლეულთა საგულისხმოდ—**პროგრამა სამშობლოს შესასწავლი მასალების შესაკრებად—ლ. ჩიმაკაძე.** 6) მუსიკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა—**მ. რევია.** 7) კიკნა ჰემეები—**დ. თურდოსპირელი.** 8) ზარის ხმა—**გელა.** 9) სულთა-თანა—**ლადო გეგეჭკორი.** 10) ბედის ვერსკვლავი—**ილია გოგია.** 11) მსწავლეული—**ი. სინარულიძე.** 12) ნათელას, ჰანგები, ალბომში, ნუღარ ქვეთინებ, ელეგია—**გ. ლეონიძე.** 13) სამარქსთან—**მ. ჭრელაშვილი.** 14) ჩემს შვილებს (ვაგნერიდან)—**შ. ასათიანისა.** 15) მართული კაბა—**კატო ბაქ—ძე.** 16) შინაური შიშობილვა—**კახაბერი.** 17) სახალხო განათლება ოსმალეთში. 18) დაკვიანებული გამოხმაურება—**სამსონ მუმულია.** 19) საერთო სკოლები—**მ. რევია.** 20) თათბირი მსწავლეულთა საშენისო კასის შესახებ—**ლადო ბზვანელი.** 21) ბიბლიოგრაფია—**განსოვდე წერა-ლამაჩაკის დრეს ჰ. მირიანიშვილისა.** 22) შინაარსი 1914 წლისა. 23) განცხადებანი.

**დამატება:** ოქმი ქარ. შორის წერა-კით. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა, 9 ნოემბრის 1914 წ.

---

რედაქციას ჰუავს აგენტები შემდეგ ადგილებში:

**კავკავში**—ქართული სკოლა დ. მაჭავარიანი. **ბაქოში**—ალ. ერაზ. გვარამაძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. **ბანძაში**—ესტატე მონიავა. **თელავში**—ნინო გოგნიანიშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მალაზიაში. **გორში**—ნინო ანტ. ლომოურის ასული, **ყვირილაში**—სიმონ ორჯონიკიძე. **ჭიათურაში**—ი. გომელაური, **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძე, დომ. ოყროშიძე და ლაზ. ხმალიძე. **სამტრედიაში**—წ. კ. საზ. კიოსკში. მინა კოპალეიშვილი. **ხონში**—ელადიმერ ნადარეიშვილი. **ახალ-სენაკში**—სპ. ენუქიძე. **აბაშაში**—ვასილ ქობულია, **ძველ-სენაკში**—პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, **ფოთში**—მლ. ლ. წულაძე და იასონ ალექსიშვილი. **ბათომში**—წიგნის მალაზია „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრიფ. ინასარიძე, **ლანჩხუთში**—პლატონ იმნაძე და კალინიკე ჟღენტი. **ახალციხეში**—კოტე. გვარამაძე. **სიღნაღში**—წერა-კით. საზ. განყ. წიგნის მალაზიაში—ი. კრაწაშვილი და „კახეთის ხმის“ რედაქციაში—კ. ტყავაძე. **ოზურგეთში**—პარმენ თოთიბაძე. **სოხუმში**—ნიკო ჯანაშია. **ჩოხატაურში**—ს. თავათრქილაძე და ბართლომე მეგრელიძე (ხიდისთავში). **ონში**—სერგო რუხაძე, **განჯაში**—ლუკა ხარაძე, **სურამში**—ნატალია გაბაშვილისა. **სვანეთში**—ვარ. ძიძიგური, **ზუგდიდში**—უფასო სამკითხველოში. **როსტოვში**—სტ. სვ. ელიაძე. **ხაშურში**—გ. ნ. იოსელიანი.

სამეცნიერო-პედაგოგიური ჭ სალიტერ. ჟურნალი

# განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

<b>X</b>	<b>დეკემბერი</b>	<b>1914 წ.</b>
<p>ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.                  ნახევარი წლით . . . 3 მან.                  სახალხო სკოლების მასწავლებლებს                  ჟურნალი დაეთმობათ წლიურად                  3 მან.</p>	<p>ცალკე ნომ-                  რის ფასი</p> <hr/> <p>40 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება <b>თფილისში</b> „წერა-                  კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში“                  „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და                  ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ და                  რესით: <b>Тифлисъ. Дворянская Грузинская</b>  <b>Гимназія. Л. Г. Боцвадзе.</b></p>

## რედაქციისაგან

სუდი დრო დაუდგათ ისეთს თვიურს ჟურნალებს, რომელთაც სპეციალი დანიშნულება აქვთ, რადგანაც ხუთს თვეზე მეტია, რაც მთელი ქვეყნის ყურადღება საერთაშორისო ომისკენა მიპყრობილი და სპეციალ საგნებისა და კულტურულ მუშაობის საქმე ისე, როგორც ჩვეულებრივს პირობებში, საზოგადო ყურადღებას ვერ იპყრობს და ეს საგანიც ასეთს დროში ჩამოქვეითებულია და დიდ ნივთიერ კრიზისსაც განიცდის. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგი რუსული პედაგოგიური ჟურნალი მაგალითად „Для народного учителя“, „Народный учитель“ და სხვა დროებით შე

ჩერებული იქმნა. თუ რუსული ჟურნალები, რომელთაც აუარებელი მკითხველი და ხელის-მომწერელი ჰყავს, უსახსრობის გამო შეაჩერეს, რა უნდა ექნა ასეთს პირობებში პარალელის-მომწერთა და მკითხველთა ხედვებზე და სახსენებელია რუსულ ჟურნალების მკითხველებთან. ბევრი, ბევრი შავი ფიქრი და სიმწარე გამოსცადა „განათლების“ რედაქციამ თავიდან, მაგრამ ყველაზე უფრო ამ უკანასკნელს წელს. თუ წრევანდლამდის „განათლების“ რედაქტორთაგან მცირე ჯამაგირსაც არ ჰხოვავდა ამ ჟურნალისათვის, წელს იგი ისეთს პირობებში ჩააყენეს, რომ

მისთვის ყოველად შეუძლებელი გახდა გარდა პირადი მუდამ უსასყიდლო შრომისა, საკუთარის საშუალებით რამე ელონა და ისიც იმ დროს, როცა ყველაფრის ხარჯმა წელს მეტი-მეტად იმატა.

ღიად, აწ უკვე წარსული წელი ბევრს სიმწარეს მოაგონებს „განათლების“ რედაქციას, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია, რომ მკითხველებისა და ხელის-მომწერთა წინაშე ასეთს გასაჭირიან წელსაც პირნათლად გამოვიდა. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, „განათლების“ რედაქცია თან და თან აღწევს თავის მიზანს, მან არა ერთი სახალხო მასწავლებელი შემოიკრიბა „განათლების“ გარშემო, აამუშავა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ცდილობს შექმნას ზნეობრივი ძალა, რომელიც ქვაკუთხედია ქვეყნის წარმატებისა. ერთი სახალხო სკოლის მასწავლებელი სწერს ჩვენს რედაქციას: „მე „განათლებაზე“ ვფიქრობ, ცუდი დროა, ხომ არაფერი ელის უფულობის გამო? ამდენ ხალხს მაგის მეტი არ მოგვეპოვება რიგიანი ჟურნალიო“ და სხ. ამასვე გრძნობს ჩვენი ჟურნალის შესახებ არა ერთი სხვა მასწავლებელიც, რომლისთვისაც „განათლება“ უკვე არსებით მოთხოვნილებად გადაქცეულია. ჩვენ გვჯერა, რომ ისეთს პირობებში, როგორშიაც ჩვენა ვართ, „განათლებას“ შეუძლიან დიდი სამსახური

გაუწიოს ყველას მომავალშიაც, მისი არათუ დახურვა, დროებით შეჩერებაც-კი მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩნია, ამიტომ ამ ნომრით ვათავებთ-რა ჟურნალის არსებობის შვიდს წელს, იმედი გვაქვს მერვე წელშიაც მალე გადავდგებით და 1915 წელშიაც ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ ჟურნალმა თავისი დანიშნულება ღირსეულად შეასრულოს. მართალია 1914 წლის წლიურ ხელის-მომწერლებს განცხადების მიხედვით ვერ მივეცი დაპირებული სურათები—პესტალოცის, კომენსკის, უშინსკისა და რუსოსი, მაგრამ სამაგიეროდ დავურიგეთ გედევანი-შვილის პიესის „სინათლის“ ალბომი და ანდრია ყარაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული სიმღერა „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, რაც რედაქციას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. თუ ვინიცობაა რედაქციის საქმე მომავალს წელში გაუმჯობესდა, რედაქცია ეცდება არამც თუ მარტო დაპირებულის შესრულებას, პირიქით, ზედმეტსაც, რადგანაც ჩვენს რედაქციას არასოდეს რისმე გამორჩენის, რაიმე მოგების მიზანი არ ჰქონია და არც ექნება—რედაქცია კმაყოფილი იქნება იმისიც, თუ მომავალში შესავალი ხარჯს დაჰფარავს და ჟურნალიც უფრო ფართო სასურველ გავლენას მოიპოვებს მკითხველთა შორის.

# სქესობრივი საკითხი ჰელაგოგიაში

ფორელის თხზულებიდან

(დასასრული)

საყუბი და მასწავლებლები განდილები ერთად ბანაობენ. სქესობრივი საკითხი ზრდილობიანათ, გულ ახლით აიხსნების, როგორც ბუნებრივი რამ, რომელიც თავის თავად იგულისხმება. ვაყუბს და მასწავლებლებს შორის სრულ ნდობაზე და გულახდილობაზე დამყარებული ურთიერთობანი, სულიერ და ხორციელ არა იძულებითი მუშაობასთან დაკავშირებული, მათრობელა სასმელების სრულ განდევნასთან ერთად, საუკეთესო საფუძვლიანად მომჩენ და საწინაშო საშუალებას წარმოადგენს ჩიკობას, ნაადრულ სქესობრივად მომწიფების და სხვა სქესობრივ მახინჯ საქციელთა წინააღმდეგ, თუ უკანასკნელი თანდაყოლილი არ არიან. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთ სკოლებს ვერ შეუძლიან თანდაყოლილი ავადმყოფური სქესობრივი წადილებისაგან განკურნოს და თანდაყოლილ ნაადრულ სქესობრივ მომწიფებას ხელი შეუშალოს. მაგრამ არ მოიპოვება ინტერნატები, რომლებიც ამ მხრივ ასეთსავე ხელსაყრელ პირობებს წარმოგვიდგენდეს, რადგანაც რაწამს ბიჭს სქესობრივი მახინჯი საქციელები გამაჩნდება, ამის აღმოჩენა საჩქაროდ შეიძლება აქ. მე მიგითითებთ ვიდეგემ ფრეის წიგნზე.

ჩემს „ნერვების და სულის ჰიგიენაზე“, სადაც აგრეთვე ამ საკითხსაც ვარკვევდი.

ერთს ვერ ახერხებდა აქნობამდისინ ჩვენი ჰელაგოგია და ჩვენი სწავლება—ეს აღმიახების დაფასებას. აღამიანის სოციალური ღირებულება ფაქტორების ორ ჯგუფიდან შესდგება: ჩამომავლობითი მიდრეკილებიდან (სულიერებით და ხორციე-

ლებით) და აღზრდით ან სწავლით მიმყნილ ნიჭებიდან. რომელსავე სფეროში საკმარის ჩამომავლობითი მიდრეკილების უქონლად ვგეგა დარიგების და სწავლების ცდები, მომეტებულ შემთხვევაში, სამწუხარო მარცხს განიცდის ხოლმე. შესაფერ სწავლის მიუცემლად და უკარჯიშებლად ხშირად საუკეთესო მიდრეკილებანი იფიტებიან ან და ისეთ ნაყოფებს არ მოიტანენ, როგორის მოტანაც შეეძლოთ. მაგრამ ჩამომავლობითი მიდრეკილებებს არამც თუ მარტო ეგრედ წოდებულ ცოდნის დარგში აქვს მნიშვნელობა, როგორც, ერთი შეხედვით, გაბატონებული სკოლა ხშირად აღიარებს, არამედ აღამიანურ ცხოვრების ყოველ სფეროშიც, განსაკუთრებით კი სულიერში. კარგი მიდრეკილებანი ნების, გრძნობის, აზროვნების, ფანტაზიის სფეროებში, როგორიცაა განსაკუთრებით ხასიათის სიმტკიცე, მოვალეობის გრძნობა, სინდისიერება, თავის თავზე უფლობა, ლოლიკურად მსჯელობისა და ჭეშმარიტისაგან გარჩევის ნიჭი, აზროვნების და ეთიურ გრძნობის მხრივ კომბინაციების შექმნის ნიჭი გაცილებით უფრო მაღალ აღამიანურ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე შემეცნების და შეთვისების სწრაფი ნიჭი და სიტყვების და წინადადებების კარგი მენსიერება. თუმცა, ეს უკანასკნელი, თითქმის, ერთად ერთი არიან, რომლებიც ანგარისში მიიღებიან ჩვენ სკოლის გამოცდებში, პირველ-დაწყებიდან მოყოლილ უმაღლესმდე. განა უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ ასეთ ფესვიდან ვალბ ანუ ცალმხრივი მენაკის (დახატარავებული სიგრძის საზომი) ხმა-

რების გამო ყველაზე გამოფიტული ნაყოფები, სრულად ჩვეულებრივი კარიერის ტიპი, მხოლოდ სხვის ნათქვამის გამოცემების შემდეგ აღმავლები და ავტორიტეტის გუნდრუკის შემკები იჭერენ ყველა უმაღლეს ოფიციალურ და მომეტებულ უმაღლეს არა ოფიციალურ ადგილებს? კარგ მენსიერების და შეთვისების ნიჭის მქონეთვის ეს უფროსთა, სასულიერო წოდების ან მასწავლების უპროტექციოდაც შესაძლებელია! დასახელებულ ნიჭების უქონელი მეტად ნიჭიერნი, ხშირად მეტად გენიალური აღმავლებიც კი ბოლოზე მოიგდებიან ან მიკლავნულ გზებით, ერთ აუწიერელ ცოდვილობით და დროს დაკარგვით იწევენ წინ. (იხ. დამატ.). სოფლურ აღზრდის თავშესაფარებში ექიმმა გერმან ლიცმა მართლაც რომ სანიმუშო სოციალურ-პსიქოლოგიური სისტემა შემოიღო შეგირდების დაფასებისთვის. ყველა შედეგები უწინარეს უოფლისა ორ მენაკით ფასდება: ა) პირფუნქციით: წარმატებები უოფელთვის და სავსებით შეეფერება შეგირდის ნიჭს? ბ) ობექტიური: ბუნებრივ საშუალო აღმავანის მენაკით, ე. ი. ძალიან კარგები, კარგები, საშუალონი თუ ცუდები წარმატებები? მაგრამ შემდეგ პსიქოლოგიის და აღმავანურ მოქმედების სხვა და სხვა სფეროებში მიიღება ანგარიში, რაიც მხოლოდ ამ გვარ სკოლებშია შესაძლებელი, რადგანაც აქ მთლიან აღმავანს აღზრდიან:

I შედეგები ფიზიკური აკტიულობის მხრივ: სისადე, ავადმყოფობები, სხეულის სიმძიმე, მკვირცხლობა, ფეხით სიარული, სიბრძოლი, ცურვაობა, თამაშობები, თხილამურები, გიმნასტიკა და ჭიდაობა.

II უოფაქცივა: წესიერება, ტანის სისუფთავე, პირიანობა, (пунктуальность) სკოლის რვეულების სიფაქიზე etc.

III ეთიური და სარწმუნებრივი შედეგები:

ა) უოფაქცივა მიმართული: 1) მშობლები-სადმი (მიწერ-მოწერა); 2) მასწავლებლებისად-

მი; 3) სხვა შეგირდებისადმი; 4) კარგეში პირებისადმი; 5) თვის თავისადმი.

ბ) სიმართლიანობა; გულსმოდგინება და მოვალეობის გრძობა; თავის და მინდობილ საკუთრების განწესრიგებაში იმედოვნობა, ღირსია ნდობისა? კეთილსინდისიერია? სოლიდარობის და უანგარობის გრძობები.

გ) ძალა: 1) ეთიურ გრძობისა, 2) ეთიურ შეგნებისა, 3) ეთიურ ნებისა.

IV გონებრივი (ინტელექტუალური) შედეგები:

ა) პრაქტიკული მუშაობანი: მუბაღება, სოსოფლო მეურნეობა, დურგლობა, ხარატობა, ზეინკლობა, სამჭედლო მუშაობანი.

ბ) ხელოვნება; საქანდაკო მუშაობანი (ЛѢПНЫЕ РАБОТЫ), ხატვა, წერა, მჭევრმეტყველება, დეკლამაცია, მუსიკა.

გ) ცოდნანი: 1) ლიტერატურული-ჰუმანიური, 2) ფიზიკო-მათემატიკური და საბუნებისმეტყველანი (აქ საყოველთაოდ ცნობილ წვრილმანებს გამოვტოვებ).

V საზოგადო შედეგები:

ა) ძალა: 1) ხასიათისა; 2) სხეულისა; 3) გონებისა (ინტელექტი); 4) დაკვირვების ნიჭები; 5) ფანტაზიისა; 6) მსჯელობისა.

ბ) დაფასება: 1) პრაქტიკული; 2) მხატვრობითი; 3) მეცნიერულ წარმატებათა. ასეთ მენაკით გაზომილი, მოწაფის აღმავანური ღირებულება სრულად სხვა გამხატვლებს მოიპოვებს, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლურ გამოცდების მენაკით გაზომის დროს. ასეთ ილეთით დაფასების დროს გაცილებით მეტ, — მართალია, მაინც შედარებით მეტ — სინამდვილით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა გამოვა ამა თუ იმ აღმავანისაგან; ცალკე მუხლები ამასთანავე შეიძლება შეცვლილიყო ხელმე. არა მგონია საჭირო იყოს იმის დამატება, რომ ამ სკოლებში გამოცდები არ არსებობს, რადგანაც მთელი სიცოცხლე იქ — გამუდმებული გამოცდაა.

ადამიანთა მართებულ დაფასების საფუძველზე (ბაზისზე) შესაძლებელი იქნება მხოლოდ სწორ, შეგნებულ ადამიანურ შერჩევის დამყარება.

რამდენიმე ისტორიული მაგალითები გვიჩვენებს, თუ ჩვეულებრივი სკოლა როგორ ცუდად აფასებს ადამიანებს. თავის „თვით შევლაში“, რომლის კითხვასაც გულით და სულით ვურჩევთ ეგვრას, საშუალო სმინისი გვეუბნება, რომ მხატვრებმა პიეტრო, დიკონტონმა და ტიმას გვიდამ სიჭაბუკეში მეტსახელებად მიიღეს: პირველმა „ვიროს თავი“, მეორემ „ტომა ჭკუა ჩლონგი“. სვიფტი დუბლინში გამცდებში ჩაიჭრა. ნიუტონი კლასში ერთი უკანასკნელ შეგირდთაგანი იყო. შერიდანი სკოლაში „გაუსწორებელ ზარმაცად“ ითვლებოდა. ელინბურგის უნივერსიტეტის პრაფესორი დელზელი ვალტერ სკოტზე ამბობდა: „სულელია იგი, — სულელიადაც რჩებაო“. ჩეტერტონი დედსთან შემდეგ აზრით იყო დაბრუნებული: „ტუტუცია, რომლიდგანაც თავის დღეში არაფერი გამოვაო“. პოეტი ბერნსი და ორთქლმავლის მომგონი სტეფენსონი სკოლაში „მხოლოდ როგორც მკლავ ძარღვიანები“ გამოიჩინებოდნენ. ნაპოლეონი და ველინგტონი „საკმაოდ საბრალო შეგირდები“ იყვნენ. ულის გრანტი ბავშვობაში „useless Cierant“ (უფარგისი გრანტი) იწოდებოდა. ჯემს უატტი ცუდი მოწაფე იყო და სხ. ეს ფაქტები იმდენად შეგვიანებულ ტვინის განხილვით არ აიხსნება, როგორც ფიქრობს სმინი, რამდენიც იმ ფიზიკით, რომელსაც ჩვენი სკოლების სწავლა დამოუკიდებლად მოაზროვნე, კომბინაციების შემქნელ გონებებში იწვევს; ამათანა ადამიანების გულისყური უარობს სამსახურს, როცა ტვინის დატვირთვა მშრად, ზეპირად ნასწავლ ნაყარნუარით, ამასთანავე ხშირად შეესაბამა ან ერთი მე-

რის სწინააღმდეგო და გამოფიტულ მასლით ჰსურთ ხალხი.

ეგვრებს იწვევს ესაა შეგნება, რომ ორთავე სქესის ერთად აღზრდა არაფერს აწვებს, პირიქით, როგორც სქესობრივის, ისე ეთიურის მხრივ სასარგებლოც კია. უმაღლეს სსწავლებლებში ამან უკვე მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა, მცირე წლოვანთა სკოლებში და ბევრ პირველადწებებთ სკოლებშიც იგი დიდხანია შემოდებულა; ეგვრასე უფრო მას საშუალო სსწავლებლებში ეწინააღმდეგობან. თუმცა, ჰოლანდიის, იტალიის, ვინტერტუნის (შვეიცარია) გერმანიებში შემოიღეს, შემოიღეს და ამისაგან ვნებას ვერ ჰხედავენ, პირიქით, დიდათ სასარგებლოც აღმოჩნდა. უკანასკნელ ხანებში ერთად სწავლის სასარგებლოდ მხურვალე აზრები გამოსთქვა ფინლანდიელმა ქ—ნმა მაკი ფრიბერგმა, მის ქვეყანაში მშენიერ შედეგების მიღების გამო. სქესობრივ აღეგებისა ეშინიანთ. მაგრამ ეს შეცდამაა, რადგანაც სწორედ დღემოდამ მხლობლად ეფენის ჩვეულება, გვერდით ჯდომა და სხ., როგორც დაფინანსეთ, სქესობრივ აღეგებას აჩვენებს. აკრძალული ხილი თავის სიმშენიერეს ჰკარგავს, თუ იგი უკვე აკრძალულად არ გვეჩვენება და მისი ახლო გამინჯვა ხშირად შეგვეძლება.

თავის თავად იგულისხმება, რომ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, ინტერნატებში ქალები და ვაჟები ერთ ოთახში უნდა იწვნენ, ან ერთად უნდა იბანებოდნენ ხალხი; ჩვენი ზნეები ჯერ კიდევ ისეთები არ არის, რომ იმ ინდიელ ქაღის შეხედულებით ვინელმძღვანელოთ, რომელიც მე-VI თავში მოვიხსენიეთ, და რომელიც უზრდელობად სთვლიდა სხვები წინაშე ტანისამოსში წადგომას, რადგანაც ტიტველად სიარულს მიჩვეული იყო. მაგრამ აქ ლაპარაკი ინტერნატებზე კი არა გვაქვს, არამედ საზოგადოებრივ სკოლებში ერთად აღზრდაზე.

რცა აღზრდაზე დაზარალებულნი, ჩვეულებრივ ეხლაც კი გვეითები ხელში იმაზე, რომ ქალის ბუნება და მოწოდება კაცის ბუნებისაგან და მოწოდებისაგან (დანიშნულები-საგან) განირჩევა, ამიტომ აღზრდაც სხვა და სხვანაირი უნდა იყოს. ამაზე შეგვიძლიან ვუბახუროთ, რომ საქვეყნოს ნივთები, ადამიანური ცოდნის და მოქმედების თბიქტუ-ტები, ერთი სიტყვით სწავლების და შესწავლის საგნები, ერთი და იგივეა. რაკორც არ არის კათოლიკური და პროტესტანტული ქიმიკა, კათოლიკური და პროტესტანტული მცენარეები, ცხოველები, მთები და ზღვები, სწორედ ისევე შეუძლებელია ამ საგნის და-ყოფა საგნებზე „ვაჟებისთვის“ და საგნებზე „ქალებისთვის“. იცვლება მხოლოდ შეცნობის ანუ ტაგების იდეით (წესი) და მათი გამოყუ-ნება ადამიანისაგან. მხოლოდ ამ აზრით შე-გვიძლიან ვსთქვათ, მაგ., კათოლიკურ ან ფრანგულ ხელფანებაზე, პროტესტანტულ ლიტერატურაზე და სხ. ენების შესწავლის საგნებია; გერმანიაში დაბადებული ფრანგი ნემეცურ ლიტერატურას შეითვისებს, ჰარმზ-ში დაბადებული ნემეცი—ფრანგულს. მაშას-დაძე შესწავლის მასალები ორსავე სქესისთვის საერთოა. ამიტომ ერთსა და იმავე დროს ძა-ლის გაფლანგვად და უსამართლობად გამოდის ამ მასალის ცუდი გამოცემის მოწეობა და მდებარე სქესის ცუდად სწავლება.

ყოველ სასწავლებელ საგნის გადაცემა უნ-და რაც შეიძლება უკეთესი და სრული იყოს, სქესების მიუხედავად. ამისივე თქმა შეიძლება ამ საგნების შესახებაც, რომლებიც, ჩვეულებ-რივ, განსაკუთრებით საქალებოდ ითვლება, მაგალითად კერვა, ხარშვა, ოჯახის მოვლა და სხ. შემდეგ საერთო მასალა ყოველმა სქესმა თავის განსაკუთრებულ ნიჭების, საკუთარ გენიის შესაფერისად უნდა შეი-თვისოს, გადაამუშაოს და გამოიყენოს ხოლმე. სწავლის ერთი ნაწილი, სოციალური

მინიმუმი (სულხაკლები), ყველასათვის სავალ-დებულად იქნება, მეორე, რომელიც მეტ ჰი-რად განვითარებას ჰგულისხმობს (ნიჭის და ნების მიხედვით), ფაკულტატიური (რომლის-სა-შე დარგის სრული შესწავლა). უკვე სავალდე-ბულად ნაწილში შეიძლება, მიუხედავად ერთად აღზრდისა, ზოგიერთი დარგები სავალდებუ-ლანი გავხადოთ ერთ სქესისთვის და ფაკულ-ტატიური მეორესთვის (მაგ., კერვა და გო-მეტრია). მაგრამ ყველა ის, რაც სავალდებუ-ლად საზღვრებს ჰქმნდება, ფაკულტატიურად რჩება, ისე რომ თავისუფლად შეგიძლიანთ ეს თუ ის მეცადინეობა ამოიჩინოთ, რე-გორც ეს ეხლა უმაღლეს სასწავლებლებში ხდება. ამ შემთხვევაში ყოველი ადამიანი, ქალი იქნება იგი თუ კაცი, რაკორც თავი-სუფლად ბუნებაშია, თვითონ დაიწყებს ძებნას და საკუთარ გზის პოვნას და ცოდნის საგნე-ბის საკუთარ გენიის შესაფერისად გადაამუშა-ვებას.

ქნი პროფ. ფუკსი, დაბადებით ვოლოფინ-გი, რომელიც რუსეთს მშვენივრად იცნობს, შემდეგს მატყობინებს: „რუსეთში (რუსეთის პოლონეთში), სადაც ქალების საშუალო სას-წავლებლები ორმოცი წლის განმავლობაში ვაჟების გიმნაზიებთან დახლოებით ერთს საფეხურზე სდგას, ორი მოვლენა ემჩნევა, რომელიც დასავლეთ-ევროპელების მაგარ დაპირისპირებას (კონტრასტს) წარმოადგენს. პირველად, იათი და კარგი საშუალო სკოლა იმას ახდენს, რომ საშუალო წლის ქალების უმეტესობა კაცილებით უფრო მეტ დარბაის-ლურ მოკიდებას გვიჩვენებენ ცხოვრებასთან, სოციალურ და მეცნიერულ დარგებისაღმი გა-ცილებით უფრო მეტ მისწრაფებას იჩენენ, ვიდრე თანამედროვე დასავლეთ-ევროპული ქალები; რაც შეეხება ინიციატივის გამოჩე-ნას ხანდისხან ისინი თანამემამულე კაცებსაც კი აჭარბებენ ხელში. მეორედ, და ეს ყვე-ლაზე უფრო განსაცვიფრებია, იქაურმა კაცებ-



მა არ იცინა დასავლეთ ევროპაში ასე ჩვეულებრივი მოვლენა—ათვალწუნებით მოპყრობა ქალთან. გიმნაზიელი ვაჟები გიმნაზიელ ქალებში თავიანთ თანასწორებს (ხშირად მათ უადრესობასაც კი აღიარებენ ხოლმე) ჰხედვენ, დასავლეთ ევროპაში კი უკვე ათი წლის პირველი კლასის მოწაფე ვაჟი ქალების წინაშე თავის უპირატესობას ჰგრძნობს, რადგანაც იცის, რომ უკანასკნელს ბევრად ნაკლები სწავლა უხდება. ეს ათვალწუნებითი მოპყრობა დასავლეთ ევროპაში ვაჟში ისე იდგამს ფესვს, რომ, შემდეგ, ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვეღარ ახწევს მას. რუსეთის პრაქტიკოსები, როგორც ერთი აღმნიანი, უკვე 30 წლის წინეთ მოსთხოვდნენ მთავრობას უმაღლეს სასწავლებლებში ქალების მიშვებას და ამით თხოვნების გულგადამლევი გზას აცდინეს ისინი, გერმანიაში და ავსტრიაში ქალებს უკვლავ უნივერსიტეტის, უკვლავ ფაკულტეტის, ხშირად სათითაოდ პრაქტიკოსებისაც კი ბრძოლით ადგება მოუხდათ, თითქმის რაღაც ციხე-სიმაგრეები უოთუილიყვნენ. რუს კაცებს ვერც კი გაეგოთ, ქალიშვილები, რომლებიც საშუალო სკოლებში იმავე გაკვეთილებს ამზადებდნენ, რომლებსაც ისინი, რატომ უნდა გამხდარიყვნენ ერთბაშად მეცადინეობის გაკრძელებისთვის უნიჭონი. დასავლეთ-ევროპაში ქალების მისწრაფება, რომლებიც თავიანთ სქესისთვის უმაღლეს სასწავლებლის გაღებას ცდილობდნენ და იმას კი უურადლებას არ აქცევდნენ, რომ შესაფერ ქალთა რიცხვი გაამრავლონ ქალიშვილებისთვის უკვლავ კარგ და იათ საშუალო სასწავლებლების გახსნით ან მათთვის ვაჟების სასწავლებლებში მიღების უფლების მოპოვებით, როგორც ეს რუსეთშია, ჩვენ იმ აღმნიანებს მოგვაგონებენ, რომლებიც სახლის აშენების დაწყებას ბანიდგან ფიქრობენ. რუ-

სეთში ქალიშვილების სწავლა-გიმნაზიაში სულ 30—40 მან. ღირს წელიწადში“ \*).

ქ-5 პრაქტიკა. ფუქსის ამ დაკვირვებებს შემოქმედის მხოლოდ მივესალმო და მხარი დაუჭირო. რუსეთსაც კი აქვს ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი. ჩვენს გიმნაზიებს და საშუალო სკოლებს კარგი რეფორმები ესაჭიროება. ჩემის აზრით, ორთავე სქესის ერთად სწავლა ამ რეფორმის პირველი მუხლი, და ეს სწავლა უფრო იათი და მიზანშეწონილი უნდა იყოს, ვიდრე ეს რუსეთის ქალების გიმნაზიებშია.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ, სუბიექტურად, აქნობაჰდისინ უკუღმართად გაგებულ მხარე სქესობრივ პედაგოგიის თანდაყოლილ სქესობრივ მახინჯ საქციელთ შეეხება. გავრცელებული შეხედულება, რომელიც უფრო სქესობრივ არა ბუნებრივობაში მოხვედრულ ბიწიერებას ჰხედავს, რასაც უუდიდეს ზნეობრივ აღმოფთებით უნდა მოვეკიდეთო, მეტად ცუდ შედეგებს ჰბადებს. ამას ჯიულობა სრულიად შემცდარ ცნებებამდის მიჰყავს და მშობელთათვის და აღმზრდელებისათვისაც ჭკუამართებას აბუნდოვანებს. მე-VIII თავში სქესობრივ პედაგოგიის საზიზღარ მოვლენებს განძნან არ შეეხებით ვრცლად. უფრო მაღალმზრდელობა და მშობელმა კარგად უნდა იცოდნენ ისინი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ეს მოვლენები ბავშვობაში იწეება ხოლმე. სქესობრივობის მხრივ გაფუჭებული ბავშვი ვიდრე გაიკებდეს, რომ მისი სასიუვარულო მიდრეკილებანი ანუ წადილნი სხვებისაგან არა წესიერად ანუ არაბუნებრივად მიიჩნევიან, იქნობამდისინ ბევრი ხანი გაივლის. მისი არაბუნებრივი წადილის მსიხიური ანარკენები

\*) რუსეთელი მკითხველი შეამჩნევს, ჰაი ჰაი, რომ ზემორე მოყვანილი საბოთები რუსეთის სინამდვილეს მთლად ვერ შეესაბამება. შენ. რედ. რუსულ გამოც.

ხშირად უგულვალა უფრო წმიდას, სანუკარს და საკუთარ კრძნობებიდან უგულვალა ინტიმურ (მანკობელ). ბურჟუაზი მცდელობას და ბრძოლის საგანს წარმოადგენს მისთვის; გარდა ამისა ეს ანარქისტები ამხანაგების ბუნების და მისწრაფებათა წინააღმდეგ მიდის, რის გამოც მის და მის გარშემო მდგომთ შორის ერთმანეთის გაგება ვერ ხდება ამ მხრივ. ბავშვის მიდრეკილებანი დაცინვებს, გაუგებრობას, ან ზიზღს გამოიწვევენ. შიში და სირცხვილი მახინჯ გულის თქმებთან მორიგეობდენ. მხოლოდ ხელა-ხელა და გვიან, ასაკში შესვლის ჟამს, სქესობრივობის მხრივ მახინჯს თანდათანობით უდგება წინ განსაკუთრებითი მდგომარეობა ქვეყნიერებაზე. იგი შეუწყნარებლად, მარტოდ, მომავალზე იმედ დაკარგულად ჰკრძნობს თავს, ჰხედავს, რომ მისი იდეალები და კრძნობები ადამიანებისგან მიიწვევიან ვითა სასაცილო კარიკატურა ან როგორც სასჯელის დირსი საშიშროებაც კი; ჰკრძნობს, რომ იგი ამიტომ იძულებულია თავისი ვნება მალოს, როგორც დამნაშავე. რადგანაც მისი ხასიათი ძალიან ხშირად იმპულსიური (შეუგნებელ წადილებით იძულებულია) სუსტია და მძლავრ, ხშირად ნაადრულ სქესობრივ წადილს უერთდება ხოლმე, ამიტომ იგი ადვილად უხვევს გზას; ეს განსაკუთრებით მაშინ უფრო ხდება ხოლმე, თუ დამოუკიდებლობის ან ერთნაირად მოაზროვნე, მახინჯ ვნებების ამხანაგებს იპოვინს. ასე შესდგება ხოლმე უკვე საშუალო სასწავლებლებში ქართვა გამოსეპსულების ჯგუფები; ურწინგი ქალწულები დიდის ეშმაკობით ახერხებენ მეგობრების შეცდენას ინტერნატებში და სხ. საკმარისია მიგვადოს ურადდება ამ მოვლენებს, რომლებიც დღემოდამ ხან აქ, ხან იქ მოკრდება და სასკოლო აურზაურს იწვევს, რომ დაკვირვებულ წინასწარ შეუგონებელ ადამიანისთვის ცხად ვუთ, რომ ამ მიზეზების გამოც, და განსაკუთრებით სწორეთ ამ მიზე-

ზების გამო, ბავშვებისთვის სქესობრივ ერთერთობათა ადრე ახსნა, როგორც ჰიგიენის, ისე სიბრძნისა და ეთიკის მოთხოვნილებაა. ცხადია, თუ მშობლები და მასწავლებლები ძალდაუტანებლივ და ნებაყოფლობით, თუშეცხად საჭირო ზრდილობის დაცვით, ამ საგნის შესახებ ბავშვებს აზრებს გაუზიარებენ, მაშინ ბავშვებს საკუთარი სქესობრივი თავისებანი მალე უნდა გამოუაშკარავდეთ. ამ დროს გამჩნდებიან სქესობრივობის მხრივ ცივი და გულგრილი ქალიშვილები, აკრეთვე ისეთებიც, რომლებსაც, პირაქით, ერთიული კრძნობები და მიდრეკილებანი ადრე შეეცდობათ; თავის თავად იგულისხმება, რომ პირველებთან და მეორეებთან სხვადასხვანაირად უნდა ვილაშაქათ და მოვიქცეთ ხოლმე: პირველებთან შეგვიძლიან უგულვალაზე მოურიდებლად ვილაშაქათ; მეორეებს კი, პირაქით, უნდა ფრთხილად მოგვეცინეთ, დავითაროთ უოველგვარ სქესობრივ გაღიზიანებისაგან და საერთოდ ავი სენების (გენერული) შეეცხაზე, ქარწილ გარეშე შვილის უფალაზე და საერთოდ უნამუსო ადამიანებისაგან შეცდუნებაზე მაუთითოთ. შემთხვევას, შეგხვდებიან ისტერიანი ბუნებები, ურწინგულ მიდრეკილებიანი, რომლებიც ქალწულებსვე შეიფარებენ, ვაჟებისადმი კი სქესობრივ ზიზღსა ჰკრძნობენ; შეიძლება საღისტი ქალიშვილებიც აღმოაჩინოთ. ვაჟებსაც ასეთივე განსხვავებანი შეეცდობათ სქესობრივ წადილის სიმძლავრეში და განვითარების ხანაში; ორთავე სქესს დიდი ურადდება უნდა მიექცეს ჩიკნობის მხრივ. დაბოლოს, გულმოდგინე დამკვირვებელი არა იშვიათად წააწუდება ვაჟებს შორის გიმოსეპსუალურ წადილებს, უფრო იშვიათად სხვა მახინჯ თავისებებს, როგორებიცაა საღიზიმი, მაზოხიზმი, ფეტობიზმი და სხ.

ასეთ დაკვირვებათა დიდი უპირატესობა იმაშია, რომ სქესობრივობის მხრივ მახინჯ ბავშვზე განსაკუთრებული ურისკდება შეგვი-

ძლიან მოვალეობა და უწინარეს ყოვლისა არ მივხატებთ მათ ინტერნატივში, სხვათა დიდს განსჯილად ვარდობან. გომოსექსუალის მდგომარეობა ინტერნატივში, როგორც უკვე მოხსენიებული იყო, შეიძლება ბუნებრივ უმწიფეს შვიდართ, რომელსაც ნება აქვს დართული ქალიშვილებთან ერთს ოთახში იწვევს ხოლმე, და ამ სამოთხეს, მომეტებულ შემთხვევაში უურადლებას არაფერს აქცევს. მაგრამ, რაკი სქესობრივი მახინჯი საქციელები აღმოჩენილია, მაშინ აღებულ პირს, როგორც დამნაშავეს ან ბიწიერს და ცუდს აღამიანს კი არ უნდა მოვექცეთ, არამედ როგორც არა ბუნებრივ ნერვებით ავადმყოფს, რომელშიაც მისთვისაც და სხვებისთვისაც საფრთხეა ჩამალული. საჭიროა ვარჩინოთ იგი და ამავე დროს თავდარიტს შეუდგეთ, რომ ის გადაიდებ ბუნებრივად არ გადაიქცეს დანარჩენებისთვის. რაც შეეხება განსაკუთრებით გომოსექსუალებს, უწინარეს ყოვლისა მათ მზრუნველობით უფრო უნდა ეტყოს და სრულ-წლოვანობამდისინ სულ რჩენაში უნდა იყვნენ; შემდეგ ამისთანებთ შეუძლიანთ საკუთარი ოცნების ქალაქები აშენონ, ერთმანეთში ბეჭდები ცვალონ და ჯვარი იწერონ, როგორც ეს მათ უეგართ; ასეთი საქციელები უფლებები და შეიძლება მათ გამტკებლობაში დავტოვოთ. მოზრდილ ბუნებრივ აღამიანებს—თუ სქესობრივ საკუთებში შეტყობულნი არიან—საკუთარად აღვიღათ შეუძლიანთ ამგვარ უმწიფელებისგან თავის დაცვა. პირიქით, ბავშვს უფლება აქვს უოვეტვარ სქესობრივ განძახვებიდან დაცული იყოს, და საზოგადოებაც მოვალეა ასეთი დაცვა მოაწიოს. მაგრამ ამის მოქმედება საზოგადოებას არ შეუძლიან, ვიდრე საქმის ვითარებას თვით არ გაიკებს სიკატე-სიკანით და აქ ნარჩევ წესით (ილეთილ) არ გააცნობს ჯიულობას. თუ ამის შემდეგ, სახიფათო სიმახინჯეინ მაინც იქნება აღმოჩენილი, როგორებიცაა განსაკუთრებით სადიზმი და თანდაყოლილი მის-

წრატება ბავშვებისადმი, მაშინ გასაფრთხილებული საშუალებანი მეტის-მეტად საჭიროა და, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმე საშუალოდ გამომცდევებამდისინაც (იზოლოცია) შეიძლება მივიღეს. ჩიკობის წინასწარმდეგ, ჩიკობის გარდა, ისეთი საუკეთესო საშუალება არა არის რა, როგორც სახელდობრ აღზრდის ილეთი, როგორც სასოფლო სკოლა—თავშესაფარებშია გაბატონებული; იქ უმთავრესად მიქცეული აქვს უფრო სულოერად აღმძვრელ მუშაობას და მასთან დაკავშირებულ განუწიკეულ ფიზიკურ ვარჯიშობას. ასეთი აღზრდა თუ ბავშვობიდან იწიება თანდათანობით, მაშინ სქესობრივ წადილის გამოჩენა საკუთარდ უფრო გვიან, ზომიერად და მიწილდობიანად ხდება ხოლმე, რაც მეტის მეტად სასურველია, და რის გამომც შემდეგი ცხოვრება აღამიანისა უფრო ბედნიერად მოეწიობის. ჩიკობის გარჩევის დროს მე-VIII თავში დავინახეთ, რომ იგი შეიძლება ბევრ სხვა და სხვა გვარ მდგომარეობის გამომცატეული იყოს. ჩვენც ამ თუ იმ გარემოების შესაფერისად უნდა მოვიქცეთ, როცა საქმე მასთანა გვაქვს. სქესობრივ ურთიერთობის თავის დროზე გადაცემას ბავშვებისთვის მეორე უპირატესობა კიდევ ესა აქვს: მათი საკუთარი დამოშინება. ბევრი უმწიფი ქალი და ვაჟი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვარდება, ჩაოქრანდება ან გულოჩათხრობილი და მიუგარებელი ხდება სქესობრივ დამოკიდებულებათა შესახებ შემდგომ აზრების გამო. ერთ მხრივ მათ პარნოტობიული სისაძაგეთა სმენა უხდებათ, მაშინ როდესაც მშობლები გაჩუმებულნი არიან ამ უდიდეს საიდუმლოების შესახებ; მეორეს მხრივ კიდევ მათში მძლავრად სჩქეფს სქესობრივი გულისთქმა, რომელიც დამაყოფილებას მოითხოვს. უმწიფეს თესლის წამოქცევა თავის თავად ან გალიზიანების მიხეზით თუ კმართება, მაშინვე შიში და სირცხვილი ედვიდება, ან სხვა და სხვა სენების, ბიწიერ-

ბის, გაფუჭებულები და ვინ იცის კიდევ რაების საფრთხეები არ მოელოდნენ ხალხი. გამარტობულს, რომელსაც ეშინიან და ჰრცხვინიან ამ საგნებზე მშობელთ ან ამხანაგთ რამე უთხრას, თითქმის გმირული გადაწყვეტილება სჭირია, ხან ძალა ვერ შესწევს, რომ ექიმს ან მამას გაუშვადანოს. ამ გვარ მდგომარეობას, განსაკუთრებით ნერვიულ, რამოდენადმე შეუძლებელი ან იმპოტენტურად ბუნების მქონე უმწველი, შეუძლია თვითმკვლელობის მიიყვანოს.

შემდეგ, სქესობრივ დამოკიდულებათა ახსნის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მას თან მოსდევს ჩამომავლობითი სკიოთხის და ჩანასახისთვის მანებულ ნივთიერებათა და აგრეთვე ავი სენების გამომავლებაც. მეორეს მხრივ, უნდა მკაცრად უური ეგდოს იმას, რომ ამ გვარ ახსნების დროს საკუთარი და ბავშვების ერთობში არ აღიძვრას და სქესობრივობის შესახებ იმაზე მეტი არ ითქვას, რამდენიც სჭირია. რამდენადაც ახსნა სსარკებლთა, იმდენად არც სჭირია და მანებულებიც არის სუფილად ამ საგანზე ლაპარაკი. პირიქით, სჭირია სხვა ინტერესებით და სამუშაოებით, რამდენადაც კი შეიძლება, მოვაშროთ ჯიულობის ურადდება სქესობრივ საგნებს, ვიდრე ისინი ქორწინებისთვის არ მომწოდებდნენ. ამასვე ეკუთვნის ბუნებრივად ბრძოლა ერთიულ ლიტერატურასთან, განსაკუთრებით კი ზოგჯერ რადიკალურად, რასკიპობასთან და სხ. სუბედუროთ, ეგრეთ წოდებული „პარტი რემანებიც კი“ და უოველგვარი სათუტრო პიესები, რომლებიც თავის კარგულ ზრდილობიან ფორმების გამო პარტიულ მანდილობისგან მოიწონება, ხშირად სავსეა ცუდად მიფასიერებულ ერთობშით. ამიტომ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ და მე-XVII თავში კვლავ ავხსენით, ისინი სქესობრივ წადილს უფრო ძლიერ აღძრავენ, ვიდრე ვეფლავს უფრო გულახდილი

რეალური აღწერები ზოლასი, ბრიხი და, იქნება, გიუ დეო-მონასხისაც კი (ზოლას და მონასხის ზოგიერთ გამომცემების დასურათების კარდა).

ერთმა გამომცემელმა ექიმმა მიაზობ, რომ იმ ადგილებში, სადაც იგი მსახურებდა, გლეხის ბავშვები, რომელთაც ცხოველების მიდგომების დანახვა უნდებოთ, ბანაობის და სხვა შემთხვევების დროს ხშირად ცდილობენ ერთმანეთში მიდგომის აქტის ჩადენას. ჰაი ჰაი, ამის რჩევა უოვლად შეუძლებელია და ამას უნდა ვებრძოლოთ. მიუხედავად ამისა ეს გლეხები ქალაქებზე მეტად კარგნილები და გაფუჭებულები სრულიადაც არ არიან. პირიქით, თავის დროზე ახსნა და ჭაღერისანი გაფრთხილება, განსაკუთრებით გოგონებისა, აქაც მშვენიერი წამალი იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩვენი კულტურა ალკოგოლისგან და, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მშრომელი კლასი ექსპლუატაციას დაბოლოებს მაინც მოიგდებინებს თავიდან. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ გოგონები სწორედ ამ გვარ ცდების გამო სწავლობენ გაფრთხილებას. მაგრამ რა ვსთქვათ იმ ავსტრიულ მოსამართლებებზე, რომელთაც თორმეტი წლის ბავშვებს ციხეები და კატორგები იმისთვის მიუსაჯეს, რომ ისინი თავისავე ხნის გოგონებთან მიდგომას ახდენდნენ და აოხრებდნენ მათ? განა ამით ნამდვილ დამნაშავეთ სჯიდნენ? ან იქნება ამ გზით ბავშვების გასწორება უნდოდათ?

სქესობრივ სფეროში მეტად ცუდ სამსახურს ასრულებს ქათალიკური აღსარების თქმა. კეთილშობილურად მოაზროვნე მღვდელმა (პარტი) გინდაც მოახერხოს ზემო მოხსენებულ ლიგიურის დებულებათა ისე შესუმბუქება ან ახსნა, რომ მათ ვეღარ ან თითქმის ვეღარ მოუტანონ გაურუვნელ ანაღგაზრდა ადამიანებს ვნება, მაშინ თვით მეტად მორწმუნე ქათალიკე უნდა გამოტყდეს და სთქვას—მღვდელი-

ბიჭ ადამიანებია, და ღიახეც ვერ იქნებიან უფაღვანის კეთილშობილნი და ტაქტიანები. ესეც საჭმარისია, რომ აღსარება სქესობრივობის მხრივ გამრეზნელ დაწესებულებად გადაიქცეს, თუ უფაღვანის არა, ძალიან ბევრ შემთხვევაში მაინც. ამ მხრივ მეტად საგულისხმიერა გენიალურ და ეთიურის მხრივ მალა მდგომ, მე-XII თავში უკვე მოხსენებულ, კათოლიკე პატრის, კანადაში ლათინის წინააღმდეგ უმთავრეს მებრძოლის, ხინიკვის ცდები.

საგულისხმიერა აგრეთვე შემდეგი შემთხვევაც. ერთმა მორცხვმა და მოთაკილე ვაჟბატონმა ერთავე სქესის ერთად მოხანავე ბავშვები დაინახა და უთხრა მათ—ეს უზრდელობა არისო. ამაზე პატარა ბიჭმა გულუბრველად უპასუხა: „რანაირად შეგვიძლიან ვიცოდეთ, ვინ არის ვაჟი და ვინ არის ქალი, როდესაც ტანისმოსი არ გვაცვიაო“. ეს მოსწრებელი პასუხი ნათლად გვიჩვენებს, თუ ზოგიერთი, კეთილ ეთიურ სურვილით ნათქვამი გაფრთხილება როგორ ერთბაშად კითხვებისკენ მიჰმართავს ჯიქობის ყურადღებას, და შესაძლოა ჰყოფს გარეუხილობის წარმოშობას.

ამ ცოტახანში ერთ ბოროტმოქმედების გამო საზოგადოების ყურადღება მიიქცია იმან, რომ ესლა მასწავლებლები და აღმზრდელები ეძებენ და ჰმკვებენ თავიანთ სადიურ მიდრეკილებათა დაკმაყოფილებას მიბარებულ ბავშვების ხორციელად დასჯაში. ჯერაც დავიწყებული არ არის შინურ მასწავლებელ დიპლომდის\*) შემთხვევა, რომელიც სადიზმის მიზეზით ორ მიბარებულ ვაჟს საშინელ წამებას აუენებდა, და ერთი სიკვდილამდე მიიყვანა ტანჯვით. სრულიად ნდობის დირსია „მუშათა გაზეთი“ ვენაში (სახელების აღნიშვნით),

\*) დიპლომი სტუდენტი და კერძო, არა პროფესიონალი მასწავლებელი იყო.

რომელმაც შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა: ერთ პაწია ნემენურ სახელმწიფოს მეფობელი თავადი, უფაღვანის, როდესაც მის რეზიდენციაში რომელიმე მასწავლებელი შევიდა სხეულის დასჯას გადაუწყვეტდა, თავის უმადლეს ხელებით ახდენდა ხოლმე წკეპლვასო. გაზეთი ამ თავისებურ აჩემებას სადიურ სიმახინჯით ახსნას. სხვა შემთხვევაში ბავშვები მრავალ წლების განმავლობაში გაწყვეტვას ერთ კაცისაგან მიიღებდნენ, რომელიც თავის თავს პოლიციის აგენტად აცნობდა და საბრძოლო ბავშვებს სამართლის მუქარით აშინებდა, თუ ვისთანმე ჩივილს გაჰბედავდენ მასზე. ბოლოს, ერთმა უფრო გაბედულმა ბიჭმა იჩივლა, და ამ რიგად საქმე გამოაშკარავდა. მამასდამე სადიზმი უფაღვანის მოკვლის ვნებით არ გამოაჩნდება ხოლმე ადამიანს. უეჭველია, გაცილებით უფრო ხშირად იგი მსუბუქ ფორმებში გამოიხატება ხოლმე, როგორებიცაა გაწყვეტვის ვნებათა სხვადასხვაგვარ წვალების სურვილი (სულიერნი და ხორციელნი). ეს წვალებანი ავადმყოფურ პიროვნებათა სქესობრივ ავბორცობის ერთგვარ დამატებას წარმოადგენენ იმისთანებისთვის, რომელთა სქესობრივი წადილი მხოლოდ ნაწილად არის გადამახინჯებელი. ეს, აქნობამდის შეუმჩნეველი, ფაქტი ვეველა სკოლებში სხეულის დასჯის მოხმობისთვის კიდევ ზედმეტ საფრთხელს იძლევა, რადგანაც მახინჯ საქციელების მქონეთა წვლილიანობას და მოხერხებულებას საზღვარი არა აქვს. მათი სიმახინჯენი აუარებელ თვალთმაქცურ საფარველებ ქვეშ იმალება, რომლებსაც თვით მეტად გამჭრიახ ადამიანების მოტყუებაც კი შეუძლიანთ დიდის ხნობით, როგორც ეს დიპლომდის და ბევრ სხვა შემთხვევაში ხდება ხოლმე. ბავშვების სკოლებში წკეპლვა, უსარგებლო და პირდაპირ მაგნებელი ბარბაროსობაა. მისი დარჩენა იმ დროს, როცა კატორღელებისთვისაც კი მოსპობილია სხეულის დასჯა, კულტურისთვის სამარცხვინო

ნობას. მაგრამ ბავშვები, განსაკუთრებით გერმანები და ნაბიჭვრები, ხშირად შესაზარ ტანჯვებს განიცდიან მოუხეშავ მშობლებისაგან და მოურნეთაგან (აპეკუნთაგან); ამ შემთხვევებში შინაშენელოვანი ადგილი უჭირავს სქესობრივ დამოკიდებულებათა და ალკოჰოლიზმს. აქ ხელახლად მივითითებთ ლიდა ვოლფერინგის სულ ახალ ნაწარმოებზე (Das der Kindes; Vorshläge für eine gesetzliche Regelung. Allgemeine Oesterreichische Gerichtszeitung 1904). ბავშვების უფლებების დაცვის სპეციალურ მიზნად დამსახავი ავტორი, შემდეგ საშუალებებს გვიჩვენებს ეგვალა იმ მშობელთა და მოურნეთა წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ შვილებს და აღზრდილებს სჯიან, აიძულებენ მათ დასასჯელ მოქმედებაზე ან ვერ ახერხებენ მათ დაცვას გარეშე ზირების ასეთსავე მოქმედებიდან (უკანასკნელი, განსაკუთრებით, საუვარელთან ცხრულების დროს, სიჭვრივეში etc, ხდება ხელმე):

1. მშობლიურ ან მოურნულ უფლების წართმევას და მოურნის დანიშნას (ან გამოცვლას).
  2. საჭირო დროს ბავშვების ჩამორთმევას.
  3. უფლებების, როცა დაჭვრივეული ბავშვულად ხელახლად ქორწილდება ან კონკურენტში შედის ვისთანმე მოურნის თანაშემწის დანიშნას.
  4. მშობლიურ და განსაკუთრებით მამობრივ უფლების ჩამორთმევას ეგვალა ისეთ მამებისაგან (ხან დედებისაგანაც), რომელნიც საკუთარ შვილების აღზრდის მატერიალურ ტვირის კერძო და საზოგადოებრივ ქველმოქმედებას ახვევენ თავზე, თუ ამაზე სამუშაოს ნაკლებულობით არ არიან იძულებულნი.
- თუმცა ეს წინადადებები ჩვენს საკითხს არ შეეხება უშუალოდ, მაგრამ მათი განხორციელება ბავშვების სერიოზული დაცვა იქნებოდა სქესობრივ ბოროტმოქმედებათაგან. საკმარისია მართლ ბავშვების რასკიპობაზე ძალდატანება მოვიგონოთ უსინდის მშობლების

მხრივ. რაც შეეხება მე-4 წინადადებას, მოგაკონებთ მე-XIII თავში ამაზედვე ნათქვამს. შემდეგში ამგვარი მშობლები, უფლების ჩამორთმევის გარდა, ბავშვების შენახვის მიზნისთვის მუშაობაზე ძალით უნდა გაიყვანებოდნენ ხელმე კანონით.

მოვალე ვარ, სამწუხაროდ, დაუმატო, რომ აქ მოხლენილი მოკლე აღწერა მომავალ სქესობრივ ჰელაგოების განხორციელებას ძალიან გვიან ეღივსება. სასოფლო სკოლები — თავისთავად, რომლებიც მომავალ სახელმწიფოებრივ სკოლების ნიმუშებად უნდა იქონიან, და ვიდრე სახელმწიფო და ხალხი სქესობრივ საკითხზე ნათელ, ცრუმორწმუნოებიდან თავისუფალ შეხედულებამდისინ არ მივლენ, იქნებამდისინ გონივრული სქესობრივი ჰელაგოვია ვერ განხორციელდება. მასხადამე, ჯერეთ უველამ თავს ისე უნდა უშველოს, როგორც შეუძლიან. მშობლებს ბევრის გაკეთება შეუძლიანთ და მასწავლებელთ ბევრის მიხწევა საკუთარ თავისუფალ გადაწყვეტილებათა მიღებით. მაგრამ უწინარეს უფლისა სოციალურ რეფორმების მუდამ გულში მატარებულნი, ახალთაობის წევრნი არიან მოვალენი, არა ცარიელა სიტყვით, არა თვალსაჩინოდ ანუ თავის გამოჩენის მიზნით, არამედ შინაგან დრმა რწმენის გამო, საქმით და მაგალითით იმუშაონ სქესობრივ ურთიერთობათა სფეროს გასაუმჯობესებლად, აღმინურ ჭეშმარიტ ეთიკის საწინააღმდეგო ძველ ზნეების ამოსაფხვრელად და სქესობრივ რეფორმების განსახორციელებლად; ეს ჭინიხავს: საკუთარის მოქმედებით შებრძოლებას ფულის ქორწილთან, ჯვარის-წერის ფორმასთან, ქონების ერთიანობასთან, რასკიპობასთან და სხ. ახალგაზრდათ უნდა დაუჭირონ მხარი სამართლიან შერჩევას, ჭეშმარიტ აღზრდას etc., ჩვენგან გამოთქმულ აზრების თანახმად.

ლ. ცაგარელი.

# ძირითადი იდეები აწინდელი ჰედაგოგიკისა

ფრ. ჰანსბერგი (ბრემენი)

სკოლა არ იყოს გამბედაობა აწინდელ პედაგოგიურ მოძრაობის ძირითად დებულებათა მოკლე გადმოცემის სურვილი. ჩვენ თვითონ ხომ ჯერ ისევ ამ პროცესში ვიმყოფებით და ამიტომაც ძნელია მისგან ჩამოშორება და მიმოხილვა თანამედროვე სიცოცხლით სავსე ცხოვრებისა.

თეორიების და ცდების ოცნებით თვალის გადავლებით ჩვენ ვემსგავსებით იმ მგზავრს, რომელიც დიდხანს მოგზაურობდა, რომ შემდეგ აეწერა თავის მიერ განვლილი გზა. ჩვენ ხომ ჩვენი საუკუნის ბავშვები ვართ და ამიტომაც ძნელია ნათელი წარმოდგენა მის ძირითად მოძრაე პრინციპებისა. ეს კი უნდა უეჭველად გავაკეთოთ, თუ გვინდა წინასწარმეტყველება სკოლის მომავალ ფორმების და მოახლოება მომავალი სკოლისა. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ მივცეთ პასუხი კითხვებზე:

რისკენ მიისწრაფის ჩვენი დრო? რა მიმართულებებისკენ სწარმოებს განვითარება? მთელი პედაგოგიური მოძრაობის ძირითადი წერტილი ხომ საერთო მეცნიერული პრინციპები და ჩვენი დროის მიმდინარეობაა. — გვინდა ეს თუ არა.

ჩვენ თან და თან უფრო ვგრძნობთ, გვესმის, რომ მორალურის და სულიერის თვისებებით ვართ ნაყოფი გარემო ცხოვრებისა. ჩვენი შეგნება — ეს ხომ წინასწარ განძახსხვა და სხვა აზრთა ბრძოლის ასპარეზია, რომელშიც ყოველის მხრიდან გვეხვევიან და ჩვენ ვერ ძალგვიძს განვიხილოთ მათი

სისწორე: თვით ჩვენის დაბადების ფაქტმა გადაგვტყუორცნა ძალიან რთულ ქვეყნიერებაში, რომლის აუარებელი საგნები და დაწესებულებები ჩვენით არ არის მოგონებული და რომელთა ჩამომავლობას ჩვენ ვერც კი განვიხილავთ. ჩვენ მას მხოლოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ, უნდა მივიღოთ უსიტყვოთ, დაუფიქრებლად. ასევე მოქმედებენ ჩვენზედ ჩვენი თანამომძემების ზნეობრივი შეხედულობები და ჰსაზღვრავენ ჩვენ მოქმედებას, ჩვენივე შეგნების უნებურად. მაგრამ ყველა ეს ჩვენ მალე გვაღიწყდება, რადგანაც ეს მოვლენანი მოქმედობენ ჩვენზედ შეუმჩნევლად. აი, მაგალითებრ, საზოგადოება დღითი-დღე აფართოებს საზოგადოებრივ საკუთრების დარგს და ჩვენც ვეჩვევით სიხარულს მაშინ, როდესაც არაფერს ვიძენთ, არაფერს ვისაკუთრებთ. ამ რიგათ, ჩვენ ყველაფერში ჩვენი დროის ბავშვები ვართ, უფრო მეტიც, მისი იარაღი, რადგანაც საზოგადოება ამაღლებს კერძო პიროვნებას იმისთანა შედეგების მიღწევამდინ, რომელსაც თავის-დღეში ვერ მიაღწევდა თავის საკუთარ ძალ-ღონით. საზოგადოების დასტური ამხნევებს ადამიანს, უათკეცებს მას ძალ-ღონეს, იგი სცდილობს რაც შეიძლება მეტს მიაღწიოს და რამდენადაც მეტს თანაგრძნობას იწვევს ადამიანი, უფრო სწორეთ ეს თანაგრძნობა აღფრთოვანებს მას და იგი დაჟინებით მიისწრაფის თავის მიზნისაკენ. ამ რიგათ ნელ-ნელა იქმნება ღიფერენციროვანური სტრუქტურა

რა ადამიანთა საზოგადოებისა. იგივე პრინციპები მფლობელობენ პედაგოგიკაში.

ჩვენ ეხლა გავიგებთ, რომ „ნება“ არის მიმზიდველობითი ძალა, რომელიც მასსას ამოძრავებს, მხოლოდ ყოველ-დღიური ჩვეულებები ჰქმნიან ამ მოძრაობას. ჩვენ გვგონია, რომ მესაქვს სუსტი ხელი აძლევს დიდ გემს იმ მიმართულებას, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია. მაგრამ შეჯახების დროს, — მესაქვს ვერ ძალუძს ააშოროს გემი უბედურებას. მოძრავ მასსას უნდა სვლა თავისი გზით, აქ უკვე ის და არა მესაქვ სწყვეტს, მოხდება დაჯახება თუ არა. ამით იგულისხმება ზნეობრივი აღზრდა, რომლის შემწეობით ჩვენ გვინდა შევიძინოთ მესაქვ ჩვენის აზრებისა და სწორედ ამიტომ მისგან მხოლოდ საშუალო გავლენას უნდა მოველოდეთ. რას გვიშველიან ყველა სანტიმენტალური მოსაზრებანი, თუ ყველა ის, რაც ბავშვს გარს ახვევია არ იმოქმედებს იმაზედ სასურველ მიმართულებებისაკენ?

სუფთა სახლი, სალი სეკმელი, კოხტა მორთულობა და სალი ატმოსფერა. აი საუკეთესო ღონისძიებანი ზნეობრივ ავადმყოფობის ბაცილების გაწყვეტისათვის. იქ, სადაც ვითარდება მასსას კეთილი მდგომარეობა, იქ შესამჩნევად სუსტდებიან და მცირდებიან სნეულებანი, იქ კეთილ-შობილდებიან ზნე-ჩვეულებანი. მაშასადამე, ვიდრე სკოლას გავლენას და ამ გავლენის კარგ შედეგებს მოვთხოვთ, საჭიროა სკოლის ატმოსფერის გასუფთავება, ეს ეხება არა მარტო გარეშე ფაქტორებს, რომელნიც სკოლას საცხოვრებელ სახლად აქცევენ, — დაწყობილი სუფთა კიბეებიდან ვიდრე ყვავილებამდინ და სურათებამდინ კედლებზედ, — არამედ საერთო კილოს ამ შენობებში გამეფებულს, სიღინჯეს და თავდაჭერილობას. სკოლაში

ბავშვი უნდა მიეჩვიოს ლაპარაკს და თავის მსგავს ადამიანებთან ცხოვრებას, აქვე უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საძირკველი კარგ ზნე-ჩვეულებებს. ამის გაკეთება მით უფრო საჭიროა, რომ ოჯახი, როგორც აღმზრდელი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რომ შრომა უფრო და უფრო შორდება სახლს და ბავშვებიც შორდებიან როგორც ბუნებას, ისე ადამიანის შრომის ადგილს.

წინად აღზრდის საქმე განაწილებული იყო სკოლისა და ოჯახის შუა: სკოლა იძლეოდა თეორიას საოჯახო პრაქტიკისათვის. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც ბავშვების კლასის გარეშე ცხოვრება იყო ყოველ მზრიულ პრაქტიკად, რომელსაც ეხლა მხოლოდ პატარა მეურნეობაში შევხვდებით, იქ არ არსებობს შრომის დიფერენციალური გაყოფა, სახლში უნდა შეიქმნას ყოველივე საჭირო ცხოვრებისათვის: იქ პურს აცხობენ, იქ სახლს სახურავს ხურავენ, სთხრიან ჭას და ყველა ეს კეთდება მხოლოდ რამდენიმე ოჯახის წევრის მიერ. ყველას ესწრობიან და ყველაში მონაწილეობას იღებენ ბავშვები, როგორც თანაშემწენი და როგორც მუშა ხელი. ეს პირობები დაცულია ჯერ-ჯერობით სოფელში. ქალაქებში კი შრომა თავს იყრის სახელოსნოებში, სადაც შეუძლებელია ბავშვებისთვის შესვლა და მათი შრომაში მონაწილეობის მიღება. ამ რიგად ქალაქის ბავშვები ეცნობიან აუარებელ შრომის რაოდენობას, მაგრამ არაფერს იგებენ იმაზედ, თუ როგორ შეიქმნა იგი. კულტურა კი უფრო რთულდება ტენნიკის შეუყენებელ პროგრესის და საბუნების მეტყველო მეცნიერებათა გამო. ამასთანავე კერძო ადამიანს არა სჭირდება მოვლენათა კავშირის გაგება: მას აყენებენ რომ-



ლისამე მანქანის ყურთან და ეუბნებიან: „თუ ღმერთი გრწამს, მოატრიალე, ცოტა დაიცადე და სასწაულებს ნახავ“-ო, რიცხვი ამ ჯადოსნურ ყურებისა გასაოცარის სისწრაფით მრავლდება ჩვენ კულტურაში. ყველა საზოგადო დაწესებულებებში მექანიზმის ის ნაწილები, რომელთაც საზოგადოება ეხება, ძალიან მარტივდებიან, რთული მექანიზმი კი მოთავსებულია სადმე იატაკის ქვეშ ან კარების უკან ზედ-წარწერით: „შესვლა აკრძალულია“. ამ რიგად ჩვენ ნელ-ნელა ვემსგავსებით ვეღუფრს, რომელიც ეჩვევა ცივილიზაციას და იხმარს მის იარაღებს მაიმუნურის დაქინებით, თუმცა მათი ურთიერთ კავშირზედ არავითარი წარმოდგენა არა აქვს. თუ ჩვენის გაუფრთხილებლობით შიგნითა მექანიზმი გაფუჭდა, ფიცხლავ ჰგზავნიან სპეციალისტ-ხელოსანთან, რომელიც გააკეთებს გაფუჭებულს. რამდენ შრომას თხოულობდნენ წინანდელი ფეხები, რამდენი ძალ-ღონე მიდიოდა შეშის მოზიდვაზედ, საკვამლეების გაწმენდაზედ, რამდენი ბრძოლა სჭირდებოდა შუა ქარის ცელქობას. ეხლა კი ყოველდღიურ მოსახმარ ნივთებს ჩვენ ვღებულობთ სახლში გამზადებულებს ან ნახევრად გამზადებულებს და ეს კულტურულ საქმის დიფერენციაცია და ცენტრალიზაცია უფრო და უფრო ვითარდება. მაგრამ, რომ ეს განვითარება არ გახდეს მხოლოდ გარეგნული და მოსატყუარა, ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ საზოგადოებამ არ განიცადოს პიროვნებათა ნაკლებულობა, რომელნიც განსჭვრეტენ კულტურის საძირკველს. ცხადია, მხოლოდ იმას შეუძლიან შემოქმედებითი მუშაობა, ვისაც ესმის საგნების ურთიერთობა, უამისოდ პროგრესი შეუძლებელია.

ამასთანავე ყველანი ვგონობთ, რომ კერძოთ ჩვენმა ბუნებამ არ უნდა გადაგვისწროს. ჩვენ გვსურს მისი განვითარება ჩვენივე ხელში დავიჭიროთ; ეს „ნება უფლებისაკენ“ (Ville sur Macht) სცხოვრობს კაცობრიობაში ეხლა უფრო, ვიდრე წინათ. ეხლა შემთხვევა არა სწამთ და მით უმეტეს შველა ადამიანის გარეშე მყოფ ძალისა. მთელი თანამედროვე პროგრესი თავის-თავის რწმენისაგან გამომდინარეობს, ამიტომაც იზრდებიან და ფართოვდებიან განათლების და ხალხის განმანათლებელი დაწესებულებანი. ცოდნის პოპულიარიზაცია—არსებითი და დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი დემოკრატიულ საუკუნისა. ამ ჟამათ მეცნიერებაში მონაწილეობას იღებენ და იმით დაინტერესებულნი არიან არა მარტო მაღალნი საზოგადოებისა, არამედ ბეჭვდითი და გადმოცემითი სიტყვას შეაქვს მეცნიერება ფართე მასსაში. მეცნიერნი თავიანთ მოვალეობათ სთვლიან ცოდნის პოპულიარიზაციას, აცნობენ მასსას თავიანთ მოკვლევების შედეგებს, რაც მათთვის ფრიად სასახლოა, რადგანაც მეცნიერული გამოკვლევანი შესაძლებელია მხოლოდ ხალხის ნიახის თანადასწრებით ამ გამოკვლევებში. ხომ ხალხი ჰქმნის მისთვის საჭირო საღსარს, ამასთანავე იგი უბოლოოდ გულუხვია და აძლევს მოქმედების სრულ თავისუფლებას თვით იმ მეცნიერთაც კი, რომელნიც ამაყად უარს ამბობენ თავიანთ მეცნიერების პოპულიარიზაციაზედ.

რადგანაც შინაური მნიშვნელობა მართივდება და საზოგადოებრივი კი რთულდება, ამიტომ სახელმწიფო ინტერესებისათვის აუცილებლად მოწყობილ უნდა იქმნას ყოველნაირი განმანათლებელი დაწესებულებანი; სკოლას სწადიან ბავშვე-

ბის მიყვანა კულტურის საძირკველთან, ამ შემთხვევაში კი მან უნდა ცხად ჰყოს სურათის ან დედნის შემწვობით ყველა საჭირო საგნები, იარაღები და დაწესებულებები და ისე, რომ ახალგაზრდობას შეეძლოს თავის თავად გაგება ამ საგნებისა.

თუ როგორ გაკეთდეს ეს, გვიჩვენებს თვით სიტყვა „შემუშავება“. ბუნებრივია, რომ ბავშვები თავიანთ ძალ-ღონეს ავარჯიშებენ თამაშობებში. განა იმაზედ კარგი თამაშობა კიდევ იქნება, როგორც შექმნა პატარა მასშტაბის შემწვობით გარესკნელ ცხოვრების ყველა საგნებისა? განა იარაღების სტრუქტურის შემეცნებისათვის იმაზედ კარგი გზა კიდევ არსებობს, როგორც მათი ხელში ჭერა და მათით მუშაობა? და ამიტომაც მომავალ სკოლაში უეჭველია იქნება სახელოსნო, რომელშიაც მხიარული და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდობა იარაღის და მასალის შემწვობით შექმნის თავისთვის სათამაშოებს. პაწაწები ითამაშებენ სილის ხროვაში, შეძერწავენ თიხიდან, გამოსჭრიან ფერად ქალაღებებიდან და სხვ., უფროსები კი აღწერილობების და ნაკვთების შემწვობით გააკეთებენ სხვა და სხვა ნიმუშებს და ნელ-ნელა გადავლენ მარტივ სამუშაოდან უფრო რთულ სამუშაოზედ. მასწავლებლები კი იქნებიან მათი ხელმძღვანელები, თანაშემწენი და მრჩეველები, რომ შთაუწერგონ ახალგაზრდობას ერთი რაიმე სამუშაოს კოლექტიურად შესრულების აუცილებლობა.

თუ ოჯახი ნამდვილ მუშათა სამრეწლოს არ წარმოადგენს, ცხადია არც შეუძლიან ახალგაზრდობის აღზრდა სოციალურ მოქმედებისათვის. ამიტომ სკოლამ უნდა შეიმუშაოს კიდევ ბევრი მხარე, რომელიც მას ბავშვის სახლად, ბავშვთა

სახელმწიფოდ გახდის. ამ ჟამათ სკოლა გაუღწეოთ იმ სახელმწიფოებრივის სულით, იმ აბსტრაქციით, რომელზედაც ბავშვს არავითარი წარმოდგენა არა აქვს, იგი უბრძანებს რა უნდა გაიარონ, როგორი წეს-რიგი უნდა იყოს, როგორ უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა, ბავშვები კი არსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ იმაზედ მოიხმარონ სხვა და სხვა მოწერილობები. თუ ბავშვებს ვანიჭებთ თავისუფლებას წესრიგის დამყარებაში, ამით ჩვენ მათ უჩინთ უფრო მეტ აღმზრდელით მოქმედებას, ვიდრე მაშინ, როდესაც ვხვდებით მას თავზედ სამუდამო შეურყეველ წეს-რიგს. დიდი არსებითი განსხვავებაა, მაგალითებრ, მიცემული აქვთ ბავშვებს რაიმე წესი, რომ საგნები არ გააფუტონ, თუ მიცემული აქვთ თვით საგნები იმიტომ რომ თვითონვე დაიწესონ რაიმე წესრიგი. ამ რიგად, დებულება—„სკოლა ბავშვებისათვის“ ნიშნავს, რომ იმის მიზანია, გაუღვიძოს ბავშვებს ყოველმხრიულ მხიარულ მოქმედების სურვილი, თავიანთ საკრებულოს სასარგებლოთ. ყველაფერი მიმართული უნდა იყოს ამ სოციალურ მიზნისკენ. მაგალ., ასწავლიან ლექსებს და სიმღერებს იმიტომ, რომ სკოლაში დროგამოშვებით იმართება საღამოები, დიდები ხატავენ სურათებს გამოფენისათვის, სწერენ თხზულებებს ამხანაგების წასაკითხავათ, სამკითხველოდან მიაქვთ საისტორიო წიგნები წასაკითხავად, რომ შემდეგ იგივე ამხანაგებს გადასცენ. ამ შემთხვევაში მაგალითს წარმოადგენენ სოფლის მოსახლეობები (landersiehungshaus). თუ ჩვენი სკოლებიც, ამ მოსახლეობების მიბაძვით გადატანილ იქნებიან ქალაქ გარეთ, მაშინ ქალაქის ბავშვებიც დაუახლოვდებიან ბუნებას. მოკლედ რომ

ვსთქვათ, სკოლა უნდა გადაიქცეს პატარა სახელმწიფოთ; იგი მარტო იმიტომ არის ჩამოშორებული დიდ სახელმწიფოსაგან, რომ ახალგაზრდა განუვითარებელ ძალებს მიეცეს ლაბორატორია, შეძლება ცდების გაკეთებისა, რათა მიეჩვივნენ გონივრულ დაფიქრებას; ეს მოამზადებს ბავშვებს იმ დროსთვის, როცა იმათ ხელში გადავა ნამდვილი სახელმწიფო, სადაც ისინი გამოიჩინენ გამოცდილებას და შემოქმედებით ძალას.

ამ პატარა სასკოლო სახელმწიფოდ ნელ-ნელა გარდაიქცევა სახელმწიფო სკოლა, რომლის მიზანიც იქნება შემოვლებული გზა ცოდნის საგანძურის შექმნისათვის. არავის, თვით გამოჩენილ ადამიანებს და მით უმეტეს ახალგაზრდობას არ ძალუძს ცდარედ განიმეოროს უმაჯარესი შექმნილობა კაცობრიობისა. და თუ ჩვენ გვინდა გავაკეთოთ გინდ ერთი მეცნიერული ცდა, გადავსინჯოთ გინდ ერთი დასკვნა მეცნიერებისა, ჩვენ უნდა უეჭველად ვიწამოთ მეთოდები და იარაღები მისი მრეწველობისა. რა სისულელე იქნებოდა, რომ ხალხს სულყველგან ყველაფერი თავიდან დაეწყო! როგორ გავამტყუნებდით იმ გამომკვლევებს, რომელიც არ მოისურვებდა მოეხმარა თავის ნაშრომისათვის ყველა მის წინაპრების მიერ შექმნილი! ამიტომ საჭიროა მივცეთ მოზარდთათვის ჩვენ წინაპართა მიერ გამოგონებათა მიმოხილვა, რათა ახალგაზრდობამ დაინახოს თუ რის გაკეთება მოელის მას.

დრო თხოულობს, რომ წიგნობრივი სწავლა შესცვალოს ცდებში. მხოლოდ მაშინ შეითვისებენ, შეისისხლხორცებენ მოწაფეები ცოდნას, როცა მეცადინეობაში ყოველი გრძნობა მიიღებს მხურვალე მონაწილეობას. მოწაფეები, რომლებმაც შეითვისეს მეცნიერული დასკვნა-

ნი წიგნებით, ჰგვანან ყვავს ფარშევანგის ფრთებში მოკმაზულს. ჩვენი წიგნობრივი კულტურა, ზეპირული კულტურაა, ისეთივე ავადმყოფი, როგორც გამუდმებული ვაჭრობა ქალაქის ღირებულობით. ჩვენ ყველაფერში მიწას უნდა შევეხოთ, მივიდეთ თვით ცდასთან და სხვ.

გადამეტება აქ ცხადია. ჩვენი ცოდნა მომეტებულ შემთხვევაში ნასესხებია, გადაღებული, ჩვენ შოქმედებაზედ მოქმედებენ ყველა წინასწარი ეპოქები, იმიტომ რომ, როგორც ზემოთ ვსთქვით, ჩვენ ვართ ნაყოფი გარესქნელ ცხოვრებისა, რომელიც ბუნებრივად ვითარდებოდა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში. ამიტომ ინდივიდუუმის სრული განდევნა ერთის შემოქმედით გაანადგურებდა მთელ ჩვენ კულტურას. წიგნებთან, კანონებთან, ქრონიკებთან ერთად კაცობრიობა დაჰკარგავდა თავის მესხიერებასა და მომეტებულ დარგში იძულებული იქნებოდა თავიდან დაეწყო, რომ კვლავ შეედგინა ქრონიკები, კანონები და სხვ. აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ კაცობრიობა უარს ვერ იტყვის ყოველნაირ ცოდნათა და ცდების მექანიურად გადაცემაზედ.

ადამიანი ძვირფასია თავის სულიერ ენერგიით. იგი იწონებს ბუნების ძალებს, იგივე ჰკრებს საზოგადოებას და ჰგზავნის გამორკვეულ მიზნისკენ, ამით კი აღწევნენ ბევრს რასმე. მაგრამ ადამიანის აღფრთოვანება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი აქტიურად დაინტერესებულია თანამედროვეთა და წინაპართა ცხოვრებით; მაშინ „გადაღებული“ ცოდნა იმაში თავს იჩენს და შოქმედებს ისე, როგორც აქტიური ძალა. ვისაც უნდა მუშაობა კაცობრიობის პირველ წყებაში, იმან უნდა იცოდეს სინამდვილე უფრო კარგა,

ვიდრე ერთი სიცოცხლის ცდის შემეცნება,—იმან უნდა შეიძინოს თეორიული ცოდნა და თეორიულად შეიმუშაოს თავისი თვალსაზრისი.

მაშასადამე თეორიული განათლება სკოლის სპეციალური მიზანია და სკოლის ამალღება ნიშნავს წიგნობრივ ცოდნის გაფართოვებას და ამალღებას. სკოლის რეფორმა ამას არ უნდა ჩამოშორდეს. ჩვენ რომ სკოლიდან გაგვედევნა წიგნები და შევედგომოდით მხოლოდ პრაქტიკულ საქმეს, ამით გაუღებდით ახალგაზრდობას განათლების უმშვენიერეს წყაროების კარს. ხომ მხოლოდ წიგნები აფართოვებენ ყოველდღიურ მუშაობის ტაქტებს და ჰქმნიან კავშირს კაცობრიობასთან და დაუსრულებელ ისტორიასთან. მხოლოდ დიდ აღამიანებს, კაცობრიობის წინამძღოლებს შეუძლიანთ მისცენ ახალგაზრდობას უმაღლესი იმპულსები, რასაც ისინი გაეცნობიან წიკნებით. ისინი ვინც უარს ჰყოფენ წიგნებს სკოლაში, ხელს არ უწყობენ სკოლის განვითარებას, რადგანაც სისულელემდინ მიიყვანეს შინაარსიანი და აზრიანი მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება შემდეგს ჰღალადებს: უნდა მკიდროთ **დავაკავშიროთ სწავლების თეორია მოწაფის პრაქტიკულ განცდასთან.** აი ის მუხლი, საითკენაც უნდა მივმართოთ მთელი ძალ-ღონე. აქ დამალულია ბოროტების ფესვი მავნებელ ვერბალიზმისა და თავ-ბრუ დამსხმელ გაწვრთნისა, რასაც ხშირად ხმარობენ აწინდელს სკოლებში. ყველა თეორია, რომელიც განცდას არ ეყრდობა, მავნებელია მოწაფეთათვის და სკოლას მით უფრო მეტი მავნებლობა მოაქვს, რომ ამისთანა „მცოდნეთ“ იგი აჯილდოვებს საზოგადოებრივ პრივილეგიებით. თუ ყურადღებით ჩაუკვირდებით ცოდნის შეერთების დარგს

განცლებთან, მაშინ ჩვენ, რასაკვირველია, დავამტკიცებთ უზარმაზარ დეფექტს ჩვენის სკოლისას.

ვგრძნობ, რომ ჩვენ ვიხედებით შავბნელ უფსკრულში, რომელიც აშორებს ერთი-ერთმანეთს სამეცადინო მასალას და ნამდვილ ცხოვრებას; ჩვენ ვგრძნობთ ჩვენ სისუსტეს და ვერ გაგვიყვანია მათ შუა შემაერთებელი ხიდი.

სკოლის ეს ჩამოშორება საგრძნობია არა მარტო უფროს კლასებში, არამედ პირველ-დაწყებით სკოლებშიაც კი. ლიბტვარკი ამბობს: „სკოლა ისე ეპყრობა ბავშვს, თითქოს ის ახლათ დაბადებული იყოს. იგი კი არ აგრძელებს, არამედ სწყვეტს და თავიდან იწყობს რაღაცა ახლის გაკეთებას. და ის, რაც ამ დროს იღუპება, სკოლას ვერ ძალუძს შეავსოს ბავშვის სკოლაში ყოფნის დროს რამდენსამე წელიწადს“. რა მოუთმენლად მიზნიან ბავშვები სკოლაში, რამდენ რასმე ელიან, და ვაგლახ! სკოლა მალე ჰკარგავს თავის მიმზიდველობითს ელფერს, ვერ აცისკროვნებს მით შინაურ ცხოვრებას ახალ აზრებით და იმპულსებით. გეოგრაფიაში გასაოცარის სისწრაფით ვარბეინებთ ბავშვებს ქვეყნის ყველა ნაწილებზედ და სრულიად გვაფიწყდება, რომ სკოლა არის ცენტრალური ადგილი სამშობლოს შესწავლისა. საზოგადოდ ჩვენ ვასწავლით იმ საგნებს, რომლებიც არ იწვევენ ბავშვში აქტიურ მოქმედებას, რომლებიც არ აღფრთოვანებენ მას, რომლებიც მის ნამდვილ შეგნებაზედ მალლა სდგანან. იმის დამამტკიცებლად, რომ ეს მთელი სკოლის კურსის გავლის დროს სწარმოებს, არის ეგრეთ წოდებული თავისუფალი თხზულება. ბავშვის აზრი ჰკარგავს შემოქმედებითს ძალას, როგორც კი თხზუ-

ლებისათვის ავიღებთ სკოლის მასალას. მაშინ მოწაფეთა თხზულებებში ჩვენ მოგვესმის ჩვენი საკუთარი სიტყვების გამოძახილი. განა შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ჩვენ სამეცადინო საგნებს სიხარულით ითვისებენ ბავშვები? მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეგვიძლიან მივცეთ პასუხად გაუბედავი, მორცხვი „დიახ“, მომეტებულ შემთხვევაში კი კათეგორიული „არა“ იქნება ნამდვილი პასუხი. ჩვენ ვაძლევთ ახალგაზრდობას სრულიად უცხო მასალას, უცხო მასალები კი თავის თავად შორდებიან.

ჩვენ ყველანი ვამაყობთ ჩვენ სამეცადინო სიმღერით და იმას კი არ ვამჩნევთ, რომ ახალგაზრდობას ლამაზ სიტყვების და ფუჭი კაკლის მეტს არაფერს ვაწვდით.

ვინ არის იმაში დამნაშავე, რომ ჩვენ დღითი-დღე უფრო და უფრო ვცვივით თავ-ბრუ დამხვევ ვერბალიზმში და სრულიად არ შეგვიძლიან მისგან თავი გავინთავისუფლოთ? უპირველეს ყოვლისა სწავლის გეგმა, რომელიც არ აძლევს მასწავლებელს ჩაფიქრების დროს და შეძლებას, რადგანაც რვა წლის განმავლობაში უნდა „გაიაროს“ მთელი დედა-მიწა. ყველასთვის ცხადია, რომ ცოდნის საზღვრები ფართოვდება და წინ გვეშლება ახალ-ახალი დარგები; ისიც ცხადია, რომ ეგრეთ წოდებული მეცნიერული საბუთები შემოწმებულ იქნებიან ახალ მეთოდებით, გამოიცვლებიან ახლის თვალსაზრისის მიხედვით. მაშასადამე მთელი საგნობრივი სისტემატიკა სისულელეა. ჩვენ მუდმივ პროცესში ვიმყოფებით, რომელშიაც მხოლოდ სულით „შეზღუდული“ მიისწრაფის „შემუშავებულ“ განათლებისაკენ. ქვეყნიერება იმდენად დიდია, რამდენად ჩვენ მას ვხედავთ, საქმე მასალის რაოდენ-

ობაში კი არ არის, არამედ სიხარულში მეცადინეობის დროს და სულიერ საწინდარის განვითარებაში. მასალის სწავლება მასალებში კი არა, სულიერ ძალებშია. საყურადღებო ის კი არ არის რა გაიგეს, არამედ თვით გაგება. ამიტომ არ არის მასალა სრულიად საჭირო და უნდა ჩაითვალოს ის მხოლოდ განათლების საშუალებად.

და თუ ინტელიქტუალური ტატნები ესე გაფართოვდა, მაშინ სკოლას ხედავითად მხოლოდ ერთი მიზანი: შეიყვანოს ბავშვები მეცნიერების მეთოდში. პირველ შეხედვით ეს ძალიან საშიშია, ნამდვილად კი ფრიად მარტივი, რადგანაც იგი აჩვენებს ბავშვებს აზროვნებას, მეცნიერება ხომ სწავლულთა საკუთრებას არ შეადგენს—მას ჩვენ შევხვდებით ყოველ სახელოსნოში, სადაც გონივრულად მუშაობენ ნაწარმოებ ნივთების გასაუმჯობესებლად, რადგანაც ცხადია, რომ მეცნიერება მხოლოდ დაკვირვებათა სიმართლე და აზრთა შემდგომლობაა. მეცნიერება არ არის რაღაცა ცალკე საიდუმლო ხელოვნება, იგი ჩვენშია. სკოლას შეუძლიან აგრეთვე მოგვცეს იმისი შეგნება მეცნიერულის ფორმით, რომელიც შეფარდება ბავშვის შეგნებას. ჩვენ მხოლოდ უნდა მოვახერხოთ ბავშვის თვალსაზრისზე დადგომა, შევხედოთ ქვეყნიერებას იმის თვალებით და გადავლოთ ახალი მასალა. ყოველი ახალი საგანი დაახლოვებულ უნდა იქნას ბავშვის აზრთა სფეროს; ჩვენი გამოხატულება უნდა მოქმედობდეს მის ყოველ დღიურ ცხოვრების ფარგალში; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი საგანი გაუღვიძებს ბავშვს ახალ აზრს. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი! მაგრამ რამდენად მივეჩვიეთ ჩვენ მეცადინეობისათვის ავიღებთ სკოლის მასალას.

წეობის ამისთანა ზნეს, გვიჩვენებს ფიზიკის სახელმძღვანელოების გადასინჯვა, რომლებშიაც გადმოცემა ძალიან ხშირად არა შორდება სისტემის სიმალღებებს; ამიტომაც იგი არ უღვიძებს მოწაფეთ საჭირო ასოციაციებს, — რაც აუცილებლად საჭიროა; საგანი გადმოცემულია იმისთანა არა ბავშვურის ენით, რომ ვერც ერთი მოწაფე ვერ წაიკითხავს მას სიამოვნებით. ნამდვილად კი ეს ფიზიკის დარგი სრულიად ახალი დარგია ბავშვისთვის; იგი როცა შედის ამ დარგში, თავს ანებებს ყველა ტრადიციებს და ვერც კი ამჩნევს, რომ მან უნდა განაგრძოს ის, რასაც რამდენისამე წლის განმავლობაში აკეთებდა, — ე. ი. გააკეთოს ცდები და ფიზიკური დაკვირვებანი. განა ბავშვი ასჯერ მაინც არ დაჰკვირვებია სიმძიმეებს, რაოდენობას, მაგარ საგნებს? განა ბავშვმა არ იცის აზარმაცის ათასნაირი მოხმარება? განა მისთვის ნაცნობი არ არის სარკე, გორგოლაჭები, მაშა, დანა და განა არ დაჰკვირვებია სითბოს, ხმას და სინათლეს სხვა და სხვა სახით? ნეტავ მოიძებნებოდნენ მასწავლებლები, რომ ბავშვისთვის გასაგებ ენით დასწერონ ეს მშვენიერი მასალა! აი მაშინ გამოცოცხლდებოდნენ ბავშვები. მაშინ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდა არა მარტო თავი, არამედ ხელებიც. რამდენ დროს ვანდომებთ გეოგრაფიულ ექსპედიციების ყველა შედეგების სისტემატიურად გადმოცემას; მაგრამ ახალგაზრდობა სრულიად ვერ იგებს, ან იგებს სხვათა შორის იმას, თუ რამდენი ზნეობრივი და ფიზიკური ძალის მსხვერპლი იქნა მიტანილი აღმოჩინებათა ეპოქაში და აწინდელ მეცნიერულ ექსპედიციებში. ესევე ითქმის ისტორიის სწავლების შესახებ. ბავშვებს თავდაპირველად იმისთანა გადმოცემები

უნდა მივაწოდოთ, რომლებითაც ისინი დასტკბებიან, როგორც მოთხრობით. შემდეგ თვით მოწაფეები გადმოიტანენ მოქმედებას ჩვენ დროში, სხვაფრივ ვერც მოიქცევიან, — და ნახავენ, რომ მოთხრობაში აღწერილ ცხოვრების პირობები სრულიად სხვაა; ამით ყალიბდება ეპოქის შეგნება და ნიაზი ისტორიისადმი.

ზნეობის სწავლებაშიაც ჩვენ ორჰოფულის გზით მივდივართ, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ მივიდეთ ადამიანთა დამოკიდებულების პრობლემებთან, რომელიც გამომდინარეობენ ჩვენი ცხოვრების პირობებიდან. ჩვენ გვაფიქვდება, რომ ზნეობის სწავლების ერთ-ერთ საუკეთესო ღონისძიებათ იქნებოდა სამშობლო ლიტერატურის ღრმა შეგნება და გაცნობა: ხომ არის თემა, პოეტების მიერ უფრო ღრმად გამოხატული, დასურათებული, ვიდრე თვით ადამიანის ცხოვრება? ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ გარეგნულ მხარეს, პოეტის ენას იმ დროს, როცა პოეტი მთელი თვისი მჭერმეტყველობის ძალით სცდილობს წინ გამოსწიოს თხზულების ადამიანური შინაარსი. ამ რიგად პედანტი-მასწავლებელი გვერდს უხვტვს, ატყუებს პოეტის საუკეთესო განძრახვათ! ჩვენ ანგარიშის სწავლებაშიაც სინამდვილეზედ უარს ვამბობთ, იგივე მეორდება ბუნების მეტყველების სწავლებაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ საუკეთესო მასალა იჩენს საუკეთესო ღონეს. ჩვენ ვერ მივალთ მასალის საუკეთესო შერჩევამდინ, თუ მთელ ქვეყნიერობას დავეყოფთ თავებზედ, რაც სახელმძღვანელოებში ხშირად ხდება. ყოველივე ცოდნის დარგი უნდა ნათლად გამოიხატოს ლექსში, აღწერილობაში, ამასთან ხალხურის ენით; მხოლოდ მაშინ მივალწევთ დიდ შედეგებს ინტელექტუალურ განვითარებაში. სკოლა დღითი

დღე უახლოვდება ლიტერატურას, ბოლო ედება ქრესტომატიას და იწყება ეპოქა სკოლის ბიბლიოთეკისა. ეს იმდენად მრავალმნიშვნელოვანი საკითხია, რომ საჭიროა ცოტახნით მასზედ შეჩერება. შემეცნების ინსტინქტი თან დაყოლილი აქვს ადამიანს, მაგრამ ხშირად ვეჭვობთ ვაი თუ ვახშობთ მას სკოლაში იმის მაგივრად, რომ განვაფიქროთ. ამაში უპირველეს ყოვლისა დამნაშავეა ჩვენი სამწუხარო პედანტიური სწავლება. მთელი ჩვენი წვრილმანი სისტემა გამოკითხვისა ვერ იტანს აქტივობას. თუ მასწავლებელი იმისთანა პასუხებით კმაყოფილდება, რომლებიც იმის მოსაწყენ კითხვების ფარგალში თავსდება, ცხადია, ის ვერ გაიგებს ვერაფერს ბავშვების საკუთარ აზრებიდან. თუ მოწაფეებმა უნდა მოისაზრონ ის, რაც მათთვის მასწავლებელმა მოიგონა, აშკარაა ისინი სრულიად არა ფიქრობენ. ჩვენ ყველაფერს ვაჩლუნგებთ, ვადუნებთ, ვაფუჭებთ სწავლების მთელ შედეგს, რადგანაც გვწადიან ცალმხრიული განვითარება. ამას მხოლოდ გარეგნულად მივალწევთ. კლასში, რომელშიაც გამეფებულია სულიერი ცხოვრება, მუდამ სიხანს უდიდესი განსხვავება. ან სხვაფრივ როგორ იქნება? ამიტომ ბავშვს უეჭველად უნდა მივცეთ მეტი აზრი, ვიდრე ეხლა ეძლევათ, თუ გვინდა გამოვარკვიოთ მისი აზრი, რადგანაც ერთხელ და სამუდამოთ დამტკიცებულია, რომ სულიერი მხოლოდ სულიერისაგან იგზნება.

ჩვენ უფრო მეტს ვხედავთ, რომ ჩვენი კლანქი, მოუხაშავი მეთოდური ხელობა უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი აზროვან, გამომკვლევად სულის ნაზ ფსიხოლოგიურ მექანიზმისათვის. საქმე იმაშია, რომ საჭიროა ძალა, რომელიც უცხო მასალას შეიმუშავებს და

ორგანიულ საკუთრებად გახდის. თუ ჩვენში ეს მასალა იმისთანა ღონეთ არ იქცა, რომელიც მიიზიდავს ახალ მასალას, მაშინ პროცესი, რომელსაც „განათლებას“ ვეძახით, ფიცხლავ შესდგება. ყოველი ცოდნა არის აქტივობა. ყოველი შეგნება არის კავშირის შექმნა და უნებლიეთი ინსტინქტიური მუშაობა სულისა. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სული არის მოვლენათა ინსტინქტიური შეუღლება და შეკავშირება თავის დაცვის აზრით. რასაკვირველია, ამისთანა აქტივობა შეკვეთით არ იქნება, ეს წინააღმდეგობა იქნებოდა; ეს აქტივობა ან თავისუფალია, ან იგი სრულიად არ არის, მესამე მდგომარეობა არ არსებობს. ჩვენ ნებით ვერ შევქმნით შეგნების სიხარულს. არა ნაკლები საყურადღებოა ბავშვის ცდის დარგის გამავრება და დასაბუთება. შეიძლება ითქვას, რომ ერთად ერთ სასწავლო მასალად უნდა იქმნას გამორკვევა და გამავრება ცდისა და მოგონებათა, მათი გაწესრიგება, შედარების შემწეობით გაფართოვება და გაღრმავება. სხვა სასწავლო მასალა არ არის და არც იქნება, რადგანაც როგორც-კი თავს დავანებებთ ამ ნიადაგს, ფიცხლავ ცარიელ ორმოში ვცვივით, და ვაძლევთ მოწაფეთ ცარიელ ხმებს. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა გავიაროთ „ახალი“ და ვერც ვიზამთ ამას, რადგანაც ბავშვს დამზადებული არა აქვს წარმოდგენები, რომლებიც ამ ახალს შეითვისებდნენ. ჩვენ გვეტყვიან, რომ „ამ შემთხვევაში ეს ახალი სალუქი გავხადოთ“. განა მაშინ ეს ახალი ისევ უცხო მასალად არ დარჩება? რაში გამოიხატება ბავშვის აქტივობა, რომელზედაც დამოკიდებულია მისი სულიერი ზრდა, თუ ჩვენ ვამტკიცებინებთ ბავშვებს,—რომ ეს ლურჯია, ეს კი კონუსის ფორმისა? ეჭვს გარეშეა, ჩვე-

ნი სალუქი სახელმძღვანელოები მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელოებია. ჩვენ ვი-  
ძახით: არ შეიძლება არ ვასწავლოთ ბავ-  
შვებს ან ეს, ან ის, გინდ საერთოდ ეს  
იმისთვის უცხო იყოს. მაგრამ ამას მათი  
საერთო განათლება თხოულობს. განა  
შეუძლიან სკოლას მისცეს ბავშვს ყვე-  
ლაფერი? საკმარისი არ არის იმისთანა  
მეთოდის შექმნა, რომელიც შეაძლები-  
ნებს ადამიანს მეტის შემეცნებას? ან  
განა ძალგვიძს ჩვენ წარმოდგენათა ერ-  
თი მეთასედი ნაწილის შეგნება, შეთვი-  
სება? ჩვენ უშლით ახალგაზრდობას თვალ-  
წინ ნამდვილ წყაროებს იმით ღონისას,  
ვამაგრებთ წარმოდგენებს. რადგანაც ეს  
არის ცხოვრებაში გამოსვლის ის ბაზისი,  
რომლის შემწეობითაც იგი დაიპყრობს  
ქვეყნიერებას.

რა ძვირფასია იმ მოგონებათა საგანძუ-  
რი, რომელსაც ბავშვი ატარებს! რომ  
გავიგოთ ეს, საჭიროა გავაკეთოთ შემდე-  
გი პატარა ცდა. ბავშვის ენა და ჩე-  
ნი სახელმძღვანელოებისა შეიცავენ  
ათას „შეგნებათ“, რომელნიც გან-  
სახიერდნენ ბავშვში დაუსრულებელ ცდათა  
მორევიდან. რადგანაც ყოველსავე შეგნე-  
ბასთან ერთად შეიძლება მოვიგონოთ  
ათასი სხვა და სხვა შესაძლისები, ამიტომ  
ენაში ჩვენ გვაქვს ბევრი შეხებითი წერ-  
ტილი, რომელსაც ერთბაშით შევყვართ  
ცხოვრების მრავალ კუთხეებში. ნუ შეგვე-  
შინდება, თუ არ გვეყოფა აგური შენო-  
ბისათვის. თუ მოწაფეები მიეჩვენებენ, ყვე-  
ლაფერში, ნახულში და განცდილში თა-  
ვიანთ თავს ანგარიში გაუწიონ, მაშინ  
ისინი უფრო ღრმად ჩაუკვირდებიან ცხო-  
ვრების მოვლენათ, იმათი სული ღიაა  
ყოველდღიურ ცხოვრების სილამაზისთვის  
და სასწაულებისათვის.

პატივი ეციოთ ბავშვის სულს! თანამედ

როვე პედაგოგიკის სარეფორმაციო მო-  
მოდრობა დაჟინებათ თხოულობს ამას.  
რა იყო აქამდის ჩვენთვის ბავშვი? არაფე-  
რი, სუფთა ფიციარი, რომელზედაც უნდა  
დაიწეროს სხვა და სხვა საგანძურები. ის  
სულიერი ცხოვრება, რომელსაც ბავ-  
შვი თავისში ატარებდა, სულ ერ-  
თია ჩვენთვის; ჩვენ არც კი ვიცით, რა  
უყოთ მას, ჩვენ ხელოვნურად აგვყავს  
შენობები და სრულიად არა ვზრუნავთ  
ბავშვის ნიაზზედ: ჩვენ ვთხოულობდით  
მათგან სრულ დამონავებას; ეს ერთის  
მხრივ სასარგებლო იქნებოდა, თუ აღმზრ-  
დელები მისცემდნენ ასეთსავე ნებას  
მოწაფეებს.

თუ თვალს გადავაგვლებთ მეცადინეო-  
ბის განვითარების სვლას, დავინახავთ,  
რომ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში  
ახალგაზრდობამ გზა გაიკაფა თავის ნია-  
ზისაკენ.

თავდაპირველად ვხედავთ, რომ სძლევს  
მშრალი მასალა, რომელსაც თხოულობს  
მომავალი ცხოვრება. მასწავლებლები  
გრძნობენ, რომ ბავშვები მეტს ას-  
წრობენ იმ შემთხვევაში, თუ მათს მო-  
თხოვნალებას ანგარიშს გაუწევენ და  
ერთად იმუშავენ. ამ რიგათ სახელ-  
მძღვანელოები უფრო ცოცხალ ხასიათს  
ღებულობენ, უფრო შინაარსიანდებიან,—  
ამაზედ უარს ვერავინ იტყვის. რანდენა-  
დაც მეტად გავსჭვრეტთ ბავშვის სულს,  
იმდენად მეტ ნიაზს დავინახავთ მასში.

სრულიად აშკარაა, რომ ამ ნიაზს ჩვენ  
ვერ გავიგებთ ვერც ხმის ჩამოტარებით,  
ვერც ანარქიის პარპაშობის დროს. ან  
როგორ გამოარკვევენ ამ კითხვებს ბავ-  
შვები, თუ არ წარმოიდგენენ მეცადინეო-  
ბის ყველა შესაძლისობას? ან როგორ  
შეგვხვებით ისე მის სულს, მის არსებას,  
თუ რაიმე ჩვენსას არ მოვახვევთ თავზედ?



პირ იქით ჩვენ უნდა ვსთქვათ: თუ ბავშვებს არ მივაწვდით იმ საუკეთესოს, რის მიცემაც შეგვიძლიან, ვერ შევძლებთ მათ საუკეთესოს გამოაშკარავებას. ჩვენ მხოლოდ ძალა არ უნდა დავატანოთ, სხვა ღონისძიებანი არ უნდა ვიხმაროთ, გარდა იმისა, რაც ბავშვებს აქვთ; ეს არის სიტყვა, საჭირო საფუძველი, ნათელი დამტკიცება, სწორე დაკვირვებანი, გადმოცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ნება ერთის მხარისა: ახალგაზრდობას ძალას ატანენ და მაშინ, რასაკვირველია, ვერ გავიგებთ რითი სცხოვრობს იგი, რა ამოძრავებს მის სულიერ ცხოვრებას. ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს არა ინდივიდუალურ სწავლებას, არამედ კლასურს. თავის ამხანაგებში ბავშვი ნუგეშს ხედავს; ამ შეერთებულის ძალით ისინი ინტელექტუალურ წინააღმდეგობას უწევენ უფროსების შეხედულობათ და აზრებს. მასწავლებელმა, რომელიც კლასის წინა სდგას, უნდა მეტი სულიერი ღონე მოანდომოს მეცადინეობას, ვიდრე იმან, რომელიც ერთ ბავშვს ასწავლის; მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც თავდაპირველად ბავშვების აზრები იქსაქსებიან სხვა და სხვა მიმართულებისაკენ, შემდეგ კი მათზედ მოქმედობს. ორი ფაქტორი: სამეცადინო მასალის სივრცე, რომელიც აძლევს იმპულსებს გონების სხვა და სხვა მიმართულების ჭკუას და შემდეგ კლასის ინდივიდუალური მიმდინარეობა. ასეთი მუშაობა, — უზენაესი პედაგოგიური სიბრძნეა, რადგანაც მათში ხორციელდება სიხარული შემოქმედებისა და საქმისა. მასწავლებელიც მოიხმარს მას თავისთვის, შეუმჩნევლად გადაიტანს მას თავის დარგში. მაშასადამე მეცადინეობის დარგში კლასს უნდა მიენიჭოს თვით გამორკვევის ნება, და როგორც

უნდა სწამდეს მასწავლებელს აუცილებლობა და სარგებლობა თავისი მასალისა, იგი მაინც გაფაციცებით უნდა უგდებდეს ყურს, თუ რა მიზნისაკენ მიისწრაფის ახალგაზრდობის დაფარული სურვილები.

პატივი ეცით ბავშვის სულს! ამ ბრძანებამ უნდა შეგვაჩეროს ყოველივე ჩაგონებისაგან და ძალდატანებისაგან ბავშვის სულიერ ცხოვრებაზედ. ის, რასაც ვერ დავამტკიცებთ უტყუარ და ცხად საბუთებით, არ შეიძლება შეიქმნას სამეცადინო თემად. უარი უნდა ვთქვათ ყოველ გვარ ძალდატანებით გავლენაზედ. ამისთანა გავლენა იწვევს მოწაფეებში ფარულ რეაქციას და სპობს კარგ განწყობილებას კლასსა და მასწავლებლის შორის. სახელმწიფო სკოლის პრინციპებთან ვერ მოთავსდება გაჯავრება, ყოველ ჟამს დარიგება: უნდა ბოლო მოეღოს დაწესებულებებს ადამიანის აზრების და შეხედულობათა ძალდატანებით შექმნისათვის — ყველა ეს ეკუთვნის შუა საუკუნეს, და არსებით ეწინააღმდეგება აწინდელ შეხედულობას. ეს „პედაგოგია“ სხვა და სხვა საშუალებათა შემწეობით სცდილობს დაიპყროს ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრება: იგი აგულებს ადამიანს თანდაყოლილ ბოროტ ნებას, რომელიც შეიძლება გაიტეხოს, თუ მან თავდაპირველადვე ხელში მაგრა დაგიჭირათ. ეს უარყოფითი დამოკიდებულება კაცობრიობისაგან თავის თავს თვითონვე ჰკიცხავს. ვინც მთელის ძალ-ღონით სცდილობს გაანადგუროს „ადამიანობა“ და უკუ აგდებს მას, იმას კაცობრიობა თავის მხრივ უკუ აგდებს.

ჩვენ ვთხოვლობთ საკანონმდებლო გარანტიას მოწაფეთა სულიერ ცხოვრების

დასაცავად, ჩვენ გვინდა მოწაფეთა რწმენის თავისუფლება.

მასწავლებელი აწვდის მოწაფეს კულტურულ საგანძურების ცოდნას, იგი აძლევს მათ ახსნას, ასწავლის იმ იარაღით მუშაობას, რომლითაც იქმნება სულიერი სიმდიდრე და სხვა.

პედაგოგიურ თვისებათა გამოჩენას ვერაფრის მოვთხოვთ, ძალას ვერ დავატანთ, რადგანაც საქმის ერთგულება, სიტბო, აღფრთოვანება ძვირფასია მაშინ მხოლოდ, როცა ბუნებრივია, მათი ყიდვა სახელმწიფოს ვერ ძალუძს. სახელმწიფო სკოლა, ნამდვილ აღმზრდელ სკოლად ვერ გადაიქცევა: ამის გარანტია შეუძლებელია. პედაგოგია ვერ შეიქმნება სახელმწიფო კანონმდებლობის ობიექტად, იგი უნდა იყოს დიდ, დაუსრეტელ თემად პედაგოგიურ საზოგადოებათა საქმისათვის. მხოლოდ მაშინ აყვავდება პედაგოგია როგორც ხელოვნება და მეცნიერება, მხოლოდ მაშინ მიაღწევს სკოლა უმაღლეს შედეგებს, მხოლოდ მაშინ აასრულებს თავის დანიშნულებას: იგი

დაამტვრევს ბორკილს, რომელიც ჰქმნის ადამიანისაგან უნებო, უღონო ნაყოფს გარემო წრისას. მხოლოდ მაშინ განვითარდება ადამიანში ადამიანური.

აი სურათი აწინდელი პედაგოგიკისა. ობიექტიურია ეს სურათი? რასაკვირველია, არა, რადგანაც ყოველივე ჩვენგანი მხოლოდ ნაწილია დიდი მდინარისა. თუ ჩვენ ვგრძნობთ საით მიისწრაფის ეს მდინარე, თუ ჩვენ განვიცადეთ, ვიგრძენით ის, რაც აღეღვებს და ამოძრავებს ჩვენ დროს; მაშინ ხომ ამ მოძრაობის მიზანი ნათელია, ვით დღე.

თუ საჭირო იქნება ჩვენ პედაგოგიურ მისწრაფებათა შინაარსის რამდენიმე ლოზუნგით გამოთქმა, მაშინ მე ვირჩევ სამ სიტყვას: ჩვეულება, თავისუფლება და ნაყოფიანობა. აღზრდა კეთილისადმი გრძნობისა, მუყაითი მოქცევა ბავშვის ნიაზთან, ბავშვის თავისუფლებასთან და განვითარება ბავშვის პიროვნებისა— აი ნამდვილ მასწავლებლის მოვალეობა.

„Русская школа“. № 3. 1914 წ.

კატო ბაქ—ძე.

## ახალი ხანა სამკურნალო მეცნიერებაში

ადამიანის გაჩენისთანავე ქვეყნად გაჩნდა მრავალი სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობა, რის გამოც ადამიანს კიდევ უფრო გაუმრავლდა თავისი ტანჯვა და ვაება და გაუძნელობდა ბრძოლა არსებობისათვის.

ჩვენი ისედაც ხან-მოკლე სიცოცხლე მუდმივ განსაცდელშია მრავალ სხვა და სხვა ავადმყოფობათა გამო; ადამიანი სულ მუდმივ შიშსა და ფიქრშია, რომ როგორმე აარიდოს თავი ავადმყოფობის განსაცდელს.

ჯერ კიდევ ძველადვე შენიშნულია მრავალ ავადმყოფობათა შორის ერთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც მით განირჩევა, რომ გადამდები თვისება აქვს. ჩვენი ხალხი მას სახადს ეძახის, აგრეთვე „ბატონებს“. საკმარისია ერთს სადმე აღვიღას ამ გვარი სენი გაჩნდეს, რომ მთელს იქაურობას მოედოს, თუ რომ ზოგიერთი გარემოებანი ხელს შეუწყობენ. ამ გვარ ავადმყოფობათა ჯგუფს ეკუთვნის: წითელა, ყვავილი, ხუნაგი, ხოლვი-

რა, შავი კირი და სხვა. ყველა გადამდებ სენს ერთგვარი გადამდები ძალა როდი აქვს; ზოგს უფრო სუსტი, ზოგს კი უფრო მეტი გადამდები ძალა აქვს. ეს კი დამოკიდებულია იმ საწამლაზე, რომელშიაც მდგომარეობს ამა თუ იმ სენის გადამდები ძალა.

მე აქვე უნდა ავხსნა, თუ რა არის ეს გადამდები ძალა.

ადამიანის გონება ყოველთვის ცდილობდა აეხსნა ეს საოცარი თვისება გადამდებ სენისა; სცდილობდა გამოერკვია, თუ რაში მდგომარეობს ეს მომწამლავი ძალა. სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ხალხსა ჰქონდათ თავისებური წარმოდგენა ამის შესახებ. მაგრამ იგი ყოველთვის მოკლებული იყო სიმართლეს და ჰქონდა უფრო ფანტასტიური სარჩული, ამ ახსნაში ხალხის ცრუმორწმუნოება იხატებოდა.

რასაკვირველია, ჩვენ ხალხსაც აქვს თავისი ამ გვარი წარმოდგენა: ჩვენი ხალხი გადამდებ სენს ბატონებს ეძახის; ეს ბატონები ხალხის წარმოდგენით ანგელოზები არიან, იქ, სადაც ეს ბატონები ესტუმრებიან, გაჩნდება ესა თუ ის სენი—სახადი. ხალხის წარმოდგენით ამ გვარ ავადმყოფობას წამლობა არ უნდა, განსაკუთრებით ექიმის მოყვანა. ხოლო წამლობა ბატონებიან ავადმყოფისა იმაში მდგომარეობს, რომ დაანთებენ ბაზმას, უგალობენ იავ-ნანას, რათა ამით მოულობონ გული ბატონებს და ასიამოვნონ მათ. იქვე ტახტზე ავადმყოფს გაუწყობენ წითელ კვერცხებს, ყინვარი შაქარს და სხვა და სხვა ტკბილეულობას; ხალხის წარმოდგენით ბატონებს წითელი ფერი მოსწონთ, აი ამიტომაც ავადმყოფის გარშემო ცდილობენ ყველაფერი წითელი ფერისა იყოს\*).

\*) დღეს მეცნიერებაში უკვე დამტკიცდა,

სხვა ტომის ხალხთაც აქვთ ამის შესახებ თავისებური წარმოდგენა, მაგრამ მათშიაც სრული ცრუმორწმუნოება იხატება.

თვით მეცნიერებაში ძველადვე ყოფილა წარმოთქმული სხვა და სხვა აზრი, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს მოკლებული აღმოჩენილა ბოლოს.

დადგა მესამოცე წლები და მედიცინაში მოხდა ფრიად შესანიშნავი ცვლილება: გენიოსმა პასტერმა მიკროსკოპის საშუალებით აღმოაჩინა ფრიად განსაცვიფრებელი, თვალთ უჩინარი არსებანი; თურმე ჰაერი, წყალი, ერთი სიტყვით მთელი ქვეყნიერება სავსე ყოფილა მრავლის მრავალი პაწაწკინა არსებებით, რომლებიც თუმც მათ ჩვენ ვერ ვხედავთ თვალთ, მაგრამ ნამდვილი ცოცხალი არსებანი ყოფილან: ცოცხლობენ, მრავლდებიან, იხოცებიან, ერთი სიტყვით ნამდვილი სიცოცხლის ბეჭედი აზით. ამასთან ისიც აღმოჩნდა, რომ მათ საკვირველი თვისებაც ჰქონიათ გამრავლებისა: რამდენისამე საათის განმავლობაში ერთი ამ გვარი პაწაწკინა არსება ათი ათასად მრავლდება. სახელად მათ დაერქვათ „მიკრობები“ ესე იგი ქართულად „პაწაწკინა არსებანი.

რასაკვირველია ამ საუცხოვო არსებათა აღმოჩენა ძლიერ შესანიშნავი მოვლენა იყო; მაგრამ მეცნიერებმა ის კი არ იცოდნენ, თუ რა მიზნით იყვნენ იგინი გაჩენილნი ქვეყნად. მარტო იმითი, რომ იგინი არსებობდნენ ქვეყანაზედ, სჩანდა, რომ რაიმე დანიშნულებაც ექნებოდათ მათ. დიდ ხანს ვერ მიმხვდარიყვნენ, ბევრს

რამ წითელფერს—მზის წითელ სხივებს გამკურნავი თვისება აქვს, უფრო გვაძლიერებს სენით ავადმყოფი ადვილად რჩება ამ წითელი სხივების გავლენით. ასე რომ ჩვენი ხალხი, მეცნიერებაზე ადრე, თავისი ადღოთი მიხვედრიდა.

ფიქრობდნენ ამაზე და ბევრი სხვა და სხვა აზრიც წარმოითქვა მეცნიერებაში, მაგრამ ნამდვილად კი ვერვინ ვერარა სთქვა. პასტერმა გამოიკვლია კიდევ აი რა: საფრანგეთში სადაც მრავლად მოჰყავთ აბრეშუმის ჭია და ღიდი ალებ-მიცემობაა, უცბად გაჩნდა სენი, რომელმაც თითქმის სულ გაანადგურა აბრეშუმის ჭია, რასაკვირველია ღიდად დაღონდნენ ფრანგები, რადგან ეს საშინლად საზარალო იყო მთელი სახელმწიფოსთვის; ბევრს ეცადნენ გაეგოთ მიზეზი ამ საშინელ გადამდებ სენისა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ვერავინ გაიგო.

ბოლოს გაგზავნეს მეცნიერი პასტერი იმ ადგილას, სადაც ეს ჭირი აბრეშუმის ჭიაზე მძინვარდება. პასტერი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, იმდენად გამოჩენილი არ იყო, როგორც მერმე შეიქმნა. არ გასულა ღიდი ხანი, რომ პასტერმა მიკროსკოპის საშუალებით აღმოაჩინა ერთ გვარი მიკრობი, რომელიც ყოფილა მიზეზი ამ სენისა. გაიგეს თუ არა ეს სხვა მეცნიერებმა, მაშინვე ნეკზე იკბინეს: იფიქრეს, თუ ამ აბრეშუმის ჭირის ავადმყოფობის მიზეზი მიკრობი ყოფილა, მაშ მოდი ვნახოთ იქნება სხვა გადამდებ სენსაც თავისი მიკრობი ჰყავსო. მართლაც დაიწყეს გამოკვლევა და თანდათან სხვა და სხვა გადამდებ სენს თავისი საკუთარი მიკრობი აღმოუჩინეს. ამაში ღიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანელ მეცნიერს კოხს; ეს ღიდად აღმოჩენა პასტერისა თანდათან შეიმუშავა და განავითარა კოხმა; კოხის სახელი უკვდავია მეცნიერებაში განსაკუთრებით სამი ღიდად აღმოჩენით — ეგრედ წოდებული „ტრიადით“, მან სამ საშინელ სენს აღმოუჩინა თავისი საკუთარი შხამიანი მიკრობი — ციმბირის ჭირს, ქლექსა და ხოლერას. ეს იყო უტ-

ყუარი და ბრწყინვალე საბუთი იმის, რომ ყოველი სახადი მართლა გამოწვეულია ხოლმე თავისივე მიკრობის შხამით. ამას მოჰყვა სხვა მეცნიერთა გამოკვლევანიც, რომელთაც კიდევ უფრო გამოარკვეეს ეს საკითხი. შეიმუშავეს მიკროსკოპის ტექნიკური მხარე მიკრობების აღმოსაჩენათ ავადმყოფის ნახველში, სისხლში და სხვა ორგანოთა სითხეში; ბოლოს ისე დახელოვდნენ, რომ შესაძლო შეიქმნა სხვა და სხვა შხამიანი მიკრობების ხელოვნურად გამრავლება-მოშენება ზოგიერთ მასაზრდოებელ სითხეში (მაგ. ბულიონში). თანდათან შეისწავლეს მიკრობების შხამი და თვისებანი, ცდილობდნენ გაეგოთ თუ რა საშუალებანი უწყობენ ხელს მათ გამრავლებას და რა აბრკოლებს; მიაქციეს ყურადღება აგრეთვე იმასაც, თუ რა გზით ებრძვის ადამიანის სხეული მათ.

რას წარმოადგენს მიკრობი? ის არის ერთ-უჯრედიანი არსება. ერთგვარი მიკრობი მეორე გვარისაგან განირჩევა როგორც თავისი მოყვანილობით, ისე განსაკუთრებით ბიოლოგიური თვისებებით. თანდათან აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური ძალა ერთგვარად როდი მოქმედობს სხვა და სხვა გვარ მიკრობებზე: ერთზე რომ მოქმედობს, მეორეზე არავითარ გავლენას არ ახდენს. ზოგი მიკრობისთვის საჭიროა ისეთი ნიადაგი გამრავლებისათვის, სადაც საკმარისათაა მყავ-ბადე, ზოგი კი მრავლდება იქაც, სადაც ეს მყავ-ბადე სრულებით არ არის. ელექტრონის ძალაც სხვა და სხვა ნაირადაც მოქმედობს მიკრობებზე: ზოგს ანოდი იზიდავს, ზოგსაც კატოდი. ზოგი მიკრობი მზის სხივების სინათლეს მიეღობის; არის ისეთიც, რომელიც სინათლეს გაუბრუნებს და მხოლოდ სიბნელეში მრავლდება. განსაკუთრებით ღიდ გრძნობიერებას იჩე-

ნენ მიკრობები სხვა და სხვა გვარ ქიმიურ ნივთიერებისადმი. აი მაგალითად, ამის ნიმუში არის ერთგვარი მიკროორგანიზმი—*Aspergillus niger*, რომელზედაც არავითარი გავლენა არა აქვს არც სულეიმანს, არც კარბოლის სიმეფეს და არც სხვა ამ გვარ მიკრობებისათვის გამანადგურებელ ნივთიერებას; ისეთი აგებულებისაა ეს პაწაწკინა არსება, რომ ჩამოთვლილი ნივთიერებანი ვერას აკლებენ მას, ვერც ხელს უშლიან მის განსხვავებას, მაგრამ ამასთანავე საკმარისია მიუმატოთ იმ სითხეს, სადაც ეს მიკროორგანიზმი ხელოვნურად მოშენებულია მხოლოდ ერთი წვეთი წყალი, სადაც 1,600,000 ლაპისისა\*) (ჯოჯოხეთის ქვისა) გახსნილი, რომ ცოტა ხანს შემდეგ ეს მიკროორგანიზმი სრულებით გაწყდეს; ეს გრძნობიერება ლაპისადმი (ვერცხლისადმი) იქამდის მიდის, რომ საკმარისია ეს სითხე, სადაც მიკროორგანიზმა მაშენებელი ვერცხლის ჭურჭელში ჩასხათ, რომ მისი გამრავლება შეჩერდეს. აი ასეთ გრძნობიერებას მეცნიერებაში დაერქვა სახელი „ქიმიო-ტაქსისი“, სწორედ ამ თვისებით, მიკრობის ამ გვარ გრძნობიერებით სხვა და სხვა გვარ ქიმიურ ნივთიერებისადმი ისარგებლა ერლიხმა „606“ (914) აღმოჩენის დროს; მაგრამ ამაზე ქვემოდ.

მაშასადამე ის, რასაც ჩვენი ხალხი ბატონებს ეძახის, თურმე მიკრობები ყოფილა. ამიტომ არის, რომ გადამდები სენი ისე უცბად დიდ მანძილზე ვრცელდება, რადგან ჰაერის წყალობით მიკრობები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და იქ, სადაც ისინი მოხვდებიან, შხამავენ

\*) ლაპისი ანუ ჯოჯოხეთის ქვა არის ქიმიური შეერთება ვერცხლისა და აზოტის სიმეფისა.

ადამიანის სხეულსა და ამ გვარად აჩენენ ავადმყოფობას. ზოგიერთ გადამდებ სენს თავის სამშობლო აქვს, სადაც იგი მუდმივ მძინვარებს, ეს იმით აიხსნება, რომ იმ ადგილას ზოგიერთი გარემოებანი ხელს უწყობენ მის მიკრობების გამრავლებას. ამ გვარად ინდოეთში ხოლერა მუდმივია, შავი ჭირის სამშობლოს შეადგენს მესოპოტამია და ეგვიპტე და სხვა.

აი ამ გვარად, როგორც მოგახსენეთ, თანდათან გამოიკვია, რომ მიზეზი სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენისა სხვა და სხვა გვარი მიკრობები ყოფილა, ამას მოჰყვა მიკრობების თვისების შესწავლა, ხოლო ამის შემდეგ ბრძოლაც უფრო ადვილი შეიქმნა ამ მიკრობების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა დაგვირგვინდა მით, რომ თანდათან შემოვიდა სხვა და სხვა გვარი აცრაც.

1796 წელიწადი აღნიშნულია მედიცინის ისტორიაში; ეს ის დიდებული წელიწადია, როდესაც ინგლისელმა ჯენერმა პირველად ბავშვს ყვავილი აუცრა; ეს წელიწადი აღნიშნულ უნდა იქმნას მთელ კაცობრიობის ისტორიაში, რადგან აქედან იწყება პირველი ბრძოლა გადამდებ სენის წინააღმდეგ. განვლო მას აქეთ მეცნიერთა განუწყვეტელ შრომის მთელმა წლებმა და კიდევაც შემოღებულ იქმნა მეცნიერებაში სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენის აცრა სხვა და სხვა გამკურნავი შრატითა.

ყველამ კარგად იცით, თუ რომ ადამიანმა ერთხელ როდისმე გადიტანა რომელიმე გადამდები სენი, მერმისში უვნებელი ხდება ამ სენის შხამისაგან, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, „მოიხდის“ ე. ი. მეორედ აღარ გახდება ავად.

აი ეს იყო დედა-აზრი, რომელიც დაიდვა საფუძვლად აკრისთვის. სანამ ჯენე-

რი ყვავილის აცრას შემოიღებდა, ეს სენი საშინელ უბედურებას და საცოდაობას ახდენდა; დღეს ვერც კი წარმოვიდგენთ, თუ რა შიშის ზარს სცემდა ადამიანს ყვავილის მარტო ერთი გაგონებაც კი. ათასობითა და ათიათასობით იუღიტებოდა ხალხი, ვერც მდიდარი და ვერც ლატაკი ვერ გადაურჩებოდა ყვავილის საწამლავის მომშხამავ ძალას, თვით მეფენიც კი იხოცებოდნენ. ერთი სიტყვით არავითარი ღონისძიება არ იყო ყვავილის მოარული-საგან გადასარჩენად. ვინც კი მორჩება ამ სენისაგან, ვაი იმისთანა მორჩენას! ძლიერ ხშირად ისეთი სამუდამოდ დასახიჩრებული დარჩებოდა, რომ სიცოცხლე მისთვის ვაება შეიქნებოდა.

რასაკვირველია, მაშინაც სკდილობდნენ რაიმე ღონისძიება მიეღოთ ყვავილის წინააღმდეგ. ერთად ერთი საშუალება მაშინდელ დროს იყო, რომ მსუბუქად ყვავილით ავად გამზნდარ ადამიანიდან ყვავილის ჩირქს საღზე გადაიტანდნენ, ამით ეგონათ მეორესაც, როდესაც შეჰყრიდნენ, ისევე მსუბუქათ გამოაჩნდებოდა ყვავილი, როგორც პირველს. მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის ასე როდი იყო; ხან მართლა ამ გვარად გადატანილი ყვავილი ძლიერ მსუბუქად მოჰკიდებდა ხელს, ხან კი ძლიერ მძიმედ, ისე მძიმედ, რომ სიკვდილით თავდებოდა ესეთი აცრა.

ჯენერის მიერ შემოღებული კი იმაში მდგომარეობს, რომ ასაცრელი ჩირქი ყვავილით ავადმყოფისაგან კი არ არის აღებული, არამედ ხბოდგან.

აქვე უნდა დავუმატო, რომ ყვავილით ხდება ავად არა მარტო ადამიანი, არამედ ზოგიერთი პირუტყვნიც და თვითვეულს მათგანს ეს სენი სხვა და სხვანაირად აჩნდება: ასე, მაგალითად, მაშინ როდესაც ცხვარს ყვავილის მძიმე ნიშნები აჩნდება

და მთელ სხეულზე მრავლად დააყრის, ძროხას და ხბოს სრულებით ადვილად ჰკიდებს ხელს, მხოლოდ ძუძუებზე გამოაყრის და უსიცხოდ გაუვლის. ეხლა რომ ჩვენ რომელიმე ცხოველისაგანაც კი რომ ავიღოთ ყვავილის ჩირქი და მით ავეცრათ ადამიანს, თუნდ სხვა ცხოველს, რომელიც ყვავილით ხდება ავად, დავრწმუნდებით, რომ ამ გვარად აცრილი არსება მეორედ აღარ გახდება ავად ამ სენით. ჯენერის მიერ შემოღებული აცრა იმაში მდგომარეობს, რომ ასაცრელათ ჩვენ ვხმარობთ ძროხის ყვავილის ჩირქს, ხოლო როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ძროხის და ადამიანის ყვავილის შუა ის განსხვავებაა, რომ ძროხის ყვავილის ჩირქის შხამი ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ადამიანის ყვავილისა. ეს განსხვავება კი წარმოსდგა იმით, რომ ყვავილის შხამმა ძროხის სხეულში განვლით დაჰკარგა თავისი ძალა.

რომ მართლა ადამიანის და ძროხის ყვავილი ერთი და იგივეა, ეს იქიდგანაც სჩანს, რომ ადამიანის ყვავილის ჩირქით შეგვიძლიან ძროხას ყვავილი შევყაროთ, ხოლო ამისთვის საჭიროა ცოტაოდენი მეტი მოთმინება, რადგან ადამიანიდან ადამიანზევე უფრო ადვილია ყვავილის გადატანა, ვიდრე ადამიანიდან ძროხაზე. ადამიანიდან ძროხაზე ამ გვარად გადატანილი ჩირქი ბევრად უფრო სუსტია ადამიანის ყვავილის ჩირქზე, მაგრამ აცრისთვის მაინც უფარგისია, რადგან აცრილს ადამიანს შეიძლება მაინც გაუძნელოდეს და რომ უფრო სუსტი შეიქმნეს და აცრისათვის გამოსადეგი იყოს, საჭიროა რამდენიმე ძროხის სხეულში გავატაროთ. რამდენიმე ძროხის სხეულში განვლით ყვავილის შხამი არა მარტო სუსტდება, არამედ ჰაერით გადადების თვისება-

საც ჰკარგავს. აქედან მედიცინა იმ დასკვნას დაადგა, რომ ძროხის ყვავილი უნდა იყოს ადამიანისაგან გადასული ძროხაზე და მის სხეულში განვლით შეცვლილი.

ჯენერის მიერ შემოღებული აცრა ყვავილისა შეიქმნა მაგალითი იმისა, თუ როგორ შესაძლებელი ყოფილა მიეცეთ ადამიანის სხეულს ისეთი ძალა, რომლის წყალობით რომელმამე გადამდებმა სენმა ვერა დააკლოს რა მას. ასეთ თვისებას ადამიანის სხეული მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას განგებ შეეყრიოთ ისეთ გადამდებ სენს, რომლის მომწამლავე ძალა უკვე დასუსტებულია.

ამგვარად შემოვიდა აცრა.

ეს ახალი საშუალება ბრძოლისა ყვავილის წინააღმდეგ შეიქმნა სამაგალითო, რომლითაც ისარგებლა ფრანგმა-გენიოსმა პასტერმა და პირველად აღმოჩენილი იქმნა მის მიერ ცოფით-ავადმყოფობის აცრა, დიდისა და ხანგრძლივი დაუღალავი შრომის შემდეგ.

პირველად თუ რას მიაქცია პასტერმა ყურადღება, ეს ის იყო, შეიძლება თუ არა როგორმე შეამციროს ადამიანმა უმთავრესი საწამლავეის ძალა გადამდებ სენისა.

აი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ამაზეა დამყარებული ყოველგვარი აცრა.

ამ გვარი შესუსტება მდგომარეობს მიკრობების ძალის შემცირებაში.

პირველად პასტერმა შეასუსტა ქათმის ჭირის ანუ ქათმის ხოლერის საწამლავეი. რომ ავიღოთ ერთი წვეთი სისხლი ამ ჭირით ავადმყოფ ქათმისა და გავშინჯოთ მიკროსკოპში, დავინახავთ შიგ მრავლისმრავალს მიკრობებს, რომელთაც პაწაწინა ჩხირის მოყვანილობა აქვთ. აი ამ მიკრობებიდან წარმოსდგება ეს ქათმის

ჭირი. საკმარისია მხოლოდ ერთი წვეთი ამ სისხლისა შევეუშაპუნოთ საღ ქათამს კანს ქვეშ, რომ ქათამი მაშინვე ავად გახდეს და ორი საათის შემდეგ მოკვდეს. როგორც ხედავთ ქათმის ჭირი ძლიერ გადამდები ყოფილა. რადგან პასტერმა განიზრახა ამ ჭირის მიკრობის შესუსტება, მაშასადამე ისე უნდა მოეხერხებინა, რომ როგორმე ცალკე მიეღო ეს მიკრობები.

მიკრობების განცალკევება შეიძლება ამ გვარად: ჭიქაში უნდა ჩაასხათ ქათმის ბულიონი მლაშე და წმინდა ფერისა; ბულიონში საკმარისია ერთი წვეთი ჭირიან ქათმის სისხლი მიუმატოთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ურიცხვი მიკრობი გამრავლდეს იქ. ამ გვარ ხელოვნურად გამრავლებას მიკრობებისას „კულტურას“—მოშენებას ეძახიან მეცნიერებაში.

ერთი წვეთია საჭირო ამ ბულიონიდან, რომ ქათამი 12 საათის განმავლობაში მოჰკლას. ეხლა პასტერმა განიზრახა ამ მიკრობების ძალის შესუსტება. შესუსტებაც ამგვარია: საჭიროა რომ ის ბოთლი, რომელშიაც ბულიონი ასხია მიკრობებით, იდგეს მშრალ ჰაერზე; საჭიროა აგრეთვე, რომ ბოთლს თავი ახდელი ჰქონდეს, რათა ჰაერი თავისუფლად ჩადიოდეს მასში; მაშინ ამგვარ მოვლენას შევნიშნავთ: პირველ კვირაში თუ ავიღებთ და ავუცროთ ამ ბულიონიდან ქათმებს, ქათმები იმავე დღესვე დაიხოცებიან. მაგრამ რამდენ კვირას უფრო დავაგვიანებთ და მეტს დავაცლით ბულიონს ამ მშრალ ჰაერზე ყოფნას, იმდენად უფრო მეტი მომწამლავეი ძალა მოაკლდება მას; ასე რომ რამდენიმე კვირის შემდეგ აცრილი ქათმები აღარ დაიხოცებიან და ბოლოს ავთაც კი აღარ გახდებიან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მიკრობები დაიხოცნენ ბუ-

ლიონში, არა, მათ მხოლოდ თავისი მომწამლავი ძალა მოაკლდათ ამ მრავალ ჰაერზე ყოფნის დროს. ამგვარად პასტერმა დაგყანახა, რომ შესაძლებელი ყოფილა გადამდებ ავადმყოფობის ძალის შესუსტება.

როდესაც პასტერმა გამოარკვია და კიდევაც დაამტკიცა ეს ორი ზემოხსენებული კითხვა, შემდეგ მიაქცია ყურადღება ცოფით-ავადმყოფის შესწავლას.

ცოფით ავადმყოფობა ერთი სიშინელი თავზარდამცემი სენია. ეს ავადმყოფობა ცნობილია უძველეს დროიდანვე. ცოფით ავად გახდება ადამიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ტანზე ნაკბენი აქვს და ამ ნაკბენ ადგილიდან ცოფის შხამი სისხლში შედის. თუ რომ გარეგანი კანი უვნებელია, მისი მთლიანობა დაურღვეველია, მაშინ საწამლავი ვერ შეატანს სისხლში და ადამიანიც უვნებელი რჩება. შხამი ამ სენისა იმყოფება ცოფიან ძაღლის ან სხვა ავადმყოფ ცხოველის ღუქში. თავდაპირველად როდესაც ცოფის საწამლავი შევა სხეულში, რამდენიმე ხნის განმავლობაში დაკბენილ ადამიანს არავითარი ცვლილება არ ეტყობა; ცოფის ნიშნები ადამიანს მხოლოდ მეოთხე კვირის შემდეგ გამოაჩნდება.

ნამდვილი ცოფის მორევა დაეწყება ავადმყოფს უფხად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოინდომებს წყლის დაღევას, როგორც კი ავადმყოფი აიღებს ჭიქით წყალს, ანუ დააპირებს რისამე შეჭმას, მაშინვე იმნაირად შეეხუთება და შეეკვრის ყელი, რომ სიმწრისაგან ყველაფერი ხელიდან უვარდება. ავადმყოფის სახეზე თქვენ ჰკითხულობთ საშინელ შიშს და სიკვდილის მოახლოვების მოლოდინს. ავადმყოფს არ შეუძლიან გაჩერდეს ერთს ადგილას, სულ მუდამ მოძრაობაშია, მიდის-მოდის, ხან

უზაროდ დააცქერდება რომელსამე საგანს, თანდათან უფრო მეტად ღელავს. საკმარისია ცალიერი ჭიქა დაინახოს, რომ სულ გადაიროს; ბოლოს და ბოლოს მაშინაც კი ეხუთება ყელი, როდესაც ნერწყვის გადაყლაპვას მოინდომებს; წამდაუწუმ იფურთხება, ასე რომ გარშემო სულ მოვრილია ფურთხით. ავადმყოფი აქნევს ხელებს, იფურთხება, ყვირის, დარბის ოთახებში, სუყველაფერს ამტვრევს, რაც კი ხელში მოხვდება, იკბინება, თავს კედელს ახლის.

შემდეგ ავადმყოფი დამშვიდდება, ძალა დაკარგული დაეცემა იატაკზე და ასე არის ცოფის მეორე მორევადის. ამ დროს მოდის გრძნობაზე, ბოდიშს იხდის შეწუხებისათვის ნათესავებთან.

რადგან ავადმყოფს პირი მშრალი აქვს, თხოულობს წყლის დაღევას და როგორც კი დააპირებს წყლის დაწაფებას, მაშინვე ხელმეორედ მოერევა ცოფი და ეკარგება გრძნობა.

რამდენი დროც გადის, იმდენად უფრო ჩქარ-ჩქარად ერევა ცოფი და ბოლოს ღონე მიხდილი კვდება, სრულ გონებაზე და ამით კიდევ ორკეცდება ტრაგიზმი მომაკვდავ ცოფით ავადმყოფისა, ვინაიდან ის კარგად გროძნობს რითია ავად და მასთან ისიც იცის, რომ ვერარა იხსნის მომდგარ სიკვდილისაგან.

ესეთია საშინელი სურათი ცოფით-ავადმყოფობისა.

როდესაც პასტერი შეუდგა ამ სენის შესწავლას, შემდეგ გარემოებებს მიაქცია ყურადღება. რომ ცოფი გადამდები ავადმყოფობაა, მომწამლავი ძალა კი ცოფიან პირუტყვისა მის ღუქშია, მაგრამ სამწუხაროდ ცოფიან პირუტყვის ღუქში სხვა და სხვა გვარი მიკრობებია ერთად არეული, ასე რომ ეს მიკრობების მრავალ-



გვარობა ხელს უშლის ცოფის შხამის მოქმედებას აცრის დროს. ამიტომ ჯერ იმისთანა ადგილი უნდა აღმოეჩინათ სხეულში, სადაც მხოლოდ ცოფის საწამლავი ყოფილიყო და სხვა გვარი მიკრობები კი არა: ესეთი ადგილი აღმოჩნდა **თავის** და **ხერხემლის ტვინი**. ჩვენ რომ ცოფით ავადმყოფის ტვინი ავიღოთ და დავჩქოთ, ხოლო შემდეგ სპირტში დავალბოთ რამდენსამე ხანს, ეს სპირტი გამოსწოვს დამბალ ტვინიდან შხამს; ამის დასამტკიცებლად საჭიროა მხოლოდ ეს სპირტის გამონაწვევი შევეუშხაპუნოთ საღ ძაღლს, რომ ცოფით ავად გახდეს; ხოლო დუჟი კი ყოველთვის როდი გამოიწვევს ცოფს.

მიიღო რა ამ გვარად პასტერმა ცოფის შხამი, ჯერ გააძლიერა ცოფის შხამის სიძლიერე ამ რიგად: აუცრა ჯერ ერთს ბაქიას, ამ პირველიდან გადიტანა მეორე ბაქიაზე, მეორედან მესამეზე და ამგვარად ერთმანეთზე გადიტანა ცოფის შხამი.

ამ აცრით ვხედავთ, რომ ეს ცოფის ავადმყოფობა თან და თან ძლიერდება ბაქიასათვის: ასე მაგალითად პირველს ბაქიას ორ კვირის შემდეგ გამოაჩნდება ცოფის ნიშნები, რამდენადაც უფრო მეტს ბაქიას ავუცრით, იმდენად უფრო ადრე გამოაჩნდება ცოფის ნიშნები; მეორეს უფრო ადრე, ვიდრე პირველს. მესამეს მეორეზე, მეოთხეს მესამეზე და სხვა. ასე რომ ბოლოს იქამდე მივალწვევთ, რომ სულ უკანასკნელად აცრილი ბაქია მეექვსე დღეზე გახდება ავად. ამაზე მეტად კი აღარ შეიძლება ცოფის გაძლიერება.

აი ეს გაძლიერებული ცოფის შხამი აიღო ნიმუშად ნამდვილი ცოფის საწამლავისა და მას დაუწყო შედარება.

ჩვენ ვნახეთ, რომ ცოტაოდენი მაინც ამ გვარად გაძლიერებული ცოფის საწამლავისა საკმარისია ცოფის გამოსაწვევათ.

შემდეგ პასტერმა აიღო იმ ტვინის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის მეექვსე დღეზე გაცოფიანებულს ბაქიას, ესე იგი რომლის სხეულში უძლიერესი ცოფის შხამი ტრიალებს და ჩასდო ბოთლში, რომელსაც ორთავე ბოლო ღია ჰქონდა და დადგა თბილ და მშრალ ჰაერზე, რომელიც მას თავისუფლად უვლიდა. ეხლა შეგვიშნავთ, რომ რამდენი დღეც გადის, იმდენი უფრო ძალა აკლდება ამ შოშხამულ ტვინს ბოთლში და ბოლოს თოთხმეტი დღის შემდეგ სრულებით ჰკარგავს თავის მავნებელ ძალას. ამის შემდეგ თვით აცრა ძლიერ ადვილი შეიქმნა: ჯერ საჭიროა დავიწყოთ აცრა სუსტიდან და გადვიდეთ თანდათან მძლავრ საწამლავზე. ასე საჭიროა პირველად შევეუშხაპუნოთ კან ქვეშა ასაცრელ ძაღლს მეთოთხმეტე დღის ტვინიდან, რომელსაც სრულებით დაკარგული აქვს შხამი, მეორე დღეს კი მეცამეტე დღის, მესამე დღეს მეთორმეტე დღის, ესე იგი თანდათან უფრო ძლიერი საწამლავით ვუცრით; ამგვარი აცრა ისე მოქმედობს ძაღლზე, რომ ძალის სრულებით აღარ გაცოფიანდება, თუნდაც რომ მისი ნამდვილი ძლიერი ცოფის შხამით მოეწამლოთ. თუმცა პირუტყვზე—ძაღლზე—ცდამ მშვენივრად ჩაიარა, მაგრამ ადამიანზე გამოცდას პასტერი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა.

მაგრამ ესეც გაბედა ბოლოს.

პირველად პასტერმა აუცრა ყმაწვილს გვარად მეთექვსე 1885 წ., ეს მეთექვსე ცოფიანი ძაღლით იყო დაკბენილი. კაცობრიობის საბედნიეროთ ამ მეთექვსე აცრამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

მრავლის მრავალმა ცოფიან პირუტყვისაგან დაკბენილმა მას აქეთ შეება მიიღო, აი ამიტომაც ყველა პასტერის სახელს აღიდებს! ცოფით ავად გახდება ადამიანის

გარდა ძალი, კატა, მგელი და ზოგიერთი სხვა პირუტყვი.

თუმცა ესეთი საშუალება აკრისა დიდებული იყო, მაინც ამაზე შეჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთ სენისა, როგორც არის ცოფით ავადმყოფობა, ესე იგი ისეთი სენისა, რომლის შხამით სნეული არა უცხად, არამედ ნელ-ნელა იწამლება, და თითქმის ერთი თვის შემდეგ გამოაჩნდება დაკბენილ ადამიანს ცოფის პირველი ნიშნები.

ხოლო, რაც შეეხება სხვა გადამდებ სენს, როგორც მაგალითად, ხუნაგს, ხოლერას, სახადს, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ მაგ გვარ გადამდებ სენის ნიშნებს, როდესაც სხეული უკვე მოწამლული აქვს ადამიანს მიკრობების შხამით; ამიტომაც ასეთი ავადმყოფის აკრას ამავე მიკრობების დასუსტებული შხამით არავითარი კეთილი შედეგი არა აქვს. მაშასადამე საჭიროა სულ სხვა გვარი აკრა ისეთი სითხეთი, რომელმაც გაანელოს ის შხამი, რომლითაც უკვე მოწამლულია სხეულის ნაწილები და შიგნეულობა.

გავიდა დრო და ხანი და ესეთი აკრაც შემოვიდა.

თან და თან გამოიჩინა, რომ იმ ცხოველის სისხლში, რომელმაც გადაიტანა რომელიმე გადამდები სენი, ჩნდება ისეთი რამ ნივთიერება, რომელსაც შეუძლიან განკურნოს სხვა ცხოველი ამავე სენისაგან.

ეხლა რომ ცხოველს სისხლი გამოუშვას და ჭურჭელში ჩავასხათ, ვნახავთ რომ პირველად იგი წარმოადგენს წითელ სითხეს, შემდეგ კი შედედდება ისე, რომ ჭურჭლიდან არც კი გადმოიღვრება, ცოტა ხანი კიდევ დავტოვოთ, შევნიშნავთ, რომ ეს შედედებული სისხლი შეიკუმშება,

დაპატარავდება, ეხლა რომ მას ხელი მოვუჭიროთ, ჩალის ფერს სითხეს გამოვადენტ. ეს სითხე არის შრატის. აი სწორედ ამ შრატშია, რომ ჩნდება ის გამკურნავი ნივთიერება, როდესაც ცხოველი მოიხდის გადამდებ სენს. აი ამ გვარი თვისების შრატის აკრით შეიძლება მოვარჩინოთ სხვა ცხოველი, შეპყრობილი ამავე სენით. ამგვარი აკრა კიდევ იმითია ძვირფასი, რომ სრული ღონისძიება გვაქვს ბლომად მოვამზადოთ ასაკრელი შრატი მხოლოდ ერთი ცხოველის სისხლიდან; საჭიროა მხოლოდ ყოველი სისხლის გამოშვების შემდეგ დავასვენოთ ცხოველი და დრო მივცეთ გამაგრდეს.

რომ უფრო გასაგები იყოს, ჩვენ სანამ შრატის მომზადებაზე უფრო დაწვრილებით დავიწყებდეთ ლაპარაკს, ორიოდე სიტყვას საზოგადოდ გადამდებ სენის შესახებ ვიტყვი: თვით გადამდები ავადმყოფობანი განიყოფებიან ორ დიდ ჯგუფად: პირველს ჯგუფს ეკუთვნის ის გვარი გადამდებ სენისა, რომლის მიკრობები მრავლდებიან სხეულის მხოლოდ ერთს არჩეულს დგილას, აქ ესენი მრავლდებიან და გამოაქვთ შხამი—ტოქსინი, რომელიც აქედან გადადის სისხლში და სწამლავს მთელს სხეულს. მეორე ჯგუფს კი ეკუთვნიან ისინი, რომლებს მიკრობები სხეულში ერთბაშად ყველგან მრავლდებიან, ასე რომ ამ გვარი სენით შეპყრობილ ცხოველს სხეულიდან რომ ამოვჭრათ რომელიმე ნაწილი და მაკროსკოპით გავშინჯოთ, ვნახავთ, რომ უჯრათა შორის ადგილები გატენილია მიკრობებით. სჩანს აქედგან, რომ ადამიანის სხეული ხან თვით მიკრობებით იწამლება ერთბაშად, ხან კი მხოლოდ მიკრობების მიერ გამოღებულ შხამით.

რომ უფრო უკედ გასაგები იყოს, ავი-

წერთ თუ როგორ ამზადებენ ხუნაგის ასაქრელ შრატს.

ხუნაგი, როგორც მოგახსენეთ, არის ერთი საშინელი სენი, უფროს ერთ შემთხვევაში იგი სწამლავს ბავშვებს; არა ერთი ათასი დედა აუტირებია ამ სენს. ამ სენით გარდაცვალებულ ბავშვთა რიცხვის რაოდენობა, სანამ აცრა შემოვიდოდა, ნათლად მოწმობს მის შხამის სიძლიერეს. ერთად ერთი ადგილი, სადაც მრავლდება ხუნაგის მიკრობები, ეს ყელია, აქ მრავლდება ხუნაგის მიკრობები და გამოაქვს შხამი, რომლითაც იწამლება მთელი სხეული. შხამი იმდენად ძლიერია, რომ ამ სენით შეპყრობილი ჰკარგავს გრძობას, ეწამლება შიგნეულობა, უსუსტდება გულის მოძრაობა და მალე სრულებით სწყდება.

ისეთი საშუალებაა საჭირო, რომელმაც უვნებელი ჰყოს ის შხამი, რომელიც უკვე ტრიალებს სხეულში, გაანელოს მისი ძალა და ამ გვარად გადაარჩინოს სხეულის უჯრედები ამ შხამით მოწამვლას. მაშინ ის მიკრობები, რომლებიც ხუნაგით ავადმყოფის ყელშია და შხამი გამოაქვს, სრულებით უვნებელი შეიქნება, ისეთი უშიშარი ადამიანისთვის, როგორც სხვა მრავალი უშხამო მიკრობები პირში და სხეულის სხვა ნაწილებში მყოფი.

ამ შრატის მოსამზადებლად საჭიროა ბულიონზე ხელოვნურად მოვაშენოთ ეს მიკრობები, ცოტა ხნის შემდეგ ვნახავთ, რომ ხუნაგის მიკრობები მსწრაფლად და ძლიერ გამრავლდებიან და მასთანავე გამოიტანენ შხამს.

ეხლა გავწუროთ ეს სითხე გამრავლებულ ბაცილებით ისე, რომ განაწურში მხოლოდ შხამი მივიღოთ—ტოქსინი. ეხლა ამ სითხით, რომელშიაც მხოლოდ მიკრობების შხამია, უნდა ავუცრათ ცხენს,

რომ ამ აცრით ცხენის სისხლში გაჩნდეს ის გამკურნავი ნივთიერება, რომლის შესახებ ზემოდ ვსთქვი. ამისათვის საჭიროა ცხენს კან ქვეშ შევუშხაპუნოთ ეს ტოქსინი ჯერ პირველად ძლიერ მცირე, მერმე კი თანდათან ვუმატოთ, ხოლო ყოველ შეშხაპუნების შემდეგ ცხენს უნდა ვაცადოთ, რომ ცოტათი ღონეზე მოვიდეს, რადგან ყოველი შეშხაპუნების შემდეგ ცხენი ძლიერ სუსტდება. ბოლოს ცხენის სხეული ისე შეეჩვევა ამ შხამს, რომ შესძლებს თავისუფლად გადიტანოს გაცილებით უფრო მეტი შხამი, ვიდრე პირველად შევუშხაპუნეთ.

ეხლა ცხენის სისხლში გაჩნდა ისეთი ნივთიერება, რომელიც შესძლებს განკურნოს ცხოველი, შეპყრობილი ხუნაგით. ამის დასამტკიცებლად საჭიროა ავიღოთ იმდენი შხამი ხუნაგისა, რამდენიც საჭიროა, რომ მოჰკლას ზღვის გოჭი, ეხლა ამ შხამს რომ შესაფერი აცრილი ცხენის შრატი მივუმატოთ, აურიოთ ერთად და შევუშხაპუნოთ გოჭს კან ქვეშ, ზღვის გოჭი უვნებელი დარჩება.

აშკარაა, რომ აცრილი ცხენის შრატი გამკურნავი ყოფილა, შრატში ისეთი ნივთიერება ყოფილა რომელიც ანელებს შხამს. ამ ნივთიერებას „ანტიტოქსინი“ ჰქვია.

როგორც ჭურჭელში არეული შხამი და აცრილი ცხენის შრატი ერთმანეთს ძალას უქრობენ, ესევე უნდა მოხდეს ადამიანის სხეულშიაც. როდესაც ხუნაგთან ავადმყოფს შევუშხაპუნებთ ამგვარად მომზადებულ შრატს, შრატის „ანტიტოქსინი“ შეუერთდება იმ შხამს, რომელიც ხუნაგის სისხლში დატრიალებს და ამით შხამის ძალა სრულებით ჰქრება, ადამიანის სხეული სრულებით თავისუფლდება

და რჩება. რამდენიმე საათის შემდეგ შევნიშნავთ მოქმედებას ამ შეშხაპუნებულ შრატისას ავადმყოფზე; აქამდის უგრძობელი ავადმყოფი გონს მოდის, უკლებს სიცხეს, სუნთქვა და მაჯის ცემა უმჯობესდება, ბოლოს სრულებით რჩება; ხოლო თუ ეს ასაცრელი შრატი მას არ მოსწრებოდა უსათუოდ უნდა მომკვდარიყო ავადმყოფი.

ეს ხუნაგის ასაცრელი სითხე შეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც საუკეთესო მაგალითი იმ გამკურნავ სითხისა, რომელიც მომზადებულია მიკრობების მიერ გამონაღებ შხამისაგან—ტოქსინისაგან.

ხოლო ამზადებენ ისეთ ასაცრელ სითხესაც რომელიც თვით შხამიან ბაცილებისაგან შესდგება. ასე მაგალითად კოხის მიერ გამოგონილი სითხე—„ტუბერკულინი“, რომლითაც უკრიან ქლექიანებს.

თუ რა საშინლად მძინვარებს ქლექი და როგორ მუსრს აღენს იგი კაცობრიობას, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ მეცნიერულ გამოკვლევათა თანახმად ყოველ ორმოცდაათ კაცზე თითქმის ერთი ქლექიანი მოდის. რუსეთში ქლექიანთა რიცხვი თითქმის სამ მილიონამდე აღის. ქლექით გარდაცვალებულთა რიცხვს რომ ყურადღება მივაქციოთ, სწორედ განცვიფრებაში მოვალთ; მარტო ევროპაში ყოველწლივ ამ სენით ერთ მილიონამდე კაცი ესალმება წუთისოფელს. სამწუხარო ის არის, რომ ქლექით იწამლება ახალგაზდა და ძალით სავსე სხეული და რამდენსამე წლის შემდეგ—ტანჯვისა და ვაებისა ესალმება სიცოცხლეს. ვინ მოსთვლის თუ რამდენი ნიქიერი და გამოსადეგი წევრი დაუკარგავს საზოგადოებას ამ სენის წყალობით. უმთავრესი მიზეზი ამ გასაოცარ გავრცელებისა მთელ დედა-მიწის ზურგზე თვით ქლექიანი ავად-

მყოფია—ქლექიანი ავადმყოფის მიერ მოშხამული ჰაერი: ამოაქვს რა ქლექიანს ნახველი, მასთან ერთად ამოაქვს ქლექის ბაცილებიც, რომლებიც სწამლავენ გარე-შემო ჰაერს; დღეს თქვენ ისეთ ადგილს ვეღარ ნახავთ, სადაც ჰაერი მოწამლული არ იყვეს ამ ბაცილებით, ამიტომაცაა ასე მოდებული მთელ დედა-მიწაზე ეს საშინელი სენი!

ქლექის ასეთ გასაოცარ გავრცელებაში იღებს მონაწილეობას არა მარტო ქლექიანი ადამიანი, არამედ ზოგიერთი პირუტყვიც.

თან და თან გამოიკვება მედიცინაში, რომ არის ისეთი ავადმყოფობანი, რომლითაც ხდება ავად როგორც ადამიანი, ისე პირუტყვიც; ასეთ ავადმყოფობათა ჯგუფს ეკუთვნის ქლექით ავადმყოფობა: ქლექით ავად ხდება ადამიანის გარდა ძროხა, კატა, ძაღლი და სხვებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა საქონლის ქლექი: საჭიროა დიდი მორიდება ქლექთან საქონლისა, მისი ხორცისა და განსაკუთრებით ქლექიან ძროხის რძისა, ნამეტურ მაშინ, როდესაც ავადმყოფ ძროხას ძუძუებზე მარგალიტის მსგავს ძიძიბოებს დააყრის; მოწველის დროს ძიძიბოები სკდება და იქიდგან რძეში სცივვა ქლექის ბაცილები. ესეთი მოწამლული რძე არის ძლიერ ხშირად მიზეზი ქლექის გადაღებისა ძროხიდან ადამიანზე, ესეთი რძე კიდევ უფრო მავნებელია ნორჩ ძუძუთა ბავშვზე, როდესაც იგი, დედის ძუძუს მოკლებული, ძროხის რძით იკვებება; ამიტომაცაა, რომ განშირებულია სიკვდილი ბავშვის ასაკში პირველ წლამდე. ისიც ცხადია თუ რა განსაცდელს წარმოადგენს ჩვენთვის კატა და ძაღლი; მართლაც, ძაღლი და კაცა ჩვენთვის უსაყვარლესი პირუტყვია, მუდამ ოთახებშია, კატა ხომ

ზოგან ადამიანს ლოგინ-ბალიშზე უწევს; როგორც შესაძლებელია, რომ ძალდი და კატა კლექიან ადამიანისაგან ავად გახდნენ კლექით, ისევე ადვილია რომ მათ თვითონ კლექი შეჰყაროთ საღ ადამიანს.

ის ასაცრელი სითხე, რომელიც კოხმა გამოიგონა—ტუბერკულინი—არის კლექის ბაცილების გამონაწერი სითხე, მაშასადამე ამ ბაცილების შხამიან ნაწილებს შეიცავს. ამ ასაცრელ სითხის ერთს უმთავრესს თვისებას ის შეადგენს, რომ ეს სითხე მოქმედობს ფილტვების იმ უჯრედებზე, რომლის შუაგულში კლექის ბაცილები ბუდობენ და საზარალოთ მოქმედობს კლექის მიკრობებზე.

შემოდებულია აგრეთვე ასაცრელი სითხე, როგორც შავი ჰირისა, ისე ხოლერისა, რომელიც ადამიანს აძლევს ისეთ ძალას და ისეთ თვისებას, რომლის წყალობით მას შეუძლია უვნებლად გაუძლოს შავი ჰირის და ხოლერის შხამს და ავად არ გახდეს.

არის აგრეთვე ზოგიერთი სხვა გადამდები სენის ასაცრელი შრატიც.

როგორც ხედავთ ორ გვარი ტიპია აკრისა: პირველი გვარი ისაა, როდესაც ვუშხაპუნებთ ცხოველს ისეთ სითხეს, რომელშიაც დასუსტებული ბაცილებია; მაშინ ცხოველი თუ ადამიანი შესაფერი სენით ხდება ავად, ხოლო კი მსუბუქათ და როდესაც რჩება, მისი სხეული იძენს ისეთ თვისებას, სრულებით ახალს, რომელიც გააჩენს მის სისხლში ისეთ ნივთიერებას, რომლის წყალობით ის მეორედ აღარ გახდება ავად ამ სენით. ამას ჰქვია „აქტიური იმუნიტეტი“—მიუდრეკელობა. ხოლო როდესაც შრატით ვუცრით, ჩვენ მხოლოდ შეგვყავს სხეულში გამკურნავი ნივთიერება ამა თუ იმ სენისა. სხეული არავითარ ახალ ძალას—თვისებას, რო-

გორც პირველი აკრილი, არ იძენს არც ეხლა, მას არ შეუძლიან შეჰქმნას ისეთი ნივთიერება, რომელმაც მერმისში გადაარჩინოს იგი ამ სენით მეორედ ავად გახდომისაგან; მინამ არ გახდება ავად ეს აკრილი, სინამ მის სისხლში დატრიალებს კიდევ ეს შეშხაპუნებული შრატი, შემდეგ კი, როდესაც ეს შრატი გამოილევს, ცხოველი, თუ შემთხვევა მიეცემა, ხელმეორედ ავად გახდება ამ სენით. ამას ჰქვია „პასიური იმუნიტეტი“.

თუმცა, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ბევრს გადამდებ სენს თავისი საკუთარი ბაქტერია აღმოუჩინეს, მაგრამ მაინც ბევრი ისეთი ავადმყოფობაც დარჩა, რომელსაც მიუხედავად ბევრი მეცნიერული ცდისა, მაინც ვერ აღმოუჩინეს თავისი ბაქტერია. ბევრი იშრომეს, ბევრი იკვლიეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ბოლოს და ბოლოს გამოიკვია შემდეგი ფრიად შესანიშნავი რამ; აღმოჩნდა რომ ყოფილა გადამდებ სენთა შორის ისეთი ჯგუფიც, რომელიც გამოიწვევა არა ბაქტერიებით, არამედ ისეთ არსებებით, რომელიც თვისი აგებულებით ნამდვილი ცოცხალი არსებანი არიან, მაშინ როდესაც ბაქტერიები სულ სხვა ჯიშისა არიან: ბაქტერიები მეცნიერთა აზრით თავისი ბიოლოგიური თვისებებით უფრო მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან, თუმცა ზოგიერთა აზრით კი იგინი დგანან საზღვარზე მცენარეთა და სულიერ სამეფოთა შორის.

ეს ახალი არსებანი, ისევე პაწაწკინანი და თვალთ უჩინარნი, მრავლდებიან სქესობრივი წესით. მათ ზრდა-გამრავლებას ნამდვილი სიცოცხლის ბეჭედი აზის, მაღალ განვითარებულ ცოცხალ არსებათაგან მით განსხვავდებიან, რომ პირველნი შესდგებიან მრავალ უჯრედებისაგან, ხო-

ლო ესენი კი მხოლოდ ამგვარი ერთი უჯრედისაგან.

ნათლად სჩანს, რომ ის საშუალებანი, ის კვლევები მეთოდი, რომლებიც საჭიროა ბაქტერიების აღმოსაჩენათ, უვარგისი შეიქნებოდა ამ სულ სხვა გვარ არსებათა აღმოსაჩენად და ანიტომ ასე გაძნელდა მათი გამოკვლევა.

პირველი ავადმყოფობა, რომლის მიზეზი ბაქტერია კი არა, არამედ ასეთი ერთ-უჯრედოვანი ცოცხალი არსება ყოფილა, აღმოჩნდა ციებ-ცხელება (Malaria). ეს ერთ უჯრედოვანი სხეული, როგორც ამას ჩვენ თვალმადილი გვიჩვენებს, როდესაც ჯერ კიდევ ნორჩია, ძლიერ მოძრავია და ამიტომ ერთი განსაზღვრული მოყვანილობისა არ არის; გარშემო მრავალი მოძრავი თათი ასხია და სხეულის შუაში გული აქვს. როდესაც ადამიანი ციებ-ცხელებით ავად ხდება, მას სისხლი ეწამლება ამ სხეულის შხამით. სისხლიდან ეს ერთუჯრედოვანი არსება გადადის სისხლის წითელ ბურთულებში; აქ იზრდება, რამდენადაც იგი იზრდება, იმდენად უფრო და უფრო მეტს ადგილს იჭერს წითელ ბურთულაში და ბოლოს სრულებით ანადგურებს და შლის წითელ ბურთულას; აქედგან ის ხელმეორედ სისხლშივე გადადის და აი სწორედ ამ დროს ავადმყოფს გააცხებს, რასაც მალე ცხელება მოჰყვება. ეს ციებ-ცხელების გამომწვეველი არსება „პლანზ-მოლია“ აღმოაჩინა ფრანგმა Laveran-მა.

ასეთ მეცნიერულ აღმოჩენას ფრიად დიდი პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, რადგან ციებ-ცხელების პარაზიტის აღმოჩენას შემდეგ ბევრად უფრო გაადვილდა ამ ავადმყოფობისაგან თავის მორჩენა. ამ ავადმყოფობის გულდასმით შესწავლამ ერთი ძლიერ საინტერესო მოვლენა აღმოაჩინა: გამოიჩინა რომ კოლოს დიდი

მნიშვნელობა ჰქონია ციებ-ცხელების გავრცელებაში: აღმოჩნდა რომ არის ერთ-გვარი კოლო „Anopheles“ ჯიშისა, რომელიც სწამლავს საღ ადამიანის სხეულს ამ სენის შხამით; როცა კოლო კბენს ადამიანს და ჩაურჭობს ნესტარს, ამ დროს ნაკბენ ადგილს სწამლავს ციებ-ცხელების პლასმოდებით; კოლო კი თვით იწამლება მაშინ, როდესაც კბენს ამ ავადმყოფით შეპყრობილ ადამიანს. ამით დამყარდა ურთიერთობა ადამიანსა და კოლოს შორის; ციებ-ცხელების პარაზიტი ხან ადამიანსა და ხან კოლოს სხეულშია; ადამიანი სწამლავს კოლოს და კოლო კი ადამიანსა.

მეორე ავადმყოფობა, რომელსაც ცოცხალი ერთუჯრედოვანი პაწაწკინა არსება—მიზეზი ამ ავადმყოფობისა—აღმოუჩინეს არის „ძილით-ავადმყოფობა“. ეს უცნაური ავადმყოფობა მძინვარებს აფრიკაში შავ-კანიან მცხოვრებთა შორის—კონგოში, „ძილით ავადმყოფობის პარაზიტი აღმოჩენილ იქმნა კოხის მიერ; იგი თავის მოყვანილობით (როდესაც მას თვალმადილით ვშინჯავთ) მოგვაგონებს ბურღს, მოგრძოა, დაკლაკნილია და ბოლო კი შოლტივით აქვს გაგრძელებული.

ეს ავადმყოფობა იმაში გამოიხატება, რომ ამ სენით შეპყრობილი თანდათან ძილში ვარდება, ბოლოს ეს ძილი ისე ეკიდება, რომ ძალა აღარ აქვს გამოიღვიძოს და ბოლოს ძილშივე ელევს სული. ეს სენი ისეა მოდებული კონგოში, რომ ნახევრად გაანადგურა შავკანიანები. როგორც ციებ-ცხელების პარაზიტის გადამტანი კოლოა, ისევე ამ „ძილით ავადმყოფობის“ შხამის გამავრცელებელი ერთგვარი ბუზი „ცეცე“ აღმოჩნდა. თვით მოწამლული „ცე-ცე“ კბენის დროს შხამავს ადამიანს ამ პარაზიტით.

ეს ახალი ხანა მეცნიერებაში, რომელმაც ნათელი მოჰფინა, რომ არა მარტო ბაქტერიები შეადგენენ მიზეზს გადამდებ სენისას, არამედ ცოცხალი ერთჯირედოვანი არსებებიც, ეს ახალი საშუალებანი კვლევა-ძიებისა ბოლოს დაგვირგვინდა ფრიალ დიადი აღმოჩენით. მთელი ტანჯული კაცობრიობის საკეთილდღეოთ მეცნიერმა Schaudin-მა აღმოაჩინა სიფილისის პარაზიტი „Spirocheta pallida“ და ამით დაამთავრა დიდი ხნის მრავალ მეცნიერთა დაუღალავი, მაგრამ მრავალჯერ გატრუებული გამოკვლევანი და იმედები. დღეს უკვე დამყარდა რომ ეს „სპიროხეტა“ მართლა არის მიზეზი სიფილისისა, იმ სენისა, რომელიც უქადის კაცობრიობას გადაგვარებას, რადგან ეს სენი სწამლავს არა მარტო ავადმყოფს, არამედ მთელ მის შთამომავლობას, ვინაიდან იგი გადადის დედ-მამიდგან შვილზე მემკვიდრეობით.

სიფილისის პარაზიტს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს—ეს არის მისი განსაკუთრებული გრძნობიერება ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებისადმი. აი სწორედ ამ თვისებით ისარგებლა ცნობილმა მეცნიერმა ერლიხმა, რომელმაც ხანგრძლივი შრომის შემდეგ შექმნა ისეთი რთული ქიმიური ნივთიერება—606—რომლისადმი გარდამეტებულ გრძნობიერებას იჩენს სპიროხეტა.

ეს „606“, რაკი ავადმყოფის სისხლს ერთვის, მძლავრად მოქმედობს სიფილისის პარაზიტზე და ძლიერ მოკლავს ხნის განმავლობაში სრულებით ანადგურებს მას, ხოლო თვით სხეულის უჯრედებს კი ძლიერ მცირე ვნებას აძლევს. ამ „606“ განსაკუთრებით ის მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ დადგება მალე ის დრო სამკურნალო მეცნიერებაში, როდესაც ზო-

გიერთ გადამდებ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა სულ სხვა გზას დაადგება.

ამ გვარი ავადმყოფობის წამლობა ერლიხის აზრით, უნდა იყოს ისეთი გამკურნავი ნივთიერება, რომ როდესაც იგი შეგყავთ ადამიანის სხეულში, ისე უნდა მოხდეს ამ სენის პარაზიტს, როგორც კარგად დამიზნებული ისარი, გაიაროს უჯრედებს შორის ისე, რომ მათ რაც შეიძლება ნაკლებად ავნოს, ხოლო თვით ავადმყოფობის პარაზიტები ისე მოწამლოს, რომ მათი განადგურება მსწრაფლ მოხდეს. აი სწორედ ასეთი იყო პირველი ნიმუში „606“-ი.

აი, ეხლა დგება ბრწყინვალე და დიდებული ხანა სამეურნეო მეცნიერებაში და, ვინ იცის, იქნება სულ რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ ეს ახალი ხანა დაგვირგვინდეს მრავალი ახალი აღმოჩენით ტანჯულ კაცობრიობის საბედნიეროდ. ახალი გზა უკვე მიგნებულია. რას ნიშნავს „606“? ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერმა ერლიხმა ეს ახალი ქიმიური ნივთიერება ექვსას ექვსჯერ სხვა და სხვა ნაირად სცადა და გარდაქმნა; ეხლა კი ზოგიერთ არასასიამოვნო ნაკლის აცდენის შემდეგ ამ პრეპარატს ეძახიან უკვე „914“!

როგორც ხედავთ ნამდვილი მეცნიერის შრომა და მოთმინება დაუშრეტელია. ბოლოს და ბოლოს ის მუდმივი ტანჯვა და ვაება, რომელიც ადამიანს მუდამ ჟამს მოელის სხვა და სხვა ავადმყოფობათაგან, სრულებით შემცირებული იქნება და იმ ბედნიერების იდეალს, რომლისკენაც მისწრაფვის ადამიანი, ცოტათი მაინც მიუვახლოვდება!

ექიმი ბადრიძე.

# სოფლის მასწავლებელთა საგულისხმოთ

მდგომარე წლის ზაფხულზე ხონის მე-  
თოდიკურ კურსებზე დამსწრეთ გამო-  
სთქვეს სურვილი—ყოველ მასწავლებელს  
შეეკრიბა სამშობლოს შესწავლისთვის გა-  
მოსადეგი მასალები იმ კუთხეში, სადაც  
მსახურებს. საჭირო შეიქნა სახელმძღვა-  
ნელო პროგრამა, რომლის მიუხედავთაც  
შესაძლებელი ყოფილიყო ამ მასალების  
შეკრება. სასურველათ სცვენეს ამ მასა-  
ლებში ერთგვარობა, სისტემა რომ ყო-  
ფილიყო დაცული, რათა მკვლევარს მა-  
თი მოხმარება, გადამუშავება გაადვილე-  
ბოდა. —სახელმძღვანელო პროგრამის შე-  
დგენა კურსისტებმა რამდენიმე ამხანაგს  
მიანდეს. იმ ხანათ კურსების ბოლოც  
მოახლოვებული იყო (10 ივლისი). მივი-  
კითხ-მოვიკითხეთ, მაგრამ მზა-მზარეული,  
ჩვენთვის გამოსადეგი პროგრამა ვერსად  
ვიშოვეთ. ამასობაში მობილიზაცია გამო-  
ცხადდა (18 ივლისი); მასწავლებლებს  
კაზარმებში უკრეს თავი; ქვეყანას ომის  
ალი შოედო. სოფლის აწერისათვის ვი-  
ლას სცხელოდა!

მართალია, ქვეყანა ჯერ არ დამშვი-  
დებულია (ომს როდის მოელება ბოლო  
ვინ იცის). მაგრამ ზოგი ამხანაგი წერი-  
ლით შეგვეკითხა, ზოგმა გაზეთის საშუა-  
ლებით მეტად თავაზიანათ და მორიდე-  
ბულათ ჩამოგვირეკა („შრომაში“ „მიწის  
შვილმა“), ასე, რომ ვინმეს არ შეეწა-  
მებინა დავალებულ საქმისადმი გულ-გრი-  
ლობა, ან სიზარმაცე, ვამჯობინე არ და-  
ვაგვიანო შემუშავებული პროგრამის გა-  
მოქვეყნება.

უთუოდ ამ პროგრამას გულდასმით  
გადაიკითხავენ არა მარტო ის 80 მა-  
სწავლებელი, რომელნიც ხონის კურ-  
სებს დაესწრენ, არამედ ყველა სოფლის  
მასწავლებელი იმერელ-ამერელი და ბევ-  
რი არა მასწავლებელიც და ყველანი  
დამეთანხმებიან, რომ მაში (პროგრამა-  
ში) არც ერთი საკითხი ისეთი ძნელი არ  
არის, რომლის დაძლევაც სოფლის მა-  
სწავლებელს არ შეეძლოს, ოღონდ სურ-  
ვილი ექნეს გაისარჯოს, თავისი კუთხე  
გაიციოს, მიმოიხედოს და დაუკვირდეს.

ყველას ვსთხოვ, თუ რაიმე სცნონ სა-  
ჭირო დაემატოს, ან გამოაკლდეს ამ  
პროგრამას, პრესის საშუალებით გვაცნო-  
ბონ.

დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი  
სოფლის მასწავლებელი არ დაიზარებს  
თივისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს  
საგანძურში, ახლავე შეუდგება ამ წმინდა  
საქმეს და შეძლებისდაგვარათ იმუყაი-  
თებს, ასე რომ ერთი-ორი წლის განმავ-  
ლობაში უკვე მზათ ექნება მასალები. ასე  
ვეფიქრობ, არც ერთი მასწავლებელი არ  
იკადრებს გამოეთიშოს ამხანაგებს, თი-  
თით საჩვენებელი შეიქნეს და დაიმსახუ-  
როს სახელი მცონარესი, ზარმაცისა, სა-  
მშობლოსადმი გულგრილობისა და გა-  
მოუსადეგარისა. არაფრით არ შეუძლია  
მასწავლებელს თავი იმართლოს—მასალები  
ვერ შეეკრიბეო- სირცხვილით თავი  
არ გამოეყოფა მას, რომელი უწყებისაც  
უნდა იყოს იგი.

თუ რომელიმე სკოლაში (საზოგადოე-



ბაში) რამდენიმე მასწავლებელია, მით უკეთესი; უფრო გაუადვილებათ საქმე: შეიკრიბებიან, გაინაწილებენ სამუშაოს და ნაწილ-ნაწილ შეკრებენ მასალებს. შემდეგ შეაერთებენ ამ ნაწილებს და ერთად გაგზავნონ, სადაც საჭირო იქნება.

მხოლოდ კითხვა ამაშია: ეს შეკრებილი მასალები სად გაიგზავნოს, სად მოვათავსოთ? ზაფხულზე ასეთი აზრი დიდადაა: მიემართოთ ჟურნალ „განათლებას“, ან ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემას, ან ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, დაგვიბეჭდონ ჩვენი მასალები \*).

დღეს-დღეობით ამ საკითხზე გადაჭრით ვერას მოგახსენებთ, მაგრამ მასწავლებელთ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს, საქმეს შეუდგენ, ოღონდ მასალები შეეკრიბოთ და მათი დაბეჭდვა-გამოქვეყნება კი მოხერხდება: ან პერიოდული გამოცემანი მოგვეცემენ ბინას, ან საზოგადოებანი მოგვეშველებიან, ან ვინმე კეთილი ქართველი შეგვიბრალეოს, ან თვით მასწავლებელი შეგვიძლებთ რასმე. სოფელი დიდია!

ყოველს შემთხვევაში საჭიროთ მიმაჩნია ეს საკითხი გადასაჭრელად ფართო მასაში გადავიტანოთ, რათა ყველანი დაგვეხმარონ მის გადაწყვეტაში. თუ ეს საკითხი მალე გადაიჭრა, მასწავლებლები უფრო ხალისით შეუდგებიან მუშაობას, ყურადღებით გამხნეებულნი.

მრწამს, საზოგადოება მხურვალეთ მოეკიდება მასწავლებელთა განზრახვას და ყოველ დახმარებას გაუწევს მათ.

პროგრამის შედგენაში დიდათ დამეხმარა ბ. ნიკო შაბაქაძე, რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ.

\*) „განათლების“ რედაქცია სიამოვნებით იკისრებს ხელმძღვანელობას, რომ გამოგზავნილი მასალა დაბეჭდოს ან „განათლებაში“, ან სხვა ორგანოში. რედ.

# პროგრამა

## სამშობლოს შესასწავლი მასალების შესაკრებათ.

საზოგადოება ანუ სოფელი (რომელიც მასისა და გუბერნიისა).

1. გეოგრაფიული მდებარეობა.

რა მხარეზეა საგუბერნიო ქალაქიდან. მხლობელი ქალაქი, დაბა, ან რკინის გზის სადგური რა მანძილზე და რა მხრით ახლავს.

სახელები სოფლებისა, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებას (თუ სოფელია ადგილი სასწრაფო, რომელი საზოგადოების ნაწილია იგი).

საზღვრები. ადგილ-მდებარეობა, ზედაპირი (მთიანი, ვაკე, ჭაობი—მცირე ტოპოგრაფიული აღწერა).

მდინარეები და მათი მიმართულება; სარკებლობა მათგან, თუ მავნებლობა. სარწყავი არხები; წყაროები; აბანო (სამკურნალო წყლები; მათი აღწერა).

ჭაფა. სითბო-სიცივე. ქარები.

2. ფლორა და ფაუნა.

(ძალიან საჭიროა დასახელებულ იქნას ყველა ცხოველები და მცენარეები იმ კუთხისა: ხეხილები, უბრალო ხეები, ჩირგვები, უვავილები, ბალახები ა) რომელთაც ხმარობენ საჭმლათ, ბ) წამლათ, გ) საქონლის საკვებათ, დ) გამოუსადეგარია და სხვა და სხვა. გარეული ცხოველები და ფრინველები. შინაური ცხოველები და ფრინველები (ამათი რიცხვი ყოველ ოჯახში დაახლოებით).

3. მცხოვრებლები, მათი ეროვნება და სარწმუნოება.

(ჩამოთვალეთ ყველა გვარები).  
წოდება. ცხრილი № 1.

აზნ.	გლები	სამღვდ.	ვაჭა- რი	სულ
მამრ.	მღვდრ.	მამრ.	მღვდრ.	მამრ.
მღვდრ.	მამრ.	მღვდრ.	მამრ.	მღვდრ.

ეროვნება და სარწმუნოება.  
ცხრილი № 2.

ეროვნება.				სარწმუნოება			
ქართველ	სომეხი	სხვა	ათ. უკრ. და სხვა	მართლმადიდებელი	მუსლიმანი	სხვა	სხვა

მცხოვრებთა რიცხვის ზრდა  
უკანასკნელ 10 წელში.  
ცხრილი № 3.

დაბადებულთა			დაქორწ.	მიცვალებულთა		
მამ.	მღ.	სულ		მამ.	მღ.	სულ

რა ასაკისანი მეტი დახოცილან ამ 10 წელში.  
1—5 წლამდე 20 წ.—25 წ.  
5—10 „ 25 „—30 „  
10—15 „ 30 „—35 „  
15—20 „ 35 „—40 „ და სხვა.

რამელ თვეში უფრო მეტია დაბადებულთა რიცხვი? ჩივნიება?

4. მატერიალური მდგომარეობა მცხოვრებთა. სადგომი ბინები; რა მასალისაგან აშენებენ. აწერილობა სადგომების კარმიდამოსი, ავეჯეულებისა, სამზარეულოსი და ჭურჭლეებისა. გეგმა სახლისა, სხვა შენობებისა და ეზოსი (სქემატიური) თუ შესაძლებელია, მთელი სოფლის გეგმა. საჭმელ-სასმელი, რომელიც ხმარებაშია სადა და უქმე დღეებში, მარხვაში და ხსნილში.

სანიტარული მდგომარეობა და საზოგადოთ ჭიგიენური მხარე.

ღვინის სმა. სამიკიტნობები და სხვა სავაჭრო დუქნები და მათი გავლენა.

გზები და მიმოსვლის საშუალებანი (რკინის გზა, ეტლები, ცხენები და სხვა).

მიწა. სიაჯ-კარკე მიწისა.

საკმაო აქვთ მიწა გლეხთ? სანადელო, სახაინო, თუ საკუთარი? არიან კიდევ თავდაუხსნელნი, დროებით ვაჭარებულნი გლეხნი? ხიზანნი? მათი მდგომარეობა და ცხოვრების პირობანი სხვა გლეხებთან შედარებით.

რამდენი ქცევა მიწა აქვს სახნავი, ტყე, საძოვარი, ვენახი ა) ღარიბ გლეხს, ბ) საშუალო შეძლებისას და გ) შეძლებულს! გლეხთა დამოკიდებულება შემამუდგებთან.

ფორმა მიწა-მფლობელობისა: აქვთ თუ არა საერთო ტყე, საბაღახე, საყინები.

რა საშუალო მოსავალს იძლევა ქცევა ვენახი, საყინე, ტყე?

ყოფნის მცხოვრებთ ადგილობრივ მოწვეული ჭინახული, თუ გარედგან მოაქვთ, საიდან და სახელდობრ რა.

5. ცხოვრების საშუალებანი.

ხვნა-თესვა. ბადი და ბოსტანი.

რას სთესვენ და რადის ყანებში და ბოსტნებში.

სამუშაო იარაღები (დასახელებთ). გაუმჯობესებული იარაღები. მიწის გაპატონება.

თესვა ბაღახების, ბამბის, თუთუნის.  
ვენახი და მეღვინეობა.  
რაოდენობა მისაგდის და საშუალო ფა-  
სები.

შემოსავლის სხვა წყაროები.  
აბრეშუმის ქვის მოშენება.  
მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ნადირობა,  
ხეტრის წარმოება, მწვესობა, ვაჭრობა, ჩაღ-  
ვარდობა; მთა-მადნებში და ქარხნებში მუშაო-  
ბა სად რამდენია წასული ამ კუთხიდან ოჯახ-  
ხის გარეთ და საშუალო ქირა: დღიური მუ-  
შისა, ქარხნებისა და მადნების მუშისა, მოჯა-  
მაგირისა, ფარეშ-მზარეულისა...

შინა მრეწველობა: შალების, დაკაიების,  
ქედების კეთება, ნახების ქსოვა, გოდრებისა  
და კალათების წვნა, ურმები და დგამების კე-  
თება, ხის და თიხის ტურჭლების კეთება და  
სხვა.

ბაზრობა (ქალაქი, ან სადგური, სადაც გა-  
აქვთ ნაწარმოები გასაყიდათ).

6. საზოგადო ცხოვრება.  
ძველებური პატრიარქალური ოჯახი და  
ახლანდელი ოჯახის მამის ავტორიტეტი.

დედა-კაცის მნიშვნელობა და მისი მდგო-  
მარეობა საზოგადოებაში და ოჯახში.

ბავშვების აღზრდა დაბადებიდან სასკოლო  
ჭასკამდე.

განაწილება შრომისა (ოჯახური საქმეების)  
დედა-კაცისა და მამაკაცს შორის. მონაწილეობა  
ბავშვებისა საოჯახო მუშაობაში.

ტანისამოსი მამაკაცებისა და დედაკაცებისა  
(დაწვრილებით ჩამოთვლა და აღწერა მათი).

შინური ცხოვრება და დროს გატარება სა-  
და და უქმე დღეებში, ცეკვა, თამაშობანი,  
სიმღერები; დასაკრავი იარაღები ძველად და  
ახლა (უსათუოდ დასახელებით). მოლექსეობა,  
სახანდარი...

მათხოვრობა.—მარჩიელი; აქიმობა. ხომ  
არ არიან მომთაბარენი (перекочевываю-  
щие).

7. სასამართლო. ადამი და ჩვეულებანი.  
მამასახლისი, მწერალი, მსახურები. მათი  
გავლენა და დამოკიდებულება სოფელელებთან.

8. საზოგადო დაწესებულებანი.  
სკოლა (სამრეწლო, სამინისტრო, ერთ  
კლასიანი, ორკლასიანი და სხვა).

თუ იტევს სკოლა ვეკლა ჭასაკის უმაწვი-  
ლებს? რამდენი რჩება სკოლის გარეთ, ვისი  
ხარჯით ინახება სკოლა. წლიური გასავალი  
სკოლაზე ერთიანათ.

დამოკიდებულება სკოლასი და მცხოვრებთა  
შორის. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი  
მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით.

მისწრაფება სწავლა-აღზრდისადმი.  
რამდენია ამ კუთხიდან საშუალო და უმაღ-  
ლესი განათლებით? აქვთ ამათ რაიმე დამო-  
კიდებულება სოფელთან, თუ უკვე გაწმენ-  
ტიათ იგი.

სოფლის ინტელიგენცია.  
სამკითხველო.

რამდენათ ეტანება ხალხი სამკითხველს;  
პერიოდულ გამოცემათა კითხვა.

გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოება და  
მისი წლიური ადებ-მიცემობა.

საზოგადო საჯარო სახლი (კოოპერატიული  
დუქანი) და მისი ადებ-მიცემობა. ვისი თაო-  
სნობით არიან ეს დაწესებულებანი დაარსე-  
ბულნი. ამ დაწესებულებათა დღევანდელი მდგო-  
მარეობა და სხვა ცნობები შათ შესახებ.

9. დირს შესანიშნავი ადგილები. ეკლე-  
სიები (ფორმა შენობისა; ვის სახელზეა აგე-  
ბული და როდის). სასაფლაო ეკლესიის გა-  
ლაფანშია, თუ სოფლის გარეთ, მონასტრები  
და ციხეები (მოკლე ისტორიული ცნობანი  
მათ შესახებ).

გამოქვაბულები, ძველი ნანგრევები...

10. დღეობა (ხატობა) ახლა და წინათ.  
დღესასწაულები: ადღგომა, შობა ქრისტესი,  
ახალი წელიწადი, ნათლის დება და სხვა. მა-  
თი მიკვებება.

## 11. ზნე-ჩვეულებანი.

ქორწილი, ტირილი, ნათვლა და სხვა ახლა და წინათ.

საღვთისმეტყველები: სურთოდინარო, ჭბუკობა და სხვა.

## 12. ცრუ მორწმუნეობანი.

კუდიანი. ჭინკა. ქაჯი. ალი (წელის დეოდოლი) და სხვა, ბატონები ყვავილი, წითელა და სხვა) და მათი მოვლა.

## 13. ხალხური სიტყვიერება.

ლაქსები ისტორიული, სასიმილო, სასარგებლო, შიშო, შიშები, ჩქარა გამოსათქმელები, გამოსაგებები, ანდაზები.

## ზღაპრები.

## ლაქსები.

14. წარმოდგენა მსოფლიოზე, სამყაროზე, მნათობებზე, მიწის ძვრებზე, სიკვდილზე, სიცოცხლეზე, ჯოჯოხეთზე, სამოთხეზე და სხვა. დაკვირვებანი ღარ-ავღარზე, ქარზე და სხვა.

**შენიშვნა.** მეტად სასურველია ილუსტრაციები, სადაც და რისაც კი შეიძლება და ვისაც კი შეუძლია. ფოტოგრაფიული სურათები ხომ საუმჯობესია.

ლავ. ჩიმაკაძე.

## მუსიკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა

„მუსიკა ხელოვნებაა, რომლის გასაღები ღმერთების მიერ დაკარგულია“.

არისტოტელი.

„მუსიკა ღმერთების ენაა, ჩვენი სულის გამოძახილი, უკვდავი, საუკეთესო ნაწილი ადამიანის ბუნებისა—ამიტომ ის ძვირფასია მთელი კაცობრიობისათვის. ვინც ამბობს, რომ მუსიკა არ მიყვარსო, ის ატყვილებს ან თავის თავს, ან სხვებს ან და გამოფიტული, მშრალი სულის პატრონია. არავის არ შეუძლია უარპყოს მუსიკის კულტურული მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: მუსიკა გვესმის თეატრში, სეირნობის დროს, ეკლესიაში.“

მუსიკა, ასე ვსთქვათ, დაბადებიდან სამარის კარამდე ადამიანის თანამგზავრია — ამბობს მუსიკის ერთი საუკეთესოდ მკვლევარი ნ. პრივალოვი, და მართლაც, ყოველ ფეხის გადადგმაზე მუსიკა, მუსიკა და მუსიკა! ეს რაღაც მომაჯადოებელი ძალაა, რომელიც თავის ბრწყინებულში

იმწყვდევს ადამიანს, ატყვევებს; ხან აცინებს, ხან ცხარე ცრემლებით ატირებს, ხან-კი სევდის მომგვრელ მოგონებათა აღუძრავს, ერთი სიტყვით, მუსიკა სწვდება ადამიანის სულის თვით უღრმეს კუნჭულებს, აპკურებს შიგ ყოველად შემძლე ნექტარს.

თუ მართლა ასეთი მნიშვნელობა აქვს მუსიკას, მაშინ ცხადია, რომ თვითოეულმა აღმზრდელმა გულდასმით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და ასეთი ძლიერი საშუალება, ასეთი ძლიერი ფაქტორი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ყველას შემჩნეული ექნება ბავშვების ძლიერი მგრძობელობა მუსიკისადმი: ჯერ კიდევ ფეხაუდგმელ ბავშვებდაც როგორ გავლენას ახდენს თითოეული ჰარმონიულად გამოძახილი ხმები—ის ტოკავს, ღელავს, რაღაცას ეძებს, შემდეგ ყუჩდება და თით-

ქოს ძლიერ ჩაფიქრებული იხმენს. თითონაც ელძრება სურვილი ასეთივე ხმები გამოსტაცოს იმ „რალაც მანქანას“ და ხელებს მაგრად ჩამოჰკრავს სიმებს.

ვისარგებლოთ სწავლა-აღზრდის დროს მუსიკის მძლავრი გავლენით ადამიანის ფსიხიკაზე.

ხშირად შეხვდებით ისეთ ოჯახებს, განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც ბავშვებს ასწავლიან ამა თუ იმ იარაღზე დაკვრას. მასწავლებელიც ჰყავთ დაქირავებული. ფაქტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოებაში არსებობს მისწრაფება ბავშვების „მუსიკალურად აღზრდისა“, თუ შეიძლება ასე ითქვას. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მისწრაფება არსებობს, რომელიც დამოკიდებულია საგნის მნიშვნელობის ყოველმხრივი გათვალისწინებიდან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ მისწრაფებას ბრმა-მიმბაძველობითი ხასიათი აქვს და როგორც ასეთს სასურველი ნაყოფი ვერ გამოაქვს.

საჭიროა მხოლოდ შევხება იმ დიადი მნიშვნელობისა, რომელიც მუსიკის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. მაშინ ბრმა მიმბაძველობა დაიჩრდილება და მის ადგილს დაიჭერს მაზნის შესაფერი მოქმედება.

რაც შეეხება გალობა-სიმღერას, მით უფრო ნაკლებად არიან დაინტერესებული, როგორც ოჯახურ ისე სკოლაში აღზრდის დროს. მხოლოდ ამ ბოლო დროს მეტი ყურადღებით ეპყრობიან და სურთ რაციონალურად მოაწყონ, მაგრამ რამდენად ეს მოსახერხებელია და შესაძლებელი დღევანდელ პირობებში—სულ სხვა საკითხია. სასკოლო სიმღერა, რომ სასურველ დონეზე დადგეს, ჯერ ერთი—საჭიროა მასწავლებელი, რომელმაც უნდა შესძლოს ჩასწვდეს თვითოეულ სიმღე-

რას სულში, გაიგოს რა იხატება შიგ და შეეფერება თუ არა ბავშვების სულიერ განცდას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეს უკანასკნელი გარემოებაა: თუ რომელიმე სიმღერა ბავშვების სულიერ მისწრაფებას არ ეთანხმება და, მიუხედავად ამისა, მასწავლებელი მაინც თავზე ახვევს მათ, მაშინ სულ სხვაგვარ შედეგებს მივიღებთ, რა თქმა უნდა, უარყოფითს. მეორე—საჭიროა კარგი სახელმძღვანელოები ანუ სიმღერათა კრებულები. კრებულებით კი ჩვენ ძლიერ ღარიბნი ვართ. მართალია, შეხვდებით ეგერ-აგერ დიდ ავტორიტეტიულ პირების მიერ შედგენილ კრებულებს, მაგრამ იქიდან ორი ან სამი საბავშვო სიმღერა თუ ამოკრიფე კიდევ კარგი. ისიც უნდა ვთქვა, რომ საბავშვო კრებულების შედგენა მეტის-მეტად ძნელია, ის მოითხოვს ავტორისაგან ყოველმხრივ გაცნობას ბავშვის სულიერს წყობილებასთან. სწორედ ეს გარემოება მიმაჩნია მთავარ შემაფერხებელ მიზეზათ კრებულების უქონლობისა.

ისეთ სკოლებში, სადაც სიმღერა-გალობის საქმე მართლა კარგად არის დაყენებული, არა მგალობელთა ანუ უნიჭო მგალობელთა რაოდენობა არ აღემატება 8—10%, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროც. ძლიერ იზრდება. ზოგი მიზეზები ზევით დავასახელებ, მათ გარდა კიდევ შეიძლება რამოდენისამე დასახელება: ორი საათი რომელიც კვირაში აქვთ გალობას დათმობილი ეხლანდელ ნუსხით გადაჭრით, შემიძლია ვსთქვა, რომ ვერავითარ დადებითი სარგებლობას ვერ მოიტანს. ამას დაუმატეთ აგრეთვე მთავრობის მოთხოვნა, რომლის გამო მასწავლებელი იძულებულია განსაზღვრულ დროის განმავლობაში შეადგინოს „კარგი მომღერალთა გუნდი“ და თქვენ წარმოგიდ-

გებათ საცოდავ ლოტბარის მდგომარეობა! მეტი თავისუფლება, მეტი დრო. ამას მოითხოვს საქმის ჯეროვან წიაღაგზე დაყენება. ძალიან ხშირად შეხვედებით ისეთს ბავშვებს, რომელნიც ხმებს სუფთად, სისწორით ვერ იღებენ. ასეთების უნიჭოდ მონათვლა ნაადრევი დასკვნაა უმეტეს შემთხვევაში. ასეთი ნაკლულევიანება კიდევ ნებას არ გვაძლევს მოვსწყვიტოთ ბავშვი მუსიკალურ ვარჯიშობას, რომლის საშუალებით მას შეუძლია არათუ გაისწოროს აღნიშნული ნაკლულევიანება, არამედ გამოიჩინოს უმაღლესი მუსიკალური უნარი. საერთოდ, უმთავრესი დანიშნულება საბავშვო გალობისა იმაში მდგომარეობს, რომ აამაღლოს, გააფართოვოს და განავითაროს „პატარა ადამიანის“ მისწრაფება, მიდრეკილება მუსიკისადმი, გამოაშკაროს მისი განსაკუთრებითი ნიჭი, რომელიც შემდეგში მოითხოვს სპეციალურ განვითარებას.

ესლა გადავიდეთ გალობის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე.

მუსიკა საერთოდ და კერძოდ კი გალობა ბავშვებზე მრავალმხრივ გავლენას ახდენს. ეს გავლენა შეიძლება იყოს ორგვარი: გარეგნული, ფიზიოლოგიური და შინაგანი, ფსიხიური. ჩვენ ვიცით, რომ ხმა ფიზიკური მოვლენაა, ჰაეროვანი ტალღა, რომელიც გამოწვეულია ხმის მიერ, ხვდება თვითოეულ წერტილს ჩვენი სხეულისას და მოძრაობაში მოჰყავს, ამოძრავებს აგრეთვე შიგ დაბოლავებულ ნერვებს. დამტკიცებულია, რომ ხმისმიერ გამოწვეული ჰაეროვანი ტალღა ამოძრავებს თითქმის მთელ ნერვიულ სისტემას. რაც უფრო ძლიერია ხმა, მით უფრო მძლავრად ხდება ეს პროცესი, მით უფრო საგრძნობელია.

დამტკიცებულია ისიც, რომ მუსიკა

ხელს უწყობს საქმლის მონელებას, რომ ის აძლიერებს გულის მუშაობას, ენერგიულად ამოქმედებს, მუსიკას შეუძლია ასწიოს ადამიანის სხეულის ნორმალური სიტბო და სხვა, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გავლენა ადამიანის კუნთების ენერგიაზე, რომელიც ხდება მუსიკის საშუალებით.

ძლიერ-ხმოვანი მუსიკა, ცოცხალი, ჩქარი ტემპის, აძლიერებს ნერვების ენერგიას, აღვიძებს, სამოქმედოთ იწვევს მოდუნებულ, მიყუჩებულ სხვა და სხვა გვარი კუნთების ენერგიასაც. გულის მუშაობა უფრო ცოცხლად ენერგიულად სწარმოებს, ერთი სიტყვით ადამიანი იღვიძებს, ხალისდება და ყველაფერი მას სამოქმედოთ იზიდავს. მუსიკის ასეთი თვისება კარგად ჰქონდა და აქვს მთელ კაცობრიობას შეგნებული და ამიტომაც იყო და არის, რომ ორკესტრი მთავარ გამაცოცხლებელ საშუალებათ არის მიჩნეული ჯარისთვის, რომელიც ომში მიდის, ვინ იცის როგორ ფიქრებში ვართული.

თავის თავად ცხადია, თუ ერთგვარი ხასიათის მუსიკა ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ზევით აღვნიშნე, მელანხოლიური, ნაღვლიანი სასოწარკვეთილების გამომხატველი ხმათა კრება სულ სხვა გვარ სულიერ განწყობილებას გამოიწვევს. ასეთ მუსიკას უნდა ვერიდნეთ ბავშვების აღზრდის დროს: ჩვენ გვინდა ბავშვებში სამოქმედო ენერგია აღვიძოთ, სიცოცხლე, სიმკვირცხლე არ დავუკარგოთ მის ბავშვურ ცხოვრებას და არ გავხადოთ დაყუდებულ ბერად, მოდუნებულ-მოქანცულ ბავშვბრძენად. ყველაფერი თავის დროზე.

გალობას გავლენა აქვს აგრეთვე იმ ორგანოებზედაც, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ ხმების აღმოხთენა-

ში. სიმღერა ჰქმნის მთელ რიგს გიმნასტიურ ვარჯიშობისას, რომლის გამო იწვრთნებიან და მაგრდებიან ენის კუნთები, ფილტვები და სხვანი. გალობა-სიმღერის დროს სუნთქვა გაძლიერებული და გახშირებულია; ასეთი თანდათანობითი ვარჯიშობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო გალობისათვის, არამედ ჩვეულებრივ ლაპარაკისთვისაც: დაღლილობა, ნაკლები საგრძნობელი ხდება და თვით სიტყვების გამოთქმა სწორი და მკაფიო.

როგორც წინადასახელები, ყველა ის ვარჯიშობა, რომელსაც ძალაუბრებურად, თავისთავად იწვევს გალობა, ამავრებს, წრთენის ფილტვებს. საღ ფილტვებს-კი ნაკლები მიდრეკილება აქვს ავადმყოფობისადმი. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა.

განვიხილოთ მოკლედ მაინც მუსიკის ფსიხოლოგიური გავლენა ადამიანზე.

გალობა, როგორც მუსიკის ერთი დარგი, ხელს უწყობს ადამიანში **მუსიკალობის** განვითარებას. მუსიკალობა კი შეერთებაა ყველა იმ სულიერი ძალების, სულიერი თვისებებისა, რომელნიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ან მოვიგონოთ ის სულიერი განცდა, ის ესთეტიური გავლენა, რომელიც მოახდინა ამა თუ იმ მუსიკალურმა ნაწარმოებმა.

მუსიკალური სმენა და მეხსიერება, ტონალური და რითმიული გრძნობა არიან ყლორტები ერთისა და იმავე ტანისა—მუსიკალობისა. ყველა ამ მხარეებს ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. ამ მხარეების განუვითარებლობის მეოხებით იჩლუნგება, სუსტდება მუსიკის ფსიხოლოგიური გავლენა. ტონალური გრძნობა ეს ის გრძნობაა, რომლის საშუალებით ვცნობილობთ, რომელი ხმა არის მაღალი და რომელი დაბალი (მა-

ღალი ტონი, დაბალი ტონი). რითმიული გრძნობის მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად იგრძნოს, რომელი ხმა უფრო მოკლედ გამოითქმის და რომელი კი გაჭიანურებულად (რითმ.) ორსავე შემთხვევაში საჭიროა მუსიკალური სმენა, რომელმაც სისწორით უნდა მიიღოს აღძრული ხმები და მეხსიერება, რომლის საშუალებით იბეჭდება ადამიანის გონებაში აღნიშნული განსხვავებანი.

ხშირად მშობლები, რომელთაც არ ესმით გალობის აღმზრდელი მნიშვნელობა, ნათლად თავის შვილებს უნიჭოდ თუ მათ ვერ გამოიჩინეს მართლად საკვირველი, არა ჩვეულებრივი მუსიკალური წინადასახეობა, უნარი, ნიჭი. და სწორედ ასეთ შემთხვევებში ხელს იღებენ ბავშვებზე, არ ავარჯიშებენ იმ ძალებს, რომელნიც ბოძებულია ბუნებისაგან და ასე ძირშივე ჰკლავს შესაძლებელ ტალანტს, რომელიც ერთ დროს ვინ იცის შეიძლება მთელი ერის და დამამშვენებელი შექმნილიყო. რაც შეეხება იმ რწმუნებას, რომ უმჯობესია ჯერ რომელსამე ინსტრუმენტზე დაკვრა დავასწავლოთ ბავშვს, მიუხედავად საერთო მუსიკალური განვითარებისა, რომელიც თითქოს შემდეგ თავისთავად მოველინება სხვა და სხვა ხმათა და მათ კომბინაციათა სმენით,— უარყოფილი უნდა იქმნას, რადგან მუსიკალური სმენის განვითარება-გავარჯიშება ხდება ყველაზე უფრო გალობით, ხოლო თუ ბავშვს სმენა რამოდენიმედ მაინც გავარჯიშებული არა აქვს, ინსტრუმენტზე დაკვრას ძნელად შეისწავლის. მეორე—სმენა თავისთავად არ იწრთვება, ეს დამოკიდებულია სპეციალურ სავარჯიშოებზე.

გალობას კიდევ სხვა გვარი მნიშვნელობა აქვს: გამოცდილ, ტაქტიან მასწავლებ-

ლის ხელში ის შეიძლება იქცეს დისციპლინალურ საშუალებად. და მართლაც, საკმაოა მხოლოდ შევადგინოთ ბავშვთა გუნდი და თუ გინდ ზერე დავაკვირდეთ სხვა და სხვა ტემპერამენტის ბავშვებს — უსათუოდ შევამჩნევთ, თუ როგორ მოქმედობს მათზე ყოველი ცოცხალი პიესა: როგორ სიცოცხლეს, სიმკვირცხლეს იწვევს ერთის მხრივ აუჩქარებელ ბუნებოვან ყმაწვილებში: მასში იღვიძებს აქტივობა და ჩვეულებრივად ზანტი არსება ეხლა აჩქარებული ტემპით მოძრაობს. ცოცხალი, მკვირცხლი ტემპერამენტის მქონე ბავშვი-კი იძულებულია თავი შეიკავოს და საშუალო სიჩქარეს აყვეს. მას მეტის მეტად უძნელდება გაჭიანურებულ ხმათა გადაბმა-გადმობმა სიმღერის დროს, —სამაგიეროდ სულ მალე ითვისებს ცოცხალ სიმღერებს. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ის იძულებულია დაემორჩილოს იმ წესებს, რომელნიც გამეფებულია ხოროში, გუნდში: მოწაფე ცდილობს მიჰყვეს მასწავლებელს, მის მიერ ნაკარნახევ ტაქტს, არ ჩამორჩეს ამხანაგებს ან არ გაასწროს ე. ი. შეგნებულად ხდება არა ის, რაც თვითოვეულს სურს, არამედ რაც საჭიროა: სურვილი ექვემდებარება საერთო მოთხოვნილებას —აი სწორედ ამაში გამოიხატება გალობის მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი დისციპლინალური საშუალებისა. ასეთ შემთხვევაში ნების აღზრდა, ყოველი პიროვნული სურვილის საერთო სურვილის საერთო სურვილისთვის დაქვემდებარება ხდება კეთილშობილ საშუალებით, კეთილშობილ ზომით, რაიც ფრიად მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ განსიკუთრებული ყურადღება: აუცილებლად საჭიროა, რომ გალობის გაკვეთილებს ბავშვებში **ინტერესი არ დაე-**

**კარგოს:** ყოველ ასეთ გაკვეთილებზე ისინი სიხარულით, ინტერესით უნდა მიდიოდნენ, ხოლო თუ ეს არ ხდება და მეცადინობას იძულებითი, ძალდატანებითი, არანდომითი ხასიათი აქვს, გალობის საქმე წასულია. მაშასადამე, პირველ რიგზე უნდა იყოს **ინტერესი**, ბავშვი არ აუნდა გრძობდეს **იძულებას**, **ძალდატანებას**. ეს აუცილებელი პირობაა ზემოაღნიშნულ გავლენის მოსახდენად. გალობის გაკვეთილები სწორედ ამ ზემოაღნიშნულ გარემოების მიხედვით უნდა გრძელდებოდეს.

გალობა იწვევს, ანუ უკეთ, ამტკიცებს ამხანაგურ დამოკიდებულებას, ამხანაგურ გრძობას. ბუნებრივად ხდება; მომღერალნი ძლიერ უკავშირდებიან ერთმანეთს ამხანაგებთან.

დასასრულ ორიოდ სიტყვით უნდა მოვიხსენიო ის ესთეტიური განცდა, ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს საერთოდ მუსიკა მსმენელზე: წუთით მაინც ეძლევა თავდავიწყებას, უნელდება სულიერი ტკივილები, იმჰვალება იმ კეთილშობილ იდეებით, რომელნიც ჩაქსოვილია ხმათა ჰარმონიაში, მათ თამაშში, ივიწყებს ყველაფერს მიწიერს, მალღდება, სპეტაკდება გრძობით, გონებით, ერთი სიტყვით შინაგან გარდაქმნის პროცესს ჩქარი ტემპი ეძლევა. თუ ეს ითქმის მოზრდილზე, ბავშვის შესახებ ხომ მით უმეტეს — აქ ხომ გრძობელობა უმაღლეს წერტილს აღწევს.

## მ. რევია.

ვხელმძღვანელობდი: „Музыка и пѣніе“, „Энциклопедія семейнаго воспитания“, — და სხვ.

მ. რ.





# კიკნა პოემები

## I

### ვის მოველი

— წკაპ-წკუპ... წკაპ-წკუპ... წკაპ-წკუპ...  
— ზღაზღენით ეცემიან წვიმის წინწკლები  
ჩემს სარკმელს...

სარკმელთან ვდგევარ... გარეთ გავი-  
ყურები...

ნისლით, მრემი ნისლით მოცულია მი-  
დამო...

ყველგან სიყრუეა...

ყველგან სიცალიერეა...

მიყურსდება გული...

მიღნიოშდება ცნობიერება...

ჰვინჯღლავს, იცრემლება ტალახის ფე-  
რი ცა...

უკანასკნელი ფოთლები სცივიან წუმ-  
პეში...

ქარი ჰსისინებს... სტირის ნაძვის მწვერ-  
ვლებზე...

ქარი ასამარებს გაზაფხულის მშვენიე-  
რებას... დაღლილი ფიქრებით მივსდევ  
ცაში შენაევებულს მქნარს ფოთლებს...  
საწყლები!..

რა უგზო-უყვლოდ დაძრწიან...

რა განწირვით სწივიან...

ყვაა... ყვაა... — ყრაშყრაშით მოჰფრინ-  
და ყვავი და ჩამოჯდა ჩემს პირდაპირ ხე-  
ზე...

ყვააა... ყვააა... ყვააა... ზამთარი მო-  
ახლოვდააა!.. ზამთარი მოახლოვდააა!.. —  
ახარებენ ერთ-ურთს პირშავები...

ჰთრთიან ხეები...

იცრემლებიან ნისლები...

სიკვდილის ჩრდილი ნელ-ნელა ეშვება  
დედა-მიწაზე...

რად, რად გავიყურები ამ საშინელს  
ქამს გარედ?..

ვის მოველი?..

ხომ არავის ვახსოვარ...

არავის უნდივარ...

ეჰ, ვის მოვლის მოწყენილი, მარტო  
მყოფი ქანდარი—გატიტვლებული ტოტე-  
ბით რომ აზიდულა ავადმყოფს ცაში...

ვის მოვლის სუსხიან სივრციდან...

ვის?..

## II

### რა მიყვარს გაცრეცილი ნისლი?!

ძალიან მიყვარს გულ-აღმა წოლა და  
განუწყველდოვ ყურება ცის სივრცეში.

ღამის ხვეწვდოვანი წიაღი მშობელსა-  
ვით მეფარეზება და მიშოშმინებს აბორ-  
გებულს სულს...

ვარსკვლავთა სიკამკამეს მივჰყევარ ამ  
საცოდავი დედა-მიწიდან შორს-შორ-მარა-  
ღისობის წიაღისაკენ, სადაც ცისიერნი  
ადამიანისთვის შეუცნობელის ენით ლა-  
პარაკობენ საიდუმლოებათა-საიდუმლოე-  
ბაზე...

ღიახ, ძალიან მიყვარს ვარსკვლავთა  
ფსალმუნების ყურის გდება-მაგრამ რად  
არის, რომ მასზე მეტად მიყვარს გაცრე-  
ცილი ნისლის თვალის დევნება...

რატომ არის, რომ თვალს არ ვაშო-  
რებ აიმ მქრქალს ნისლს, ვიდრე არ მიე-  
ფარება მთების მწვერვლებს...

რად მიყვარს იგი ასე უჩვეულოდ?..

იმისთვის ხომ არა, რომ იგი მაგონებს  
ჩემს სატრფოს, ჩემს გულის. სატრფოს  
მთვარესავით ვერ გაცრეცილსა?..

### III მეკუბოენი.

— უზ—ზრრ... ზრრ... უზ—ზრრ...  
კაკ-კუკ... კაკ-კუკ...—თანხმოდანად მუ-  
შაობენ საღურგლო იარაღები და ოსტატ-  
ნიც ხმა-შეწყობით დაჰლიღინებენ:  
დაჰკარ, ჩაჰუჩო, დაჰკარი,  
ლიღინით ბანი გვითხარი...  
გაისმის ისეთი მხიარული სიმღერა,  
თითქოს მეფიონისთვის ტახტრევანს ამ-  
ზადებდნენ...  
— გაჰრანდე, გაჰრანდე ლამაზად—აჩ-  
ქარებს ოსტატი შალაშინს—ემანდ ხეჰბო  
არ შეჰრჩეს, სახე დაეკაწრება პეწიანს მი-  
ცვალეზულს.  
— ვეტრან! ვინ მოგახსენა, რომ პეწიან-  
ნი იქნება. ვინ იცის ისეთი ჯოჯოხეთის  
მაშხალა გაიშხლართოს შიგა, რომ გუ-  
ლები დაუხეთქოს საიქიოს მცხოვრებთ.  
— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ძალიან ეშმაკი

არა ყოფილხარ! რა მალე მიხვდი რომ  
შენთვის ვაპრიადებ ე აბანოზის ფიცრებს.  
მეკუბოენი არიან...

ისინი ოხუნჯობენ ასე უგერგილოდ...  
— კუბოს ვამზადებთ, რა კუბოს,  
ბროლისა უწმინდესსაო,  
რომ მოვლოთ მთელი ღუნია,  
ვერ ჰნახავთ უკეთესსაო,  
ჰარი ჰარალო ვალალო, თარი თარალო  
თარალო!..

მარჯვედ დაჰკარი, ჩაჰუჩო,  
ჩაჰუჩო შენსა მზესაო,  
ხომ ჰხედავ სიკვდილის ქარი  
მკვდრებს გვაყრის ვითა ბზესაო...  
ჰმუშაობენ, ჰმუშაობენ ხალისიანად  
ოსტატები; გულ-დასმით ალამაზებენ ადა-  
მიანის საუკუნოდ დამსამარებელს და თან  
ისე დარდიმანდად დაჰლიღინებენ, თით-  
ქოს თავისს დღეში არ მოვლოდებოდეთ  
სალბუნება სიკვდილისა...

დ. თურდოსპირელი.

## ზარის ხმა

სალამოს ზარი ჩამოჰკრავს  
გულს სევდა დაედინება,  
სალამოს ზარის ჩივილი  
გლოვის ხმად მოეფინება;  
ზარის ხმა ფიქრებს აუშლის,  
ეწვევა დაობლებულსა,  
ზარის ხმა ნუგეშს შეუკრთობს  
უმწეოდ დატოვებულსა!  
იგივ ხმა სოფელს უძახის—  
მებრძოლი უსმენს, ღონდება,  
სასაფლაოზე გაივლის,  
დედიკო მოაგონდება!..

მტრის ტყვიამ გაიზუზუნა  
მებრძოლს ეწვია; დასცა ძირს,  
კვნესამ შეიპყრო ვაჟკაცი,  
დედას უძახის გასაჭირს!..

ღელვის ჟამს გემი იმსხვრევა  
დარდი ალავსებს შვილის გულს,  
„დედავ, მიშველე, უძახის,  
იგონებს მშობლის სიყვარულს!..“

დედა არ ახსოვს, არც მისი  
ტკბილი ნანა და ალერსი?..  
ცხოვრება დაუშრეტია —  
სიცოცხლე, წამლად ნალესი?  
სიკვდილის პირას მას გული  
დაუსუსტ-დაუღონდება,  
უკანასკნელი ძახილით  
დედიკო მოაგონდება!..  
დედას იგონებს, უძახის  
ცხოვრებით განაწამები—  
უკანასკნელად კოცნის მას—  
ამ მოგონების წამებით!

გელა.

# სულთა-თანა!

(ბაქოს ქართ. სკოლის მასწავლებელთ)

სევდის ვრცელ ზღვაში შევაცურე ჩემი ტლუ ნავი,  
უმოქმედობის ღრმა მორევში ჩავეფლე თანა;  
ეხლავ გასთხარეთ, მეგობრებო, ჩემთვის საფლავი  
და ტკბილის ხმებით მიგალობეთ მუნ „სულთა-თანა“!

გმირული სული, წინედ ჩემში რომ ტრიალებდა,  
ეხლა ყრუდ ჩაკვდა, გამეცალა, უკვე გამშორდა, —  
და გრძნობის ცრემლი, თვალთ ქუთუთოს რომ მისველებდა,  
მომწყდა, დიდ თხემის პიტალოზე ცივად დაგორდა!

ყვავ-ყორნის ჩხავილს გულ-შესაზარს, სულის შემხუთავს,  
გაუტანლობას, ძმისაგან რომ ძმის სისხლი იღვრება, —  
ვერ შევეთვისე, ვერ ვუგუებ უბედურს ჩემ თავს.  
მას ვერ აიტანს, ვერ აიტანს ჩემი არსება!

გული დასჩხვლიტა ნარ-ეკალმა და სასოება  
ნიავ-ქარს გაჰყვა, მთლად მომესპო, სრულად წამერთო:  
დღეს კვლავ მესტუმრა ფრთა-გაშლილი ამოვება  
და ტანჯულს გულსა ტანჯვის ცეცხლი ზედვე დაერთო!

ქანც-მილეურმა განვიძარცვე ტანთ-სამოსელი,  
ბრმად დავემონე ზღვის მძლე ტალღებს, მათ გორაობას!  
ფარ-ხმალ აყრილმა უკუვადე ბრძოლისა ველი  
და შევეთანხმე, შევეუერთდი არარაობას!

სევდის ვრცელ ზღვაში შევაცურე ჩემი ტლუ ნავი,  
უმოქმედობის ღრმა მორევში ჩავეფლე თანა;  
ეხლავ გასთხარეთ, მეგობრებო, ჩემთვის საფლავი  
და იქ ღაღადით მიგალობეთ თქვენ „სულთა-თანა“!

ლადო გეგეჭკორი.



# ბედის ვარსკვლავი

როცა ცის სივრცე მინახებული  
ღრიცხვ ვარსკვლავით დაიმძივება  
და სავსე მთვარე —შვენება სრული,  
თეთრ თმა გაშლილი მოიმზირება,  
როს ცის ფერი ზღვა სულგანაბული  
ზღვისფერ ცის კამკამს უფსკრულში სახავს  
და ტყე ტკბილ ვნებით ათრთოლებული  
იღუმალ შვენებას გულში ინახავს,—  
მე არ მშორდება მწარე ნალველი,  
კვლავ კმუნვის ალი მიღვივის გულში;  
რადგან ჩემს ბედის ვარსკვლავს არ ველი  
არც ცის ტატნობზე, არც ზღვის უფსკრულში!..

\* \* \*

ხოლო როდესაც ცა მოელვარე  
შავი ღრუბლებით მოიფინება,  
ვარსკვლავთა ხომლი, პირბადრი მთვარე  
უფსკრულ წყვილიდში ჩაიძირება,  
როს ზღვის ტალღათა რისხვით ღმუილი  
ტყის ველურ ხარხარს შეეწონება  
და ცის ტატნობზე ჭეჭა-ჭუხილი  
გრიგალთ მოძახილს ჩაექსოვება,  
ცას ძაძა მოსხმულს ტანჯულ მიწაზე  
ღვართქათად ცრემლი დაედინება!—  
...და კვლავ ზღვის ტალღებს ზღვის ლურჯ მინაზე,  
ტყეს—ქარიშხალთან ჩაეძინება,—  
მაშინ გაცრეცილ ღრუბელთა შორის  
მიმოიხრევა ქულა ნისლისა, —  
გრძნეული თვალი გულისა სწორის,  
ვით თოვლის ქვეშით წვეთი სისხლისა—  
ბედის ვარსკვლავი ნახ-მოელვარე  
იღუმალ თრთოლვით გამობრწყინდება,—  
გულს განშორდება ნალველი მწარე,  
გულს შვენების სხივი მოეფინება!..

ილ. გოგია.



# მასწავლებელი

(ძღვანად სოფლის მასწავლებლებს)

ღილა არის... ჩუ, წკარუნობს სოფლის სკოლის კოხტა ზარი,  
ხელში ვიღებ რვეულებს და მეც იქითკენ მივიჩქარი;  
ჰა, შევდივარ კიდევ კლასში... გულზე სევდა ვგრძნობ მეშვება,  
ნორჩ ყრმათ კრების დანახვაზე სწრაფლ მესტუმრა კვლავ მე შვება;  
ვხედავ, ყველა სიხარულით და ღიმილით შემომცქერის,  
მეც ვივსები ნეტარებით, გული ტოკავს, ტკბილად ძგერის;  
ვხედავ თვალებს წრფელი სულის ცელქ კიმციმით გაბრწყინებულს,  
ესკვრეტ ყვავილებს სწავლის ბაღში გასაშლელად გამზადებულს,  
სასიცოცხლო მისწრაფება კუკურზედ აქვთ დაქარგული,  
მზეს უცდიან — სიცოცხლის სხივს, რომ გაშალონ ტურფად გული;  
ყველას სახეს აღბეჭდვია წინსვლის, ლტოლვის მძლე სურვილი,  
ყველა ძმური, ერთსულოვან შრომისთვის არს აღტურვილი...  
მე მათი ხმა ნორჩი, წრფელი მაფრთოვანებს, სულში მწვდება,  
სევდისაგან დაღლილ ტანში ძალა უფრო ორკეცდება,  
და ვცდილობ მათ წყურვილს, ლტოლვას მივსცე მტკიცე საფუძველი,  
რათა შემდეგ მედგრათ სწმინდონ ნარ-ეკლისგან ყოფნის ველი.  
ვიშ, რა ნეტარება არის ნორჩ ყრმათ შორის შრომა, ბრძოლა,  
ნეტავი მას, ვისაც ესმის მათი გულის ძგერა, თრთოლა;  
ნეტავი მას, ვისაც ბედმა ნორჩ ყრმათ აღზრდა წილად არგო,  
მან მათ გულში სათნოების და სიმართლის თესლი დარგო!..

ი. სიხარულიძე.

---

## გ. ლეონიძის ლექსები

ა

ნ ა თ ი ლ ა ს

წულარა მკითხავ ჩემო ძვირფასო, რისთვის დავდივარ მე სევდიანი,  
რად ვერ მალხენენ გაზაფხულისას ცვარ-ნაპკურები ვარდნი-იანი,  
და რად ვერ მატკობს საქართველოში — დილა ნათელი, დილა მზიანი..  
— არც ავადა ვარ, ჩემო ნათელა, არც არვისგან მაქვს რამე ზიანი,  
მხოლოდა ვფიქრობ: ჩვენი სიცოცხლე, რად არს ამაო, რად არს ჭიანი.

ბ

## კ ა ნ მ მ ბ ი

1

ემგსავსი ვარსკვლავს,  
ემგსავსი მთვარეს,  
შუქით მიბნედილს,  
შუქით მფინარეს...  
მეყო! ნუ მითხრი  
ქვესკნელს სამარეს  
ნუ მაცლევინებ  
ფიალას მწარეს!..

2

... და ხშირად ფიქრი,  
შვებასა მპარავს,  
ხშირად დაწვს ობოლს,  
ცრემლები სცვარავს,  
და კაეშანი მიუწდომელი,  
გულში სდგავს ბინას,  
გულში სდგავს კარავს!..  
და თუ ამ ჟამსა  
განათლა არე  
და შენი მოსვლით  
შვება მახარე,  
აღტაცებული წამოვიძახებ:  
რაა სიკვდილი,  
რაა სამარე!..

ბ

\* \* \*

(გადავიწეებულ რვეულისა)

მზემ სხივი სტყორცნა საქართველოს მთებს  
გადაახვია სხივთ აბრეშუმი  
და გაზაფხულის სადიდებელად  
გაჟინიანდა არაგვი ჩუმი...  
დარიალის თავს ფრინავს არწივი  
დარიალის მკერდს ჰკოცნის ნათელი  
და ცისკრის სხივით გათინათინდა  
მდელო ზამთრისგან გადანათელი!..

მე კი არ ვიცი, რითი ვერ დგება  
სასაფლაოდან ეს ჩემი გული  
და მომლოდინეს გაზაფხულისა,  
რისთვის ვერ მატკობს მე გაზაფხული!..

დ

## ა ლ გ მ მ შ ი

(ს — ს)

ოდეს დაგღალოს ტკბილმა ოცნებამ,  
ოდეს დაგიდგეს წამების წუთი,  
ნელა აჰფურცლე... გულს ჩაგეჭრება  
გრძნობა მგონისა, გრძნობა სათუთი!..  
დაე გახსოვდეს, შენი მგოსანი,  
აღარ განიცდის, განცდასა მწარეს  
და დაქანცული მუდმივი ბრძოლით  
ჩაჰკონებია მშობელ სამარეს!..

ე

## ნუღარ ქვითინებ...

ნუღარ ქვითინებ, ნუღარა ჰსტირი,  
გეყო ცრემლები, იყუჩე გულო.  
ერთხელ იქმნება, შენც დაგიდგება,  
დღე საოცნებო სასიხარულო...  
სულ ხომ ზამთარი არ ინეტარებს? —  
დრო მოვა სატრფო შენც გაგიღიმებს  
და სხივი შვებით გარემოცული,  
გადაეფრქვევა ჩანგურის სიმებს!..

ვ

## მ ლ ე მ ი ა

დაჰკრავს წამი... და გამოიელვებს  
პირ-მახვიანი სიკვდილის ცელი.  
უსაზღვრო სოფელს მოვსწყდები ისე,  
ვით შემოდგომით ვერხვის ფურცელი.  
მე წავალ იქით, სითაც მოვსულვარ,  
საც იმყოფება ბინა სულისა  
და ამ მიწაზე დარჩება მხოლოდ —  
ობოლი ცრემლი სიყვარულისა!..

ქ. თბილისი.



# სამარესთან...

ღამის სიბნელე მოეფინა გაყინულ მიწას... გამეფდა უცებ კრძალოვის სიჩუმე და მთლად დადუმდა ძირს არე-მარე.

მთვარე ღრუბლებში მომწყვდეული ელვასებრ ჰსცურავდა და აქ თუ იქ მკრთალი სახით ქურდულად დასჩერებოდა ხოლმე ძირს დედა-მიწას...

ებრძოდა ღრუბლებს ძლიერ-მოსილი ღამის დარაჯი და აგერ ერთგან გარს გაფანტულ ღრუბელთ შორის მედიდურად გამოობრწყინდა...

დამშვიდდა იგი და ნელის ცურვით კვლავ აციმციმდა ლურჯ-ლაჟვარდ ცაზედ...

ძირს დაიხედა... და გაიღიმა...

მხარე განათდა და ერთ წაშს აღსდგა მთელი ქვეყანა ძაძით მოსილი ვითა მკვდრეთითა...

გამოჩნდა შორს... შორს მთის კუნწუნზედ ობლად მდგომარე ძველი საყდარი.

სასოება და სულ-გრძელობა მეფობდა მის გარს... გარს მხოლოდ ღვთაებრივი დუმილი იყო ხოლო სოფელი მოახლოვებულ ზამთრის სიმკაცრეს დაემონავებინა და გაელახა...

ცალ გვერდ მინგრეულ ეკლესიას თამამად აემართნა (კის სივრცეში ხავს მოდებული გუმბათი და ეს ისე ნაზად გამოსჩანდა, რომ მნახველი თვისდა უნებლიერად, აღვისილი ღვთიურ გრძნობით, მუხლ-მოხრილი პირჯვარს გადისახავდა და წარმოსთქვამდა: — «დიდება ძლიერ მეუფეს!..»

გარს უთვალავი სამარხულოები მოს-

ჩანდა... მიწასთან გასწორებულ ყოველ სამარის თავს ხის ჯვარი ამშვენებდა და ნუგეშს სცემდა შიგ მყოფ გაცივებულ ადამიანს...

სამარეს სძინავს... სამარეს არ ესმის ის, რასაც განიცდის ტანჯული ქვეყნიერება... იქ სიჩუმეა... იქ მკვდრული მოსვენებაა... მათ არ იციან არა-რა ქვეყნიერებისა... არც იგინი ახსოვთ ვისმეს დედამიწაზედ...

მაგრამ... ჰეი, ღმერთო!..

ჰხედავთ სამარეს?!.. ახალ სამარეს?!..

ჰხედავთ ზედ დაყრდნობილ მშობელ დედას თვალთ ცრემლით სავსეს?!..

ღიახ!.. ღიახ, სამარესთან მშობელი დედა... ღიახ, სამარეში ჩაასვენა მან თვისი უკანასკნელი მაცხოვრებელი და სულის ჩამდგმელი იმედი...

ერთი იქ... იქ შტერთან ბრძოლაში შორს, უცხოეთში, გაიწირა სამშობლო-სათვის!.. დავიწყებული... არავისგან მიუხედავი... დაუტირალი და შეგინებული!

ეს კი... ეს მეორეა... შვილი მეორე საყვარელი მშობლისა... ეს ახალი მსხვერპლია სიკვდილისა!..

ჰშანთქა... წაიღო სამუდამოთ ვით მოჩვენებად მოვლენილი არსება და მასთან ერთად ჩაიკვეთა სამარადისოდ მშობლისა გული...

ქვითინებს დედა... სტირის და ჰვოდებს... აფრქვევს ცრემლებსა და გულში იკრავს ყოველ ქვას, ყოველ მცირე კენჭს სამარისას და კვლავ ქვითინებს და კვალად მოსთქვამს ვითა ბუღბუღი გულდაისრული.

გარს სიჩუმეა... გაჰქრა ცად მთვარე;  
შეჰკრეს ღრუბლებმა ცისა კამარა და წა-  
მოჰქროლა ცივმა მთის ქარმა...

კვლავ სამარესთან შუალამისას,—წვიმად  
იფრქვევა მშობელის ცრემლი...

მ. ჭრელაშვილი.

## ჩემს შვილებს

(ვაგნერიდან)

**ც**ივია. ბუნებას თავპირი ჩამოსტირის.  
ყველა მხრიდან მუქარით მოსრიალებენ  
შავათ შერუჯლული ჟინჯლიანი ღრუბ-  
ლები. როდისღა დადგება ნათელი დღე,  
როდის გამოჰქრთება შუქი ცოდნისა და  
ამოვა ცხოველი მზე მშვიდობიანობისა და  
სიყვარულისა!

ღრუბლები კი... თითქოს ერთმანეთს  
ეჯიბრებიან, სწრაფად მისრიალებენ ცის  
კიდებზე და პასუხის მაგიერ ჰგზავნიან წვი-  
მას.

სცრის, განუწყვეტლივ სცრის...

ყველგან უნაყოფოა დედამიწა, ბალა-  
ხიც კი არსადა სჩანს: ისიც დაიღუპა  
უთანასწორო ბრძოლაში ჰაერის და სი-  
ნათლის მოსაპოვებლად...

მშვიდობა თქვენ უდროოა დროის მუ-  
შაკნო!

მაგრამ მშვიდობიანობა არ არის ქვე-  
ყანაზე. გარშემო ბრძოლაა გაჩაღებული  
და მასთან ერთად სიბნელე, რომელიც  
ადამიანს სულს უხუთავს, გულს უწუხებს,  
სისხლს უშრობს. ამ სიბნელეში ადამიანი  
ადამიანს ვეღარ სცნობს და იქცევა მხე-  
ცად...

როდის, როდის ამოვა ცხოველი მზე,  
მზე ცოდნისა, მშვიდობიანობისა, სიყვა-  
რულისა?

და აი ამ მზის სინათლეში გაიზრდება

ახალი ტალღა, რომელიც მალღა, მალღა  
აპყრის ფაფარს და ავა ჩვენს საფლაგების  
ზევით...

საცოდავნო!.. თქვენ, რომელთაც არ  
გათბობთ სინათლე, რომელნიც იძულე-  
ბულნი ხართ პირველ ნაბიჯიდანვე თქვე-  
ნი ახალგაზრდა ცხოვრებისა სვათ ის მწა-  
რე ფიალა სიბოროტისა, უკმაყოფილო-  
ბისა, რომელსაც ვსვამთ თქვენი მამები...  
თქვენ იქნებით მოწმენი ჩვენი ველურ,  
უადამიანო ბრძოლისა, ბრძოლისა კენისა  
და აბელისა...

მაგრამ დადგება სხვა დრო, ამოანათებს  
სხვა მზე და გამოიღვიძებს საცოდავი, შე-  
ბოჭილი „ადამიანი“ და ჩვენ, ჩვენი ბნელ  
აწმყოდან გიგზავნით ეხლა სალამს თქვენ,  
მომავალ შთამომავლობას, უგზავნით მათ,  
რომელნიც მომკიან ნაყოფს ჩვენი ბრძო-  
ლისა, ჩვენი გაჭირვებისა და უფერულ  
ცხოვრების თესლიდან ამოსულისას.

ჩვენ ღონეს, შრომას, მთელ სიცოცხ-  
ხლეს ვანაცვალვით თქვენ ბედნიერებას,  
კეთილდღეობას. ნუ დაგვივიწყებთ, მო-  
გვიგონეთ იმ სიმაღლიდან, სადაც აგწევთ  
თქვენი დრო და საიდანაც თვალწინ გარ-  
დაგეშლებათ სხვა ჰორიზონტები, სხვა  
უკეთესი ცხოვრება, სხვა მზე ცოდნისა,  
სიყვარულისა და ერთობისა.

შ. ასათიანისა.



# მორთული კაბა

— თუ ეხლავე არ გაჩუმდები, დრედრე, სილას გაგაწნავ.

— რათა?— შეეკითხა განცვიფრებული ბავშვი, მაგრამ პასუხი არ მიიღო.

იმისი დედა ძალიან გართული იყო საუცხოვო ქსოვილის სინჯვით: ქმარმა ეს-ეს არის ეხლა უყიდა ათი მეტრი რბილ, ბრწყინავ, ლამაზ ჩინურის ქსოვილისა ერთ ჩინელისაგან. მოვაჭრე ჯან-სალი შაგვრემანი ჭაბუკი ნელ-ნელა ალაგებდა თავის საქონელს იმ იმედით, რომ იქნება კიდევ გავყიდო რამეო. ქსოვილების გარდა იმას ჰქონდა ბრინჯაოს სხვა და სხვა ნაირი ნივთები, სპილოს ძვლის ქანდაკებანი სხვა და სხვა ნაირი ნაკერები.

დრედრეს მამამ ბ-მა სორელმა თავისთვის იყიდა ბრინჯაოს მშვენიერი ქანდაკება, რომელიც წარმოადგენდა პაწია ბიჭს ხარზედ, იგი ყურადღებით ათვალიერებდა მას, ატრიალებდა ხელში, სტკებოდა იმის სიმშვენიერით, თუმცა კი სცდილობდა არ შეეტყობინებინა თავის აღტაცება ვაჭრისათვის.

დრედრე, რომელსაც არაფერი უყიდეს, რადგანაც ეს „ბავშვისთვის არ იყო“ ერთობოდა ოთახის ბოლოში. ის სცდილობდა ლამფის ქვეშიდან გამოეძრო თავის სურათებიანი ალბომი. ლამფა წინად იმ მაგიდაზედ იდგა, რომელზედაც ვაჭარმა თავის საქონელი გაშალა. ბ-ნმა სორელმა ლამფა ალბომზედ გადადგა, არც-კი დაფიქრებულა იმაზედ, რომ ეს ნივთი იმის შვილის საკუთრებას შეადგენდა.

— ალბომი ჩემია, — ფიქრობდა დრედრე, — მაშასადამე მე სრული უფლება მაქვს

ავილო იგი“, და მიუხედავად დედის გაჯავრებისა, იგი მაინც სცდილობდა ჩუმად გამოეცოცებინა ალბომი ლამფის ქვეშიდან. გამოსწია და უცებ, ჯახ! ლამფა ძირს დაეცა, შუშა მთლად დაიმსხვრა და ნავთის ტბორე წადგა იატაკზედ.

— აჰა, ესეც შენ, შე საძაგელო შენა! — და სილა გაწნა.

— რა საძაგელია ეს ბავშვი!

ვაჭარი წავიდა და დრედრეს გამოუცხადეს, რომ იგი დღეს ტკბილს არ მიიღებს. ამ დროს გიმნაზიიდან დაბრუნდნენ იმისი ძმები — ჟაკი და პერი. სასადილო მაგიდაზედ კი დრედრემ შეამჩნია ჟოლის მურაბა და ბანანა.

მძიმე გულით მიტრიალდა დრედრე, რომ არ ენახა როგორ იტკბანურებდნენ პირს მურაბით იმის ძმები. ეხლა აგერ, ბანანასაც შეექცევია. დრედრეს ერჩივნა არაფერი ენახა, არაფერი გაეგო, მაგრამ უნებურად მოჰკრა ყური დედის მხიარულ ლაპარაკს კაბაზედ.

— კაბა საუცხოვო, საკვირველი გამოვა, — მხიარულად ეუბნებოდა იგი ქმარს. — აქ ნაოჭი იქნება, ზედ არშია; აქედან ნაოჭი წინ გადმოვა და ლამაზად დაეშვება ძირს. ამასთანავე გული კოხტად იქნება ამოღებული... უჰ, ნახავ, ნახავ რა მშვენიერი რამ იქნება.

საუზმის შემდეგ დედამ ყავას აღარ დაუცადა და გაეშურა თავის ოთახისაკენ. რამდენისამე წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა ვერცხლის ფერ საკაბით, რომელსაც იგი სჭმუჭნიდა ხელში; (აბა დრედრეს ექნა ეს!) მაგრამ ქსოვილი

არ იკმუქნებოდა; იგი რაღაცა ჯადოსნურის ძალით ისევ იშლებოდა და ბრწყინავდა, ელვარებდა.

— შეხე, შეხე! — ეუბნებოდა ქ-ნი სორელი ქმარს, — როგორ შრიალებს... როგორი რბილია... რბილი, რბილი... რა ლამაზი ვიქნები ამ კაბაში! — და ამ სიტყვებთან ერთად მიუბრუნდა სამთავე შვილს: — არა? მართალი არ არის? თქვენ განა არ იამაყებთ მაშინ თქვენი ლამაზი დედით?

ჟაკა თავი დაუქნია, პერმა ეშმაკური სახე მიიღო, მხოლოდ ღრედრემ მწუხარედ თავი ძირს დახარა.

— ამ ბავშვში არავითარი გულწრფელობა არ არის, — სთქვა მამამ.

მამა მართალი იქნებოდა, თუ ამ სიტყვებით იმას იტყოდა, რომ ხუთი წლის ღრედრე ბევრს განიცდიდა, რის გამომუქანებაც არ შეეძლო.

ბ-ნი სორელი თუმცა ძალიან განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ შორს მჭვრეტელობას მოკლებული; ამას გარდა იმას იმდენი საქმე ჰქონდა, რომ დრო აღარ რჩებოდა ბავშვის ფსიხოლოგიის შესწავლისათვის. ღრედრე მართალი იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ იმის საყვარელ დედის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ლამაზ კაბაზე. ჩვეულებრივად ყოველ დღე ყავის შემდეგ დედა დაუძახებდა ხოლმე თავისთან ღრედრეს; ღრედრეც დაჯდებოდა ხის პატარა სკამზე და მაგრა ეკროდა დედას მუხლებზე. დედაც ეალერსებოდა თავის პატარა ბიჭუნას, ხელს უსვამდა აბრეშუმის მსგავს ოქროსფერ თმაზე და სიყვარულით აშტერდებოდა ლამაზ თვალბეჭდში. ეხლა კი... ოჰ, ის საზიზღარი კაბა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს პატარას და რომლის გულისათვისაც სილა გააწნეს. იგი სიბრაზით

უტკეროდა მშვენიერ ქსოვილს, რომელსაც დედის ლამაზი თითები ეხებოდნენ. ბავშვის გული ღელავდა, თრთოდა, მთელი მისი პაწია არსება ეჭვმა შეიპყრო; იგი მას მოსვენებას უკარგავდა. არა, არა! იგი თავის დღეში ვერ შეიყვარებს იმ ლამაზ კაბას, რაც უნდა ლამაზი იყოს იგი. იმან ხომ დედა წაართვა, დედის ალერსს ჩამოაშორა.

დამცირებაზედ, ლანძღვაზედ, დასჯაზედ უარესი იყო ის ტანჯვა, რომელსაც ამ ჟამად განიცდიდა ბავშვი; იმის ხნისათვის ეს ტანჯვა ძლიერი იყო. დედამ, რომელსაც იგი თაყვანსა სცემდა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა — სილა გაატყა, — ეს არაფერი! ხშირად ხდებოდა, რომ ამის შემდეგ მას უფრო ძლიერ უყვარდა დედა.

მას ტკბილი მოაკლეს, სასიამოვნო არ არის, მაგრამ უსამართლობაა. მართალია, ლამაზი გატყდა, მაგრამ რათ მოუნდა ლამაზს უეჭველად იმის ალბომზედ გამოქმნა გასაბრაზებლად. მართლა! ჟოლის მურაბა, ბანანა...

ეჰ, ესეც არაფერი, — ამისთანა უბედურებას ადამიანი (ადამიანი!) ადვილად შეურიგდება.

ღრედრეს საშინელ მწუხარების მიზეზი, რომელსაც იგი ვერ შერიგებოდა, ის იყო, რომ იგი აღარ იჯდა ხის პატარა სკამზე დედის მუხლებთან, დედის ლამაზი თითები აღარ ეალერსებოდნენ მის ხუჭუჭ თმას. ეხლა ისინი ეალერსებიან იმ საზიზღარ ქსოვილს... საზიზღარს... საზიზღარს...

ეჭვმა აავსო ბავშვის არსება, იგი მას გულს ღრღნიდა, სტანჯავდა, მოსვენებას უკარგავდა. როგორ! რაღაცა კაბამ მას დედის ალერსი უნდა მოაკლოს? იმ საზიზღარმა კაბამ ღრედრე უნდა დაავიწყოს? ბავშვი გმინავდა, შფოთავდა და

იმისთანა დაბლვერილი იცქირებოდა, რომ მისი საცოდავი სახე არავითარ სიბრალოულს არ იწვევდა.

— დრედრეს გულწრფელი შეხედულება არა აქვს—შენიშნა სალამოთი ქ-ნმა სორელმა ქმარს.

— შენც შეამჩნიე ეგ?

მეორე დღეს დედა მკერავთან წავიდა. მთელი ორი კვირის განმავლობაში ლაპარაკი მარტო იმ კაბაზედ და იმ მეჯლისზედ იყო, რომელზედაც დედას დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა.

მკერავთან სიარულს, კაბის გასინჯვას, ეტლით მისვლა-მოსვლას ბოლო არა ჰქონდა. და ერთ სალამოს ვიღაც უცნობმა ქალმა მოიტანა რალაცა პრტყელი თასმით გადაჭერილი ყუთი. ქალი მისაღებოთაში დიდ-ხანს იცდიდა.

რა უნდა ყოფილიყო იმ საიდუმლო ყუთში? ყოველ შემთხვევაში რალაცა პრტყელი რამ. სათამაშოები? საჩუქარი? სწორედ შობაც ახლოვდებოდა.

დედა შინ ბრუნდება, სწრაფად მიეშურება თავის ოთახისკენ და ცოტა ხნის შემდეგ ისმის იქიდან ზარის წკრიალი. მოსამსახურე ქალი მირბის იქითკენ, მას უცნობი ქალი მისდევს.

უეჭველია ეხლა სათამაშოებს ამოალაგებენ. რა იქნება რომ ეს მატარებელი იყოს ლიანდაგზედ, სადგურით, სადგურის უფროსით, რომელიც წითელ ბაი-რალს იქნევს? ან იქნება ცხენებია, ცხენები, რომელიც დრედრეს მოსწონდა?

რამდენისასე ხნის უკან უცნობი ქალი მიდის. დრედრემ გადასწყვიტა, რომ ეხლა დედასთან მისვლა შეიძლება.

იგი ფრთხილად ატრიალებს კარების ყურს და გაოცებული შეშდება ერთ ადგილზედ. რას ხედავს? დედას, მოლიმარს,

ამაყს, უზომოდ ლამაზს თავის ახალ ძვირფას კაბაში, იმ კაბაში რომელზედაც იმდენს ლაპარაკობდნენ, იმ კაბაში, რომელიც დრედრეს თვალის-დასანახავადაც კი ეჯავრებოდა.

დრედრე განცვიფრებული შესცქერის თავის საყვარელ დედას და იმის გონებაში ირევთან ათასი არეულ-დარეული გრძნობები: აღტაცება, სიყვარული დედისადმი, სამაგიეროს გადახდის სურვილი; ეჭვმა, საშინელმა ეჭვმა სულთქმა შეუკრა; მას აღარაფერი ახსოვს: იგი მზათ არის დასწვას ეს საუცხოვო კაბა, დაინახოს იგი ცეცხლის ალში გახვეული და მერე ფერფლად ქცეული, მხოლოდ დედას, მის ძვირფას დედას კი არაფერი ევნოს.

დრედრეს სახე იღებს იმისთანა უცნაურ გამომეტყველებას, რომ იმის დანახვაზედ დედა დარცხვენით ეკითხება:

— მერე რა არის? დრედრე! შენ...

დრედრე ქვითინებს, სტირის მწუხარებით სავსე და ცრემლებით სავსე თვალე-ბით შესცქერის დედას.

დედა? დედას დაავიწყდა მშვენიერი კაბა; აღელვებული, გაოცებული მაგრა იკრავს გულში თავის პატარას, დაივიწყა ის, თუ შვილის ცრემლები უფუჭებდნენ მას ძვირფას სამოსელს, დაივიწყა ყველაფერი.

გაღვიძებული დედობრივი გრძნობა მთელი თავისი გიჟურის აღტაცებით იღვიძებს იმაში და გაშმაგებით იკრავს გულში თავის ბიჭიკოს.

— რა დაგემართა? რათა სტირი ძვირფასო... საყვარელო...

დრედრე გმინავს, სულთქმა ეკვრის დედის ხვეწნაში, იგი გაშმაგებული ეხვევა

დედას და უკოცნის მას თვალებს, ტუჩებს, ყელს...

თავ დავიწყებული დედა გამოურკვეველ მღელვარებით და სევდით სავსე ხმით

ჩასჩურჩულებს:—დრედრე, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო, მიყვარხარ... მიყვარხარ... ძალიან... (B. Воеп. № 5).

კატო ბაქ—ძე.

## შინაური მიმოხილვა

„განათლების“ საზოგადოება და სკოლა. განზრახვა სკოლის საოსტატო სემინარიად გადაკეთებისა. ბ-ნ კრუპსკი და მიხევეის სახელმძღვანელო.

უკრიად სიმპატიური აზრი მოსვლია „განათლების“ საზოგადოების გამგეობას. მათ სურთ ახლანდელი ქალთა სკოლა, რომელიც შეიცავს სამს მოსამზადებელსა და ოთხს პროგიმნაზიულს კლასს გადაკეთდეს ქალების სამასწავლებლო კერძო სემინარიად, რომელიც დაემორჩილება 1914 წლის პირველ ივლისის კანონს, რომლის ძალითაც სკოლის დამაარსებელს უფლება აქვს საგნები, გარდა რუსულის ენისა, რუსული ისტორიისა, გეოგრაფიისა და სიტყვიერებისა, ასწავლოს მშობლიურს ენაზე. რასაკვირველია ასეთი ტიპის სასწავლებელი საზოგადოთ დიდად სასურველია ჩვენთვის და სადაც-ცაა შესაძლებელია ყველა ჩვენებური კერძო სასწავლებლები სწორედ ისე უნდა მოეწყოს, რომ საგნების სწავლება უსათუოდ დედენაზე უნდა სწარმოებდეს, ურომლისოდ ნაყოფიერი სწავლება მეტად საეჭვოა.

არის ჩვენში ორი საოსტატო სემინარია და ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი. ამ უკანასკნელში ქართველთა რიცხვი სანთლით საძებარია და ამიტომაც ჩვენებურს ქალაქის სკოლებში მასწავლებლად უფრო უცხო ტომის ხალხია. სოფლის მასწავლებლებადაც სემინარიელები

გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა სასწავლებლებში კურს დასრულებულები; ამას გარდა ეხლანდელი მთავრობის საოსტატო სემინარიებიც ისეა მოწყობილი, რომ რაც-კი შეიძლება ცდილობენ მასწავლებლები გადაგვარების გზაზე დააყენონ. დირექტორებადაც ისეთებს ნიშნავენ, რომელთაც მართო გარუსების პოლიტიკა შეაქვთ სკოლაში. მართო ხონის სემინარიას დაუდგა დარი იმ ხანებში, როცა დირექტორად ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე იყო და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ხონის სემინარიაში ქართული ენა შტატის საგნადაც-კი არ იხსენება, ბ-ნის ჭიჭინაძის გავლენით მის დროს კურს დასრულებულ მასწავლებლებს საკმაო ეროვნული სული, სამშობლო ქვეყნის სიყვარული და ქართული ენის ცოდნაც გამოუტანიათ. მოუორდა ხონის სემინარიას ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძე და კვლავ გამეფდა ჩვეულებრივი წყვილიაღი...

როცა ასეთი სურათი გვემხლება თვალწინ, როცა ნათლად ვხედავთ რიგიან სახალხო მასწავლებელთა სიმცირეს, ხალხის გაუნათლებლობას, სწორედ იმ დროს დაარსება ისეთის სასწავლებლისა, რომელიც მისცემს ჩვენს ხალხს საკმარისად მომზა-

დებულს, სალი პედაგოგიურის აზრებით გამსჭვალულს მასწავლებლებს, აუცილებლად საჭიროა და „განათლების“ საზოგადოების გამგეობის მიერ აღძრული საკითხიც მოსაწონია და ყველასთვის, ვინც-კი გულშემატკივრობას იჩენს ჩვენის ხალხისადმი, სავალდებულო შეძლებისა და გვარად ხელი შეუწყოს ამ სიმპატიური განზრახვის განხორციელებას. შეიძლება გამგეობის მიერ წარმოდგენილს პროექტში ბევრი წვრილმანი შეცდომა იყვეს და არის კიდევც, მაგრამ იდეის მხრით ვერავინ დაიწუნებს და ვერც ვერვინ იტყვის ასეთი სასწავლებელი ჩვენთვის საჭირო არ არისო. პირიქით, დღევანდელი ჩვენებური პროგიმნაზია-გიმნაზიები, საი-დამაც მოხელეები უფრო გამოდიან, ვერაფრით შეედრება კარგ საოსტატო სემინარიას, რომელიც მოგვცემს კარგად მომზადებულს სახალხო განათლების მოღვაწეებს; თუ სახალხო განათლება ერთი უპირველესი საკითხია ყველა ერის ცხოვრებაში და მასწავლებელიც სკოლის სულის ჩამდგმელად არის აღსარებული, უეჭველია კარგი მასწავლებლების მომზადებაც ყველასათვის საყურადღებო საგანს უნდა შეადგენდეს, რადგანაც კარგი სკოლა კარგს მასწავლებლებზეა დამოკიდებული.

რამდენადაც „განათლების“ საზოგადოების გამგეობის მიერ აღძრული საკითხი მოსაწონია და სასურველი დროზე მისი განხორციელება, იმდენად საგანი სერიოზულიც არის და რთულიც. ამ სასწავლებლის წესიერად მოწყობა არც ისე იაფი დაჯდება, როგორც ზოგიერთებს და მასთან ერთად გამგეობის წევრებსა ჰგონიათ. მაგრამ კარგისა და საქვეყნო საქმისათვის ყველამ თანაგრძნობა უნდა გამოიჩინოს და რასაც მცირე საზოგადოება ვერ შეს-

ძლებს, იქ უფრო ფართე საზოგადოება უნდა აღმოჩნდეს მზრუნველად. „განათლების“ საზოგადოება რომ მართლა მხნედ მუშაობს, ამის დამამტკიცებელია თვითონ მისი ნაღვაწ-ნაშრომი: ამ ცოტა ხანში პატარა დასაწყისი სასწავლებელი, ყაზბეგის სკოლის სახელით წოდებული, გადაკეთდა სრულ პროგიმნაზიად, მას მიემატა პროფესიონალური სასწავლებელიც ქალთათვის და ეს სულ ცოტა ხანში, ხოლო ამის შემდეგ სკოლის საოსტატო სემინარიად გადაკეთება ბუნებრივი წინმსვლელობის ნიშანია და ასეც უნდა მოხდეს. მხოლოდ საქმის განსახორციელებლად უსათუოდ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებამ, რომლის მიზანსაც შეადგენს საუკეთესო მასწავლებლების მომზადება და, როგორც ვიცით, ჯერჯერობით ამ საზოგადოებას იმდენი სახსარი არა აქვს, რომ კერძო საოსტატო სემინარია დააარსოს. მაშ ამ საქმეში შეერთება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ერთმანეთის დახმარებით და სხვა მრავალ თანამგრძნობთა მიზიდვით „განათლებისა“ და „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელთა მიზანი ერთი და იგივეა, ადვილად შეეძლებათ საქმე სასურველად დაავიარგინონ. იმედია ახლად არჩეული კომისია ამ წინადადებას სახელმძღვანელოდ მიიღებს.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ „განათლების“ საზოგადოების გამგეობას, ვითომც დღევანდელს პირობებში მარტო ქალს შეეძლოს კარგი მასწავლებლობა დასაწყის სკოლებში და მაჰაკაცს-კი ნაკლებ. ბევრგან სოფლად ქალი მასწავლებელი უფრო უძლურია შეებრძოლოს ადგილობრივს პირობებს და მაჰაკაცივით სძლიოს მათ; ბევრგან თვით სოფლის სა-

ჭიროებაც უფრო მამაკაცს მოითხოვს, ვიდრე ქალს. ამ სახით უპირატესობას ყოველს შემთხვევაში ქალებს ვერ ვაკუთვნებთ, თუმცა საზოგადოთ ქალებიც საკმაო ღირსებით არიან შემკულნი. ჩვენის აზრით ჩვენში უნდა დაარსდეს ქალებისა და ვაჟებისათვის საერთო საოსტატო სემინარია, რომლის მსგავსი უცხოეთში მრავლად მოიპოვება. 1914 წლის ივლისის კანონიც, რომელსაც უნდა დაექვემდებარონ კერძო სასწავლებლები, შესაძლებლად სცნობს ასეთს შერეულს სემინარიებს, ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლების ნებართვა ადგილობრივ სასწავლო ოლქის მზრუნველზე დამოკიდებული. თუ დღევანდელს „განათლების“ საზოგადოების ქალთა პროგიმნაზიულს სასწავლებელს უნდა დაემატოს სემინარიის სამი თუ ოთხი კლასი, მაშინ ამ სემინარიას ქალების კონტიგენტს მისცემს თვითონ „განათლების“ სასწავლებელი, ვაჟებისასკი ადგილობრივი პროგიმნაზიები და ქალაქის სასწავლებლები, საიდანაც სემინარიის კლასებში შევლენ საკმაოდ მომზადებული ყმაწვილები. ზოლო სამაგალითო სკოლად, სადაც საჭირო იქნება მომავალ მასწავლებელთა პრაქტიკული ვარჯიშობა, იქნება ის მოსამზადებელი კლასები, რომელიც დღეს არსებობს „განათლების“ სკოლასთან.

ამ სახით ჩვენს მიზანს ამ ჟამად უნდა შეადგენდეს ისეთი საოსტატო სემინარიის დაარსება, სადაც აღიზრდებიან მომავალი სახალხო მასწავლებლები ქალებიც და ვაჟებიც. საკითხი ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებისა ამ ჟამად ისე გამორკვეულია და მისი ღირსება იმდენად დაფასებული, რომ იშვიათად თუ ვინმე იქნეს ამის წინააღმდეგი. პირიქით, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას ყოველგან სასურველი და სანატ-

რელი შედეგები მოჰყოლია. ჩვენც არ უნდა შევეუშინდეთ არავითარს ზღაპრულს ამბებს, ცხოვრებას უნდა შევხედოთ საღის თვალთ, სინამდვილით, რომ მომავალი სემინარიის კარები ღია გვქონდეს ორთავე სქესისათვის, რასაც, როგორც მოგახსენეთ, კანონიც კი საჭიროდ აღიარებს.

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი კრუპსკი დაჟინებით ავალებს სოფლის სკოლის მასწავლებლებს შემოიღონ სკოლებში გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ნაცვლად ვილაც მიხევეის სახელმძღვანელოები. ერთს მასწავლებელს ასე დამუქრებია ბ-ნი დირექტორი -- დარწმუნებული იყავით, თუ იანვრიდან მეორე და მესამე განყოფილებაში არ შემოვიღოთ მიხევეის სახელმძღვანელოები, გადაგიყვანთ იმ სასწავლებელში, სადაც ამ სახელმძღვანელოებს ხმარობენო.

არ ვიცი თუ სად გადაიყვანს ბ-ნი კრუპსკი იმ მასწავლებელს, როცა ღვთით მის მიერ დასახელებული სახელმძღვანელო წიგნები ჩვენში არსად არ იხმარება და თუ ყაზანის სასწავლო ოლქში ჰტიქრობს მასწავლებლების გადაყვანას, სადაც იქაურ თათრების სკოლებში ხმარობენ მიხევეის წიგნს, მგონია იქამდის ბ-ნი კრუპსკის უფლება არ სწვდება. მაგრამ საკითხი ის არის, თუ ბ-ნი კრუპსკის მიზანია ქართველმა ბავშვებმა რუსული ენა შეგნებულად და სიყვარულით შეისწავლონ და არა ძალდატანებით და ტლანქის სახელმძღვანელოთი, მაშინ რა დაუშავა ისეთმა ჩინებულმა სახელმძღვანელოებმა, როგორიც არის ქართულ სკოლებისათვის განსვენებული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები. შეიძლება ზოგიერთი სუსტი მასწავლებელი მართლა

დაითანხმოს ბ-ნმა კრუპსკიმ და შემოადე-  
ბინოს შეუფერებელი სახელმძღვანელოე-  
ბი. მაგრამ ამით განა სამსახურს გაუწევს  
იგი რუსულს ენას? სრულიადაც არა. არც  
ერთი რუსული ენის სახელმძღვანელო წი-  
გნი ქართული სკოლებისათვის არ ღირ-  
სებია სასწავლო მთავრობის მხრით ისეთს  
მოწონებას, როგორც სამართლიანად  
მიიღო გოგებაშვილის სახელმძღვანელო-  
ებმა. ამ სახელმძღვანელოებით ასწავლიან  
ქართულს სკოლებში რუსულს ენას ყვე-  
ლგან, სადაც კი მასწავლებელს მართლაც  
შეგნებული აქვს უცხო ენის წარმატებით  
სწავლების ხერხი და მათი საქციელი პე-  
დაგოგიურიც არის და კანონიერიც. მა-  
შასადამე რა მოსაზრება მოითხოვს, რომ  
მასწავლებლები ააცდინონ ამ კანონიერს  
გზას და ურჩიონ ისეთი სახელმძღვანე-  
ლოები, რომელიც ყოვლის მხრით შეუ-  
ფერებელი უნდა იყოს და დამტანჯველი  
მასწავლებლებისა და მოწაფეებისათვისაც.  
ამას გრძნობენ მასწავლებლები და ამი-  
ტომაც ეწინააღმდეგებიან უფროსის უკა-  
ნონო მოთხოვნილებას.

საკვირველია ბ-ნი კრუპსკის საქმე. ამას  
წინად ტფილისის ქალაქის დასაწყის სკო-  
ლების მასწავლებლებს ეუბნებოდა: ქარ-  
თველებს აქვთ საკუთარი სახელმძღვანე-  
ლო რუსული ენისა და შეუძლიათ იმით  
ასწავლონ რუსულიო, ახლა კი სოფლის  
სკოლებში იმ აზრს ატარებს, რომ გოგე-  
ბაშვილის წიგნების ნაცვლად მიხევეის  
წიგნები შემოიღეთო, ნუ თუ ბ-ნს ღი-  
რექტორს არ უნდა ჰქონდეს ამ საგანზე  
გადაჭრილი შეხედულობა?!

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ  
ყველგან ჩვენში ღირექტორები ახალ-  
ახალ რასმე იგონებენ, ისეთს რასმე აწე-  
დიან ქართულ სკოლებს, რომელსაც საღ  
პედაგოგიურს მოსაზრებასთან ადგილი არ  
აქვს და ამით აიხსნება ის უტყუარი ფაქ-  
ტი, რომ სახალხო სკოლა ჩვენში დიდი  
ხანია ამცდარია მტკიცე ნიადაგს. და ნა-  
ყოფიც ამ სკოლებისა ისეთი არ არის,  
რაც შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესს  
პირობებში, თუ-კი სკოლა მხოლოდ ხალ-  
ხის განათლების მიზანს დაისახავდა.

კახაბერი.



## უცხოეთი

სახალხო განათლება ოსმალეთში

**ს**ახალხო განათლების ხანა ოსმალეთში  
დაიწყო სულთან აბდულ-მეჯიდის დროიდან,  
მანამდის-კი ოსმალეთი უფრო სამხედრო მის-  
წრაფებით იყო გატაცებული და სახალხო გა-  
ნათლებაზე არა ზრუნავდა. მაგრამ სახალხო

განათლება ოსმალეთში მაინც დიდს დაბრკო-  
ლებას განიცდიდა, თუმცა სულთანი აბდულ-  
ჰამიდი, მოტრფიალე იყო ხალხის განათლე-  
ბისა, მის დროს მრავალი სხვა და სხვა ტი-  
პის სკოლა დაარსდა, მაგრამ ხალხის განათ-

ლება მანც მისისხლე სულთანის დესპოტიურ მუხრუჭში იყო მოქცეული.

ასმაღეთში მხოლოდ კონსტიტუციის შემოღების შემდეგ სახალხო განათლება დაადგა სწორს გზას და თავისუფალ ბუმბუკაზის ნაბიჯით წავიდა წინ.

ესლა ასმაღეთში სამი ტიპის სასწავლებლებია: დაბალი—დასაწყისი, საშუალო და უმაღლესი.

დასაწყისი სწავლება სავადებულოა და უფასო. დასაწყისი სკოლები სამის წლის კურსით გახსნილია მთავრობის მიერ ყოველს მოზრდილს სოფლებში (თითო) და ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით. მაგრამ უფულობის გამო ასეთი სკოლები ძლიერ მცირეა და მრავალი ბავშვი მოკლებულია დასაწყისის განათლებას.

საშუალო სასწავლებლებშიაც ასმაღეთში სწავლება უფასოა. საშუალო სასწავლებელიც ორნაირია, ერთი ხუთი წლის კურსით, მეორე შვიდის. პირველი გახსნილია ყოველს ნაწილში და მაზრებში, ხოლო მეორე—ყოველს საგუბერნიო ქალაქებში (ვილაიეტში); ზოგ შვიდწლიან საშუალო სკოლებში სახელმწიფოს ხარჯით ინტერნატებიც არის მოწყობილი.

უმაღლესი სასწავლებელი წინად მარტო კონსტანტინოპოლში იყო. კონსტიტუციის შემოღების შემდეგ მთავრობამ რავდენსამე გუბერნიის ქალაქში დაარსა უმაღლესი სასწავლებელი.

ესლა მარტო კონსტანტინოპოლშია თორმეტი უმაღლესი სასწავლებელი.

რომ ცხადი წარმოდგენა გვქონდეს თვითთველს ამ სასწავლებელზე, ვიტყვით სათვითოდ რამდენსამე სიტყვას.

1) უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. ამ სასწავლებელს აქვს სამი განყოფილება: იუნკრის, ობეროფიცრის და შტაბ-აფიცრის. პირველში, სიღაც მიიღებიან ისეთი პირები, რომელთაც ჯარისკაცად უმსახურნიათ

ორი წელიწადი, ორი წლის კურსია, დანარჩენ ორში—სამ-სამი წლის კურსი. ობერ-აფიცრის განყოფილებაში მიიღებიან მხოლოდ ისეთებს, ვისაც შვიდწლიანი საშუალო სკოლა დაუმთავრებია. შტაბ-აფიცრის განყოფილებაში ასწავლიან აგრეთვე არტილერიისა და სამხედრო ინჟინრობის ხელოვნებას და ამისთვის-კი სწავლის კურსი ერთი წლისაა.

2) საზღვაოსნო სასწავლებელი. ამ სასწავლებელშიაც მიიღებიან საშუალო შვიდწლიან სკოლაში კურს დასრულებულებს, მაგრამ გამოცდის შემდეგ; სწავლის კურსი ექვსი თვეა, იქიდან გამოდიან საზღვაოსნო აფიცრები. ამ სასწავლებელთანაც, როგორც უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთან, არსებობს სახაზინო ზანსიონი, სწავლა აქაც უფასოა.

3) სამხედრო-მედიკური და 4) სამედიცინო ფაკულტეტი. ამ სასწავლებლებშიაც მიიღებიან საშუალო შვიდწლიან სკოლაში კურს დამთავრებულები, ამასთან პირველიდან სამხედრო ექიმები, მეორიდან-კი—სამოქალაქონი. სწავლების კურსი თვითთველ მათგანში ექვსი წლისაა, მხოლოდ სამხედრო აკადემიაში სწავლება და შენახვაც უფასოა, სამედიცინო-ზე-კი ფასიანი. ყველა ამ სასწავლებლებთან საბეითლო განყოფილებაც არის.

5) იურიდიული ფაკულტეტი—ამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა—თავისუფალია: მიიღებიან ყველას ეროვნების მიუხედავად, გამოუცდელად. სწავლა ოთხ წელს გრძელდება, ფასიანია, კურს დასრულებულნი მიიღებიან სხვა და სხვა დანიშნულებას, მიღებული დიპლომის ღირსების კვალობაზე.

6) უმაღლესი საადმინისტრაციო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში იზრდებიან ისეთი პირები, რომლებმაც საადმინისტრაციო თანამდებობა უნდა დაიკაონ. სწავლა უფასოა, გრძელდება სამ წელს.

7) უმაღლესი კომერციული და აგრონომიული სასწავლებელი. აქაც შესვლა თავი-



სუფაღია, სწავლა ოთხ წელიწადს გრძელდება, ფასიანია.

8) საინჟინერო სასწავლებელი (სამოქალაქო). სწავლების კურსი ექვსი წელიწადია, სწავლება ფასიანია, ინტერნანტი.

9) უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი ამზადებს სასულიერო წოდების პირებს განსაკუთრებით სასულიერო თანამდებობისათვის; სწავლა სამ წელს გრძელდება და ფასიანია.

10) ისტორიკო-ფილოლოგიური და საფილოსოფო ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე საზოგადო ისტორიისა და ოსმალეთის ისტორიის ლექციებს, მსოფლიო და ოსმალეთის ლიტერატურისა და საფილოსოფოსო ლექციებს სწავლის კურსი სამ წელიწადს გრძელდება, ფასიანია და შემსვლელთათვის თავისუფალი.

11) უმაღლესი სამასწავლებლო ინსტიტუტი. ამ სასწავლებელში ღებულაბენ ორსავე სქესის პირებს, მაგრამ ქალ-ვაჟთა სწავლება ერთად არ სწარმოებს, ვაჟები და ქალები ცალ-ცალკე სწავლობენ. ამ სასწავლებელთან სამი განყოფილებაა. პირველ განყოფილებას სამი წლის კურსი აქვს, იქიდან დასაწყისი სკოლების მასწავლებლები გამოდიან. მეორე განყოფილებას ხუთი წლის კურსი აქვს. აქედან გამოდიან საშუალო სასწავლებლის მასწავლებლები. მესამე განყოფილების კურსი შვიდს

წელიწადს შეიცავს და აქ ემზადებიან უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებლად.

12) უმაღლესი საიმპერატორო სასწავლებელი ენათ მეცნიერებისა. ამ სასწავლებელში შესვლა თავისუფალია, სწავლა ფასიანია, ექვსი წლის კურსით. აქ სწავლობენ ენებს (ებრაულს და აღმოსავლეთურს) თავისუფალ აჩუგით.

გარდა ჩამოთვლილის უმაღლეს სასწავლებლისა კონსტანტინოპოლში არის მრავალი საშუალო და ქალაქის დასაწყისი სკოლები, აგრეთვე ექვსი სახელმწიფო სკოლა, სადაც ზანსიონი და სწავლებაც უფასოა. არის აგრეთვე მრავალი სასულიერო სასწავლებელი „მედრესე“. ჰრეფინციებში შემდეგი უმაღლესი სასწავლებელია:

1) დამასკოში—სამედიცინო ფაკულტეტი, სულთანის აბდულ-ჰამიდის მიერ დაარსებული, როცა ასურეთში ფრანკებმა დაარსეს მრავალი სკოლა. დამასკოშივე კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ გაიხსნა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი ისეთისავე პრეზრამით, როგორც კონსტანტინოპოლშია.

2) ესეთივე სამხედრო სასწავლებელი კონსტიტუციის შემდეგ გაიხსნა აზრუმში.

3) კონსტიტუციის შემდეგ გაიხსნა აგრეთვე იურიდიული მაღალი სასწავლებლები ადგილობრივის მკვიდრთა საჭიროებისათვის შემდეგს ქალაქებში: კონიაში, ბაღდადში და რაჰაბში. („Зак. Рѣчь“)



# დაგვიანებული გამოხმაურება\*)

წერილი კინჩიდან (ოდიში)

სურნალ „განათლების“ ივნისის ნომერში დაბეჭდილია ბ. ი. გომელაურის წერილი სათაურით—„დიდი ადამიანის შესაფერი ძეგლი“, სადაც პატივცემული ავტორი აუცილებელ საჭიროთ სთვლის აწინდეს ქართველი ერის სიამაყის, აწ განსვენებული ი. გოგებაშვილის სახელობაზე სამასწავლებლო სახლი მის მიერ დატოვებულ სააზნაურო გიმნაზიის მახლობლად სასახლე ადგილზე; მზგავსად უშინსკის სახელზე მოსკოვში არსებული სამასწავლებლო სახლისა.

ამ დიადი საქმის შესრულებას ბ. ი. გომელაური ავალებს ი. გოგებაშვილის წიგნებზე აღზრდილ ქართველობას საზოგადოდ და განსაკუთრებით—მასწავლებლობას. ჩინებული აზრია და კუთვნილი — სწორი დავალებაა. და როცა ამას ვამბობ, ვხელმძღვანელობ სწორი და მოკლე პასუხებით შემდეგ კითხვებზე: 1. ვინ იყო ი. გოგებაშვილი; 2. რა ღვაწლი მიუძღვის მას ჩვენი ეროვნული ცხოვრების მსვლელობა-განვითარების წინაშე საზოგადოდ და განსაკუთრებით—ქართველი მასწავლებლების წინაშე; 3. რა ეროვნული მნიშვნელობა ექნება სამასწავლებლო სახლს, რომელსაც ახსენებს ბ. ი. გომელაური, და 4. როგორ შეესაბამება ეს დავა-

ლება ი. გოგებაშვილის ღვაწლს? ი. გოგებაშვილი იყო იმისთანა მაღალ-ბუნებოვანი პედაგოგი, რომლის თვალები, როგორც სწორ და წმინდა სარკეში, ქვრეტდა საზოგადოდ ადამიანის და განსაკუთრებით ქართველი ბავშვის სულს და მისი ბუნებრივი და სწორი ზრდა-განვითარების კანონებს.

ი. გოგებაშვილი იყო ქართველი ერის თხიზელი დარაჯი, თავდადებული, ძლიერი და კომპენტენტური მებრძოლი იმ უკუღმართობის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიოდნენ ქართველი ერის გადასავარებად—გადასაშენებლად.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ი. გოგებაშვილის ღვაწლი ჩვენი ეროვნული ცხოვრების მსვლელობა-განვითარების წინაშე და ღირსეულად დავაფასოთ ის, საჭიროა გავიხსენოთ ის ხანა, როცა მოღვაწეობდა ეს დიდებული ადამიანი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი სწორეთ რომ ვსტქვს—საბედისწერო ხანა იყო ქართველი ერის, როგორც ეროვნების, ყოფნა არა ყოფნისათვის. ეს ის ხანა იყო, როცა ქართულს ენას და ქართველობას დიდი განსაცდელი მოელოდა. ამ მიმართულებამ მაგრათ მოიკიდა ფეხი საქართველოში და ენერგიულად შეუდგენენ—ქართველი ერის გადაგვარება-გადაშენებას. განსვენებულს იაკობ გოგებაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული ეს უტყუარი ქეშმარიტება—„რა ენა მოკვდეს, ერიც დაეცეს“ და ის იყო, რომ ის თავისი მახვილით მიადგა სკო-

\*) ეს წერილი გასაგზავნად დამზადებული მქონდა, რაღაც სრულად მოუჭიდებულად მიმიწვიეს საშხედრო სამსახურში. ამის გამო დაგვიანდა ამის გაგზავნა.

ლას, სადაც ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა მოზარდ ქართველობაში მაცოცხლებელი სული ქართველი ერისა — ქართული ენა. შემცირებულ იქმნა ჩვენს სკოლებში ქართულის გაკვეთილები, შემოღებულ იქმნა მუნჯური მეთოდი და სხვა საგნების სწავლება რუსულ ენაზე. რასაკვირველია, მთავრობა საიდუმლოთ ინახავდა თავის მიზანს და ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი ეს აუცილებელი საჭიროა ქართველების გაკულტურობისათვის. ხალხი ხედავდა, რომ ამისთანა საშუალებათა წყალობით ბავშვები მალე ითვისებდნენ რუსულათ ჟღერტულს და ხარობდა, რომ ის — მისი ფიქრით — უახლოვდებოდა განათლებულ ევროპას.

საბრალო! იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ მათი შვილები ტვინით ჩლუნგდებოდნენ, და თვითონ ის მიექანებოდა უფსკრული-საკენ, როგორც ცალკე ეროვნება. ბევრი განათლებული ქართველიც შეიძლება გრძნობდა ამ ნიადაგზე სკოლების დაყენებაში მთავრობის მიზანს, მიმართულს ქართველი ერის, როგორც ცალკე ეროვნების, მოსპობისაკენ, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, რადგანაც არ შესწევდა სულიერი ძალა-მალაღი პედაგოგიური. არსებული ნიადაგის უვარგისობის დასამტკიცებლათ და უკეთესი ნიადაგის შესაქმნელად, მხოლოდ ი. გოგებაშვილს შესწევდა მალაღი ნიჭი და დაუღალავი ენერგია ბევრ ბრძოლის შემდეგ დაემტკიცებინა მთავრობისათვის, რომ მართა დედა-ენა არის მტკიცე საფუძველი ნამდვილი ცოდნისა და სწორი აღზრდისა; შეადგინა სახელმძღვანელოები საღ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა თეორეტიულად და პრაქტიკულად პოლიტიკანური მიზნით მუნჯურ მეთოდზე

აშენებული სახელმძღვანელოები გრიგორიევ-ოლენინ-ლევციკებისა და სხვების. ამ ბრძოლის მეოხებით ქართულ ენასაც შერჩა ცოტა უფლება ჩვენს სკოლებში, შემოვიდა ხმარებაში და დარჩა შეადგეშიც გოგებაშვილის საღ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული სახელმძღვანელოები. აქიდან ცხადაა, თუ რა დიდი სულიერი ძალა და დაუღალავი ენერგია იყო ი. გოგებაშვილში, რომ მან თავდაღმა დაამხო ოლენინ-გრიგორიევ-ლევციკები, რომელნიც იყვნენ მთავრობის მიზნის მატარებელნი და მოსამსახურენი და რომელთაც ზურგს უმაგრებდა რუსეთის ბიუროკრატია.

ამნაირად ი. გოგებაშვილის მეოხებით ქართულ ენას შერჩა ზოგიერთი უფლებანი საქართველოს სკოლებში და ქართველ ერს, როგორც ცალკე ეროვნებას, სიცოცხლე. ამიტომ იაკობის უუდიდესი დეაწლის ღირსეულად დაფასების ზნეობრივი ვალი მართებს ყოველ ქართველს საზოგადოთ და განსაკუთრებით ქართველ მასწავლებლებს და აი რატომ: გარდა ზემოთ ნათქვამისა, ი. გოგებაშვილმა ჩვენ — ქართველ მასწავლებლებს მოგვცა ხელში იმისთანა იარაღები, რომლის საშუალებით ჩვენს შრომას სახალხო განათლების ასპარეზზე გამოაქვს სასურველი ნაყოფი, რასაც შეაქვს სულიერი კმაყოფილება და სიმშვიდე ჩვენს უკმაყოფილო და აღშფოთებულ ცხოვრებაში. ეს იარაღები განლაგთ სახელმძღვანელოები — „რუსკოე სლოვო“-ს პირ. და მეორე ნაწილი, „დედა-ენა“ — ორივე ნაწილი, „ბუნების კარი“ და სხვანი. ეს სახელმძღვანელოები რომ არ გვექონდეს, მაშინ იძულებული ვიქნებოთ მუნჯურ მეთოდზე დამყარებულ სახელმძღვანელოებით ვასწავლოთ ბავშვებს,

რაც ჩვენ გვანიჭებდეს იქნება მუდმივ სულიერ ტანჯვას უნაყოფობისაგან და ქართველ ერს კი ჩქარის ტემპით მიაქანებდეს იქნება გადაგვარება-გადაშენების გზით. აუცილებელი საჭიროა იაკობისთანა იშვიათი ადამიანის ღვაწლის ღირსეულად დაფასება და პატივისცემა. მაგრამ დაფასება და პატივისცემა დაფასება და პატივისცემას გააჩნია.

არ მიმაჩნია საჭიროდ იაკობის საფლავზე გაკეთდეს ძვირფასი ძეგლი. ჩემის ღრმა რწმენით ასეთს ძეგლს აჯობებს, თუ კი ჩვენ შედგრად, დაულალავად და ენერგიულად ვიბრძობებით იმ მაღალი იდეისათვის, რის განხორციელებისთვის ბრძოლაში გაატარა თავისი 70 წლიანი სიცოცხლე მხცოვანმა პედაგოგმა, და გააშენებთ მის მიერ დატოვებულ სასახლე ადგილზე გიმნაზიის მახლობლად სამასწავლებლო სახლს, რომლის კედლებს შუა მტკიცდებოდეს იქნება ჩვენს აწმყო და მყობად მასწავლებლებში მებრძოლი სული ჩვენი ძვირფასი იაკობის სათაყვანებელ იდეისათვის. იდეა ესე—ჩვენს სკოლებში სწავლა-აღზრდას საძირკვლად უნ-

და დაედვას სამშობლო ენა. ეს იქნება საუკეთესო დაფასება იაკობის ღვაწლისა ქართული ერის და მასწავლებლების მიერ და უაღრესი პატივისცემა მისი პატიოსანი გვამისა, რადგან ამით იაკობის უკვდავ სახელს მივუმატებთ კიდევ რამდენიმე საუკუნის სიცოცხლეს. ჩემის მხრით შეძლების ფარგალში ვკისრულობ ბრძოლას სამშობლო ენის უფლებებათა აღსადგენად ჩვენს სკოლებში და ხსენებულ დიად დაწესებულების აშენებისთვის ვიღებ სამ მანეთს ერთდროულად, რომელიც დაუყონებლივ გაეგზავნება ამ საქმისთვის შემდგარ კომიტეტს. იმედია, ყოველი შეგნებული მასწავლებელი და ქართველი დიდის ყურადღებით მოეკიდება ამ დიდ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს და გამოსთქვამს ამის შესახებ თავისს აზრს.

დეე, ეს საქმე დაგვირგვინებულიყოს გამარჯვებით და საქართველოს მტერს დაენახოს, რომ ჩვენში ძლიერად ღვივის ეროვნული სული და არავითარ ძალას არ ძალუძს მისი ჩვენში ჩაქრობა-მოკვლა.

**სამსონ მუშულია.**

## საერთო სკოლები

საერთო სკოლები ქალ-ვაჟთათვის დღეს ყველა ქვეყნის გამოჩენილ პედაგოგების ყურადღებას იპყრობს. უკვე თან და თან ქრება ის ყალბი წარმოდგენა და შიში, რომლითაც შეხვდა საზოგადოება ასეთი სკოლების განხორციელების იდეას. საერთო სკოლებს ვხედავთ დღეს თითქმის ყველა ევროპიელ სახელმწიფოებში.

ახალმა იდეამ, როგორც მოსალოდნე-

ლი იყო, დაბოლოს გაიმარჯვა და სწრაფად იკაფავს გზას. ჩვენში ასეთი ტიპის სკოლებს ცოტა არ იყოს აღმაცერად უყურებენ; ბევრი ხშირად იმ მოსაზრებით უარყოფს დღევანდელ პირობებში ასეთი სკოლების შესაძლებლობას, რომ ვითომ-და ის ხელს შეუწყობს სქესობრივ გრძობათა გაღვივებას და მით მოსწავლე ახალგაზრდობის ზნეობრივად ჩამოქვეითებას.

მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვიმოტყიდა: მან თვალსაჩინოდ, ფაქტებით დაგვანახა ასეთი ყალბი წარმოდგენის უსაფუძვლობა.

საერთო სკოლები გადმონერგულია ევროპაში ამერიკიდან, სადაც მან მაგრად გაიღვა ფესვები, გვამცნო თვისი სიძლიერე, უპირატესობანი. იქ არავითარ „სამარცხვინოს“ ადგილი არა აქვს.

ესლა ევროპიელი სახელმწიფოებიც მოიფინა ასეთი სკოლებით, მაგალითად; ნორვეგია, შვეცია, ფინლიანდია, შვეიცარია და სხვანი.

ესლა ასეთი სკოლები „ბუნებრივად“ მონათლეს, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლა-აღზრდა „ბუნებრივ საქმედ“. მაგრამ ეს ჯერ ახალი ხილია— ასე არ იყო წინად: კულტურის, ტრადიციების მსვლელობა-მიმდინარეობამ სხვა და სხვა სახელმწიფოებში ჩინური კედელი აღმართა ამ ორ საქესთა შორის: ვაჟებს ზრდიდნენ დაასწავლიდნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობისათვის, — ქალების მოვალეობა კი ვიწრო ჩარჩოებში იყო ჩასმული: ოჯახი— აი ღმთავერესი საზრუნავი საგანი ქალისა. მიზნის სხვა და სხვაობის გამო, რასაკვირველია, სხვა და სხვა იყო პროგრამა სწავლა-აღზრდისა. მხოლოდ ბოლო ხანს შეიქნა თვალსაჩინო, რომ ქალისა და ვაჟის გონებას ადვილად შეუძლია ისაზრდოვოს ერთისა და იმავე საკვებით.

ერთად ერთი ევროპიელი სახელმწიფო, სადაც ამ იდეამ მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა, არის ნორვეგია. როგორც მან-ნი\*) ამტკიცებს საერთო სკოლების გავრცელება ნორვეგიაში ნაყოფია საზოგ. არა პედაგოგიური იდეებით გატაცებისა,

\*) საუბედურად სახელი და გვარი ავტორისა არ მახსოვს. მ. რ.

როგორც ეს იყო შვეციაში და ფინლიანდიაში, არამედ ის შედეგია უფრო სოციალურ-ეკონომიურ პირობებისა. საერთო სკოლების განხორციელების იდეას მაგარი მუჯღლუგუნები წაჰკრა ქალთა საკითხმა. გათვითცნობიერებულმა ქალმა ბრძოლა გამოუცხადა იმ საზოგადო პირობებს, რომელიც ჰბოჭავდა მის თვითმოქმედებას, გასაქანს არ აძლევდა და ვიწრო კალაპოტში აყენებდა მოღვაწეობას. მან მოითხოვა ყველა ის უფლებანი, რომლითაც აღჭურვილი იყო მამა-კაცი, იმანაც მოისურვა არსებობისთვის ბრძოლაში ჩარევის უფლების მინიჭება და თავის წვლილის მიტანა საერთო სამსხვერპლოზე.

ქალმა მოითხოვა ეძლეოდეს მასაც ისეთი მომზადება, როგორც მამაკაცს.

ქალის ძლიერმა ხმამ სახელმწიფოც დათმობის გზას დააყენა, აუცილებელი გახდა ანგარიშის გაწევა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. და რადგანაც არსებული საშუალო სასწავლებლები ნივთიერად ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ (ხაზინა სუსტობდა), თავის თავად დაიბადა აზრი ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებისა. შემდეგში ეს აზრი განმტკიცდა: აღმოცენდნენ საერთო სკოლები, როგორც პირველ-დაწყებითი, ისე საშუალო და უმაღლესიც.

მართალია, საერთო სკოლებში ზოგიერთი საგნების გადაცემა, სწავლება ცოტა არ იყოს ძნელდება, მაგრამ ეს უხერხულობა იჩრდილება საერთო მუყაითობით, სიცოცხლით, რომლითაც მდიდარია შერეული კლასების გაკვეთილები. რაც შეეხება დისციპლინას, ზოგიერთთა აზრით ვითომდა უწესრიგობის შესაძლებლობა, არ მართლდება: როგორც ქალი ისე ვაჟი ძალაუნებურად თავს იჭერენ ერთმანეთის სირცხვილის გამო, ამიტომ

გაკვეთილზე ეშმაკობა ან სხვა რითიმე გატაცება უფრო ნაკლებია, ვიდრე ისეთ სკოლებში, სადაც სწავლობენ ან მარტო ვაჟები ან მარტო ქალები.

როგორც წინედ ვსთქვი— შიში იმისა, რომ ასეთი სკოლები სქესობრივ აღვირ-წახსნილობას ხელს შეუწყობენო, სრულიადაც უსაფუძვლო გამოდგა, პირიქით, მათ შორის მტკიცდება ამხანაგური და მოკიდებულება, ეჩვევიან ერთი მეორის

პატივისცემას, უფარდებენ თავიანთ მოქმედებას ამხანაგების ნება-სურვილს და, რაც უფრო საყურადღებოა, უფრო დიდი გავლენა აქვთ ერთი-მეორის სულიერ თვისებებზე.

ორივე სქესი—ქალ-ვაჟი, თავიდანვე ეჩვევა სოლიდარულ შეთანხმებულ მოქმედებას და არსებობისთვის ბრძოლაში უფრო მომზადებული და დარაზმული გამოდინ.

მ. რევია.

### თათბირი მასწავლებელთა საპენსიო კასის გამგეობაში

მა წლის ზაფხულის არდადეგების დროს პეტროგრადში სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სახალხო მასწავლებელთა საპენსიო კასის გამგეობაში მოხდა კასის მონაწილეთა რწმუნებულებისაგან შემდგმარი კომისიის თათბირი, რომელზედაც გამოითქვა შემდეგი სურვილები:

1) ვინაიდან პენსიის რაოდენობა 25 წლის სამსახურისათვის მეტად მცირეა და 40—45 წლისათვის კი ძლიერ დიდი, ამიტომ კომისია მიემხრო პენსიის გასაღებლად შემდეგ წესს: ყოველ თვიურად შესატანი ჯამაგირის 6% დატოვებულ იქმნას ძველებურად, ხოლო შემწეობა ხაზინიდან სასურველია გადიდებულ იქმნას 10—12%-მდე და განისაზღვროს მასწავლებელთა მონაწილეობა კასაში პენსიისათვის 35 წლით, 25 წლის სამსახურისათვის კი დაენიშნოს მონაწილეს პენსიად გარდაკვეთილი წლიური ჯამაგირი. ამასთანავე ძალაში დარჩეს § 34 კასის წესდებისა.

2) კასის საქმის წარმოების გაცნობის

შემდეგ კომისიამ დაინახა, რომ 6% დაკავების შესახებ სიებისა და სხვა ცნობების არა თავის დროზე გამოგზავნა გამგეობაში მაზარალბელი ხდება კასის მონაწილეთა ინტერესებისათვის, გამგეობას კი მეტად ურთულებს და უძნელებს მუშაობას, ამიტომ სასურველია ასეთი სიებისა და ცნობების დროზე გამოგზავნა.

3) რადგანაც პირველი იენისის 1910 წლის კანონმა, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ვერ შეადგინა სასურველი რიცხვი სახალხო მასწავლებელთა, ამის გამო უსაქიროესია გამოიცეს ახალი, მსგავსი ამა კანონისა, აქტი ანუ წერილი, რომელიც გავრცელებული უნდა იქმნას და ეხებოდეს ყოველივე ტიპის დაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლებს, რომელთაც ვერ ისარგებლეს 1910 წ. 1-ლი იენისის კანონით და ვერ ჩაეწერენ კასაში ნებაყოფლობითი ანუ მოხალისე მონაწილედ.

4) რადგანაც 1-ლი იენისის 1910 წლის კანონის სისრულეში მოყვანით სამრევლო სასწავლებელთა მასწავლებლები წინანდელი ნამსახური წლების ჩათვლის დროს

პირველ-დაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლებთან შედარებით აღმოჩნდნენ უფრო ცუდ პირობებში, კომისიამ სასურველად დაინახა, სამართლიანობის სახელისათვის, დაადგინოს, რომ ძველი ნამსახურის წლების ჩათვლა სამრევლო მასწავლებელთათვის, რომელთაც გარდაკვეთილი წლიური ჯამაგირები ჰქონდათ დადგენილ ნორმაზე, 300 მანეთზე ნაკლები, სწარმოებდეს ფაქტიური ჯამაგირის მიხედვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 300 მანეთის ანგარიშისა.

5) გადიდებულ იქნას საქვრივო პენსიის რაოდენობა.

6) საობლო პენსიის გამოანგარიშების წესის გაცნობის შემდეგ კომისიამ სასურველად სცნო არ იქმნას შემცირებული ობოლთა პენსია, ამასთანავე შესწორდეს წესდების 49 მუხლი, რათა ობოლებს ეძლეოდეს პენსია 20 წლის შესრულებამდე.

7) წესდების 43 მუხლის გადასინჯვის შემდეგ კომისიამ სასურველად სცნო ჩაუმატოს ამ მუხლში, რომ ბავშვებს ეძლეოდეს პენსია მამის სიცოცხლეში დედის ნამსახურობისათვის, ისე, როგორც დედის სიცოცხლეში მამის ნამსახურობისათვის. აგრეთვე ჩაემატოს 40 მუხლში, რომ ბავშვები, რომელთა მამა და დედა

ითვლებოდნენ კასის მონაწილედ, მიიღებენ პენსიას, როგორც ობოლები, ორ ზომაზე, ე. ი. როგორც მამის, ისე დედის ნამსახურობისათვისაც.

8) საპენსიო კასის წესდებაში არაფერი არ არის ნათქვამი კასის მონაწილეთა მოხუცი მშობლების უზრუნველყოფის შესახებ, სამართლიანობა კი თხოულობს, რომ მოხუც მშობლებსაც, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიათ, ეძლეოდეს საობლო პენსიის რაოდენობის თანასწორობით საპენსიო დახმარება. ამ საკითხისა გამო საჭიროა შეტანილ იქმნას წესდებაში დამატება. ერთად ამასთან კომისიამ გამოსთქვა სურვილი მიეცესთ ნება კასაში მონაწილეთ ჩაწერისა ხელსაქმისა და გალობის მასწავლებელთ, თუ კი უკანასკნელთ ექნება დაწყებითი მასწავლებლის წოდება და ჯამაგირი წლიურად არა ნაკლები 240 მანეთისა.

სახალხო განათლების სამინისტროს აზრად აქვს შეიტანოს სასურველი ცვლილებანი და დამატებანი საპენსიო კასის წესდებაში მასწავლებელთა უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად დღევანდელი საზოგადო მწუხარების ე. ი. ომის მოსპობის შემდეგ. (H. ყ.)

ლადო ბზვანელი.



# ბიბლიოგრაფია

გახსოვდეთ წერა-ლიპარაკის დროს. ქართული გრამატიკის წესები პეტრე მირიანიშვილის მიერ პირველად გამოცემული. ფასი ორი შაური.

ქართული ენის კანონები რომ დღესაც არ არის ისე აკადემიურად შემუშავებული, ეს ნათლად სჩანს ჩვენს მწერლობაში. არ იქნა და ვერ ვედიხართ ერთნაირის კანონით წერასა და ლაპარაკს. „კანონების“ რედაქცია უოველთვის იმ აზრისა იყო და არის, რომ საჭიროა ქართველმა მეცნიერებმა, ყურნალ-გაზეტების შესვერებმა და კულტურულ დაწესებულებათა გამგებამ მიაქციოს ამ საკითხს სასურველი ყურადღება, ითავონ საქმე და მანუწესრიგონ დღევანდელი აბრა-უბდური წერა-ლაპარაკი ისეთის კანონის შემოღებით, რომელიც ევკლასთვის სავალდებულო უნდა იყოს.

მართლაც, თითო ორთხა ქართული ენის მასწავლებელი თითქმის ცდილობს რამე გააკეთოს ამ დარგში, მაგრამ მათი ცდა უოველთვის ნაყოფიერი არ გამოდის.

ქართული გრამატიკის წესებს შეეხო ბ-ნი პეტრე მირიანიშვილიც. გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნი პეტრესაგან ჩვენ უფრო უკეთესს რასმე მოველოდით იმაზე, რასაც მისი ზემო დასახელებული ჰაწია წიგნაკი გვეუბნება. სჩანს, ბ-ნი პეტრე ძლიერ ანქარებით, დაუკვირებლად მოხერხობია საკითხს, თორემ ისეთს შეუწინარებელს შეცდომებს არ გაუშვებდა, რასაც მის წიგნაკში დანახავს ევკლას ცოტად თუ ბევრად ქართული ენის რიგანი მცოდნე და ზოგჯერ უმეტარიც.

ზოგი შენიშვნები, გრამატიკის წესები, ბ-ნი პეტრეს მიერ ჩამოთვლილი საკულისხმო არის, მაგრამ ბევრიც, ჩვენის აზრით, შეუწინარებელია. დარწმუნებული ვარ, ბ-ნი პეტრეს რომ წაკითხა თავის ნაშრომი თუნდ ჰატარა წრეში, ასეთს შეცდომებს ადვილი არ

ექნებოდა წიგნაკში, რომელიც, უეჭველია, სასარგებლოც იქნებოდა. ახლა-გი მისი სარგებლობა საუკვოდ მიგვაჩნია. ამ ჰატარა შენიშვნაში არ შეგვხვებოთ დაწვრილებით ამ წიგნაკის ნაკლს, არც თავისებურ საგრამატიკო ტერმინებს, აღნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს, რომელიც უფრო თვალსაჩინოა ევკლასათვის.

წიგნაკის მეოთხე გვერდზე ბ-ნი პეტრე უჩვენებს მკითხველს სიტყვა დაწესებულებანი მხოლოდობით რიცხვად იხმარეთ და ასე აბრუნეთ—დაწესებულებანი, დაწესებულებანი, დაწესებულებანი, დაწესებულებანი, რა საჭიროა ასეთი დაძალადება, როცა ამ სიტყვას მხოლოდობითი რიცხვიც აქვს და მრავლობითიც; სულ სხვაა მაგალ. სიტყვები: ჟამნი, დავითნი, ლოცვანი მარხვანი, რომელთაც მრავლობითი რიცხვის სახე აქვთ და მხოლოდობითად იბრუნვიან, მაგრამ ამ გამონაკლისს სიტყვა დაწესებულებანი არ შეადგენს. „როცა საჭიროდ სცნათ წინადადების დასრულება სახელარსისა, (ი) და აბოლავეთ ის სიტყვა ხმოვან ასოთი, მაგალ. მოვიდა ცხენითა, უთხრა ყმაწვილსა § 3.

საქმე ის არის, რომ ბ-ნი პეტრე აქ ეხება საკითხს, თუ როდის უნდა იხმარონ ბრუნვების სრული დაბოლოებანი და როდის შეკვეცილი, ეს კი სასურველად არ არის ახსნილი. ბ-ნი პეტრეს შენიშვნა ეხება მარტო არსებითს სახელს და არა ევკლას საბრუნავ სახელებს, რომელიც წინადადების ბოლოში ხშირად სრულს დაბოლოებას მიიღებენ, შუაში-კი შეკვეცილად ბოლოვდება. მაგ. „წასვლა სჯობს წამავალი-სა, არ დაყოვნება ხანისა. აქ სიტყვები „წამავალისა“, „ხანისა“ წინადადების ბოლოშია და



ამიტომ სრული დაბოლოება აქვს— „თხის ზატრანს თხის კუდიო“, აქ-კი საბრუნავი სიტყვები „თხის“, „ზატრანს“ წინადადების შუაშია, ამიტომ მოკვეცილი დაბოლოება იზარება. მაგრამ ხშირად აქაც გამონაკლისს ვხვდავთ, მაგ. „ღვინოსა სმიდენ, არ ღოსა“ და არა ღვინოს სმიდენ, რადგანაც ერთნაირი ასოს ზედიზედ გამოთქმა ენას უჭირს. ესეთი კანონია ვეკლას ბრუნვისათვის: მაგ. „ღმერთმან ამცნო მისესა“, ღმერთმა ნუ ჭქმნას გეკ სჷქმე“. ზირველ წინადადებაში „ღმერთმან“ სრული დაბოლოებით არის, მეორეში „ღმერთმა“ შეკვეცილია. ზირველ წინადადებაში თქს ა-ს შუა სჷტირთ იუთ „ნ“, ანუ მოთხრობითი ბრუნვის სრული დაბოლოება, მეორეში-კი მეტი ბარგია და მოისპო.

შემდეგ: „ცეცხლი დაანთო კვესითა“, „ცეცხლით ათხრდა უბანი“. იგი ცეცხლითა თბება“. სიტყვა „კვესითა“ სრული დაბოლოებით არის, რადგანაც ამით წინადადება თავდება. მეორე წინადადებაში ეს სრული დაბოლოება სჷტირთ არ იუთ, რადგანაც შემდეგი სიტყვა იწეება ა-ნით, მესამე წინადადებაში სიტყვა „ცეცხლითა“ თუმცა შუაშია, მაგრამ შემდეგი სიტყვა იწეება თ-ანით—თბება. უმჯობესია ასეთს წესებს გულისხმობდა ბ-ნი ჰეტრე, მაგრამ იგი გამოთქმულია ბუნდოვანად, შეკვეცილად და გაუგებრად.

„ზოგჯერ ხალხი, ბევრი და სხვა ამისთანა სიტყვების შემდეგ შესმენილი იხმარეთ მრავლობით რიცხვადაცო“ § 6. „ხალხი სხედან, ბევრმა წაჰბაძეს“. არა, ბატონო ჰეტრე. ამ შემთხვევაში სჯობიან ქვემდებარე და შესმენილიც ერთს რიცხვზე იუვენს—ხალხნი სხედან, „ბევრთა წაჰბაძეს“, ან ბევრმა წაჰბაძა, თვითონ სიტყვა ბევრი თავისთავად უხვენებს სიმრავლეს.

„ქვევრში ღვინო ამოიღე“, „ჯიბეში ხელი ამოიღო“ „ცხენზე გადავარდა“—უნდაც ამბობს ბ-ნი ჰეტრე. თუ ძველსა და ახალს მწერლ-

ბას დავეყურებით, ასეთს ფორმებს იშვიათად თუ სადმე იხვით. უკანონოა ისეთი ნაშთი ძველი მწერლობისა, რომელშიაც ქართული ენა საკმაოდ ფაქიზად არის დაცული. ამას თვითონ ბ-ნი ჰეტრეც აღიარებს. ამ წიგნში კი ქართული ენის შემდეგს მსგავს ფორმებს ვხვდავთ: „ბასრი ხმალი ქარქაშიდამ ამოიწოდა“ „ერთავ ცხვირის ნესტოდამ სისხლი წავარდა“ „სულთქმა ღვიძლთაგან აღმოახდინა“, „მეტის სიბრალეულითა თვალთაგან ცრემლები გამოედინა“, „იგი ღამთა ღამი უკანონო ცხენიდამ გარდახტა“, „უკანონო მცირე უკლდა ცხენიდამ გადმოვარდასა“. „მხეცმან ისე შედგარა გაზიდა საგდებელი, რომ უოველნი ცხენებიდგან გადმოვარა“, „როდესაც ამთ უკანონო მომავალი დაინახეს, ერთობით ცხენებიდან გარდამხტენ“, „საგდებელი ხელთაგან გაუშვეს“, „ვერცა თუ საგდებელი ხელიდამ წაართვა“. ასეთს ფორმებს ჰმოულობთ ძველსა და ახალს მწერლობაში, იგი უკვე დამკვიდრებულია და ქართულს ენასთან შესისხლხორცებული, მაშასადამე მისი გადაცემა და „ჯიბეში ხელი ამოიღეს“ ქადაგება უნაყოფო შრომა უნდა იუვენს.

„ნუ დაივიწყებთო, ამბობს ბ-ნი ჰეტრე, ქართულ სასწავლებრივ რიცხვად ითვლება ცხრა, მაშასადამე ასე დათვალეთ ერთი ცხრა, ორი ცხრა, ერთი ცხრა და სამი ცალი, ორი ცხრა და ექვსი ცალი. § 55“ თუ ექვსი-კი ცალი არის, რატომ ცხრა არ უნდა იუოს ცალი, განა იმიტომ რომ სასწავლებრივი რიცხვია, ან უთვლიათ-კი თდესმე ასე ქართველებს ან წარსულში, ან აწმულობში. ესეც რაღაც ახირებულებაა.

გრამატიკულ წესებს რომ თავი დავანებოთ, უფრო ახირებულა ბ-ნი ჰეტრეს „სჷტირბოროტო სიტყვების“ სჷტირბოროტო ახსნა.

სიტყვა „მორჭმული“—СЛАВНЫЙ-ს ნიშნავსო, იქნება ამასაც ნიშნავდეს ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ სიტყვა „მორჭმული“

შოთას მიერ ხმარებული აკადემიკოსის მარცხის განმარტებით ნიშნავს „веселый, жизнерадостный“ — „თქვენ მორკმულნი თამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვბანდით“—ა. „მსცოვანი“—старикъ—ა. მორჩა და გათავდა. სიტყვა მსცოვანი ისეთს ბეგრს არ ნიშნავს, რომელსაც რუსები старикъ-ს ეძახიან. იგი ნიშნავს პატივცემულს, ჭადრაკა შერთულს მხნე მოხუცს—бодрый, почтенный старецъ. მსცოვანი ცნობა—здравый умъ. მგოსანი—ашугъ, баянъ—ა. დიდი შეცდომაა. ქართველ მწერლებს და ქართულს ენას ამ ცნებისათვის მიუნიჭებიათ ისეთი თვისება, რომელიც ახსიათებს კარკის მოქმედს, საუკეთესო მომღერალს. „ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონნი მგოსანი“. შოთას მგოსანს ბუღბუღს ადარებს. „მგოსანი და მუშაითა უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა“—ა, ამბობს რუსთველი. „მუტრიბნი და მგოსანნი უცხოს რსმეს გალობდნენ და მეფლისი გამართეს“, „უცხო მგოსანნი და მშვენიერის ხმით მომღერალნი იმღერდნენ და უარმანს ქებას შეასხამდნენ“, „მგოსანნიც უცხო ხმით იმღერდნენ ისრედ, რომ მსმენელთა ცნობას მოსტაცებდნენ“. ბოლოს აიღეთ აკაკის მგოსანი „თამარ ცბიერიდან“ და ნუ თუ ვეკლა ამაკებში ცხადად არა სჩანს თუ რა ცნებას გვაძლევს სიტყვა მგოსანი. ბ-ნი ჰეტრე-გი გვასწავლის მგოსანი აშუღიაო, ე. ი. აშოკი, არშოკი, გულის საყვარელი მიჯნური—влюбленный. „ფოლოცი“, ანუ ფოლორცი—площадь—არისო ბრძანებს ბ-ნი ჰეტრე, დ. უიფიანისა და საბას განმარტებით ფოლორცი ნიშნავს შუკას, ქუჩას. ან რა საჭიროა ეს სიტყვა, როცა площадь-ის გამომხატველი სიტყვა ხაფხში და მწერლობაში მრავალსაუკუნოებით ხმარებული მოედანი გვაქვს. „მობურთაღსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ

ქნევა“ „გარდამწვეტიელი შისიცა ბურთი და მოედანი“. შ. საწამებელი—убьждение—ა. საეჭვოა. „საწამებელი“ მიმღებობითი ფორმაა ზმნისა და არა არსებითი სახელი, იგი ორ აზროვნისა—ნიშნავს დასაჯებელსა და საწვადებელსა. მაგ. ჰეტრემ ქართული ენა საწამებლად გახდა. ამ ფრანს რომ დაუვირდე, სხვა და სხვა აზრს გამოიტან, ერთი მეორის საწინააღმდეგოს. „ჰეურტი ვაპოი—არისო. არც ეს არის მართალი. ჰეურტს ან წეურტს ისეთს სნეულებას ეძახიან, რომელიც ადამიანს ბეგრს წვალს ასმევს—вапой-გი გალობებს, უწვეტილივ მთვრალობას ნიშნავს. „ორჭოლი“—сквознякъ—ა. აკაკი ამას ქარ-მჭვალს ეძახის, „ეზოს კაცი“—дворникъ-ად ჭეუვს მონათლული, არ მოსწონს მეეზოვე. მამ ჰეტრეს რჩევით უნდა ვსთქვათ ბადის კაცი (მებადე), ველის კაცი (მეველე) და სხ. „ომიანობის დებულება“—военное положение—ა. ეგ ხომ ჰირდაზირი თარგმანია, რა უშავს ვითომ სამხედრო წესებს, რომელმაც უფლება უკვე მოიპოვა. „მდაბიო“—мѣщанинъ—არისო. მდაბიო საზოგადოთ გლეხს ნიშნავს простолюдинъ, чернь; мѣщанинъ-გი მდაბიო მოქალაქეა. ერთი სიტყვით რომელი სიტყვაც გნებავთ აიღოთ, თუგინდ—ამოწურვა—исчерпать, „ქარცხელი“—родъ болѣзни, „ზედმიფეგნით“—включительно, „ქვეგნის თვალთა ხედვა“—мировозрѣние, „ცნობილი“—разумный, თუ სხვა ვეკლავს ატუობთ, რომ ბ-ნი ჰეტრე სისწორით ვერ ხსნის ამ ცნებას, რომლის გამომხატველიც არის ესა თუ ის სიტყვა, ამიტომ ეს ჰაწია ნაშრომი სრულიად აბნელებს იმ დიდ საკითხს, რომელსაც ცნობურება გვიკარნახებს ქართულის ენის შესახებ. ნათქვამია ერთი ალილო მღვდელსაც შეცდობაო და ბ-ნი ჰეტრესაც ასე მოსვლია.



# შინაარსი 1914 წლისა

## I

სახალხო განათლების სასწავლო  
კითხვები.

**ივ. გომართელი**—ქართული ქალის და-  
ნიშნულება № 2—120.

**ი. სინარულიძე**—წერილი ამხანაგთან №  
3—201.

წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისა გიორგი  
მუხრან. № 4—285.

**ლ. ბოცვაძე**—მომავლის სკოლა შრომისა  
და მუშაობის სკოლა იქნება (კერძენსტეიენე-  
რის სტატიიდან) № 6—401.

**ვ. კაკაბაძე**—ბ-ნ არჯევანძის სკოლა  
წაღერის ტუეში № 8—581.

**კოტე**—ერთდღე სიტუვა „დედაების“ სწა-  
ვლების შესახებ № 8—629, ახალი კანონი  
კერძო სასწავლებლებისა № 8—632.

## II

ჰედაგოგობა, ფსინოლოგია, მეთოდო-  
გა, საბავშვო ბაღი, სახალხო სკო-  
ლის ცხოვრებიდან.

**ლ. ბოცვაძე** (ზელენკევიჩიდან) შთაგო-  
ნება და მისი მნიშვნელობა ჰედაგოგიაში №  
1—35, სკოლის მნიშვნელობა (პ. ლესგაფ-  
ტი) № 5—321.

**კახაბერი**—ართმეტრიკის გაკეთილი №  
5—334; ათწილადი ნაწევრების შესწავლის  
წესი № 6—431.

**კატო ბაქ—ძე**—ართმეტრიკა დასაწყისს  
სკოლაში № 2—123, ბუნების-მეტეოლოგიის  
მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის სისტემაში  
№ 4—277, ბავშვი და მეცნიერება № 7—  
503; ძირითადი იდეები აწინდელი ჰედაგო-  
გოგისა № 10—727.

**ნ. ძიძიგური**—მოგონება ტოლსტოის  
სკოლის მასწავლებლის მორაზოვისა № 3—  
192.

**მ. რევიკა**—სიმართლის აღზრდა ბავშვებ-  
ში—№ 3—196; მუსიკის აღმზრდელობითი  
მნიშვნელობა № 10—756.

**ი. ფერაძე**—სურსტ-ნერვებისა ბავშვები  
და მათი აღზრდა № 3—203, № 4—274.

**პრ. ტაბიძე**—გურადღება და ინტერესი  
სწავლის საქმეში № 5—337.

**ი. სინარულიძე**—სიმპტიური გრძობის  
აღზრდა ბავშვში ცხოველთა და მეცნიერთა-  
ში № 5—341; ესთეტიური გრძობის აღზრ-  
და ბავშვებში, ოჯახში და სკოლაში № 9—658.

**ა. დობორჯგინიძე**—როგორი თვალსა-  
ზნისა სურათების საჭირო ჩვენს სკოლაში? №  
6—459.

**მ. კაკაბაძე**—მხსენება სკოლებში ხატვა-  
ხაზვის სწავლების შესახებ № 7—529.

**მიწისშვილი**—ცოტარამ შრომის სკოლის  
ისტორიიდან № 8—587.

**ლ. ცაგარელი**—სქესობრივი საკითხი ჰე-  
დაგოგიაში, ფორმის თხზულებიდან № 9  
—667; № 10—717.

**კ. გ—ძელი**—ცოტა რამ საეკლესიო-სამ-  
რეგლო სკოლებზე № 9—675.

**გერასიმე**—ბავშვების სწავლება № 9—  
680.

## III

საზოგადო მეცნიერება, ფილოსოფია, ისტორია, მედიცინა, ჭიკიენა, კრიტიკული და სამეცნიერო მიმოხილვა

**იპ. ვართაგავა**—სიმღერა მთის შვილის ვაჟაფშაველასი № 1—4; № 2—81; № 3—161; № 4—241.

**ლ. ბოცვაძე**—დედის მოვალეობა ბავშვის დაბადებიდან № 7—481; სასკოლო ასაკის ბავშვის ჭიკიენა № 7—561.

**არჩ. ჯაჯანაშვილი**—ცოტა რამ ძველი ფილოსოფიის ისტორიიდან № 1—23.

**სამ. დადიანი**—საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკ. სიტუა-კაზმულ მწერლობაში № 1—28.

**ექიმი ბაღრიძე**—მემკვიდრეობისა და აღზრდის გავლენა ადამიანის ბუნებაზე № 2—106. ახალი ხანა სამკურნალო მეცნიერებაში № 10—738.

**ეპისკოპოსი ლეონიდე**—ერთადე სიტუა ბ. აღზრდილის უკანასკნელი წერილის გამო № 9—686.

**ილია ალხაზიშვილი**—ბუნება და სამკურნალო მეცნიერება—ჭიკიენა—ჩვენი თვალუხილაჟი მტერ-მოუვარენი № 2—99; № 4—260; ლეკენდის განმარტება № 6—437; № 7—516; უკვდავი მეცნიერი ლუი პასტერი და თვალთ უხილაჟი ანსებანი № 8—568; № 9—648.

**ილია ფერაძე**—თავ. ცრ. ორბელიანი და რომანტიული მიმართულება ქართულ პოეზიაში № 2—114; № 3—194; № 4—281; № 6—373.

**გ. ანთელიძე**—დედობრივი გრძნობა № 3—186; № 4—255.

**ა. სვანიძე**—ქართული ღმერთები ანინა და ნინა № 3—305.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**—სადი გული № 8—592; № 9—641.

**ივ. გომართელი**—პასუხი № 4—272.

**ჭალარა**—ერთი პლაგიატის შესახებ № 8—604.

**პ. ქარუმიძე**—სინათლე და ელექტრონი № 4—291; № 5—327; № 6—409.

**ვ. კაკაბაძე**—წული და მისი გაწმენდის საშუალებანი № 6—414; № 7—488.

**ზ. ჩიჩუა**—დაფარული სიტყვებზე (ანაბიოზი) № 7—496.

**ე. აღშიბაია**—ცოტა რამ ქიმიურს ტერმინებზე № 6—466.

**ლ. ცაგარელი**—ანატომიური და ფსიხოლოგიური ტერმინები № 6—469.

## IV

**ბელოტრისტიკა;** ლექსები, მოთხრობები, და პოემები

**გელა**—აჩრდილნი, პოემა № 1—47; ვნახე ვეაგილი № 6—452; მეგობარს № 8—611; ნაწვეტი № 9—695; ზარის ხმა № 10—762.

**დ. თურდოსპირელი**—ნაგრძნობა № 2—130; პასუხი ვერ მიეღოთ № 3—211; უკანასკნელი მეგობარი № 4—294, შენი თვალები № 4—298; რისთვის?! № 5—364; ზარნაშოს ხმაზე № 6—453; მომიტევე № 6—526; უნებლეთი ფიქრები № 8—613; სიუვარულის მისტერია № 9—698; კიკნა პოემები № 10—761.

ლ. ძიდიგური—მეუდაბნოე და საუნჯე № 2—131; დედის ცრემლები № 3—222; მიუვარს მთვარე № 4—295; გაზაფხული № 5—366; სიყვარული № 7—525; მემუ-სიკე, ოღინასი № 8; იმედს № 9—693.

ი. მჭედლიშვილი—ცხოვრების შოთა-ში № 131.

კიკნაფშაველა—სიყვარულის წიგნი № 8—612.

გ. ლეონიძე—მზის ჭანგები № 2 133; ზამთარი № 3—221; ჩემი სიმღერა № 4—295; მწუხრი № 4—298; ჩემი ლექსი № 5—366, შემოდგომის ფიქრი, შემოდგომის ცრემლი № 8—620; ნათელას, ჭანგები, ალბომში, ნუღარ ქვითინებ, ელეგია № 10—765—766.

ვ. გორგაძე—წეროები (ტექნიკური) № 2—133.

ბაჩანა—მსხვერპლი № 9—692.

გულგატეხილი—შთაბეჭდილება № 2—134; საათი № 5—367.

ი. გრიშაშვილი—ტყუარა და სინამდვი-ლე № 9—696.

ილ. გოგია—რისთვის დამქროლა № 2—135, აკვარელი (თარგმანი) № 3—213; ბედის წერა № 5—364; ბნელა № 524, დეე, იუოს დამე № 8—616; ბუღბუღს, ან-დერძი № 9—695; ბედის ვარსკვლავი № 10—764.

მის. ბოჭორიშვილი—სული ობოლი № 3—208; უფსკრული № 6—448; ცრემლთა წიაღში № 7—521; იუდა № 9—688.

ალისტრო ჩხაიძე—ცრემლები № 9—694.

ს. ტაიფუნი—სხივს ცისკრისს №—218; გოლგოთა № 4—296; ძიება № 7—528; უოფნა! № 8—519.

გ. მოუსვენარიძე—ზატარა მდინარე ზვირთებოდა და განრისხებული კლდეს ეზ-დერთებოდა № 3—219.

გურული—ნიავის ზღაპარი № 3—221.

ნ. კეცხოველი—გაზაფხულის დიდის ცრემლი № 4—299.

ილ. ალხაზიშვილი—სამშობლოს სიყვარული № 5—355.

ივ. გომელაური—უფროსი შებადის ნა-ამბობი (ანტ. ჩეხოვისა) № 5—359; დიდი აღმინის შესაფერი ძეგლი № 6—455.

ლ. ელიავა—ერთი დღე თავისუფლად № 6—444.

კატო ბაქ—ძე—მართული კაბა (თარგმა-ნი) № 10—771.

ა. გაფრინდაშვილი—განგმორდი სო-ფელს № 7—526.

ლადო გეგეჭკორი—საფლავი № 7—527, ის წავიდა № 8—617, ლანდი № 9 697, სულთა-თანა № 10—763.

ი. სინარულიძე—მასწავლებელი № 10—765.

მ. ჭრელაშვილი—დამით № 8—519, სამარესთან № 10—767.

შ. ასათიანისა—ჩემს შვილებს (ვაგნერი-დან) № 10—768.

V

შინაური მიმოხილვა

პ. ჭ—ა ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში № 1—57, № 3—224.

ახალი ამბები № 2—158.

ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში, რეალური სასწავლებელი ზუგდიდში, 1881 წ. ტექსტის წინააღმდეგ სწავლება საღვთო სჯუ-ლისა № 3—223.

ობჩელი—საჭიროა მასწავლებელთა კავ-შირების დაარსება № 4—305, რეაქციონული ნაბიჯი № 5—376.

გ—ანი - სახალხო მასწავლებელს № 4—308.

ჟურნალ-გაზეთებიდან № 4—310.

—მასწავლებელთა საზოგადოების შესახებ —Примѣрный уставъ общества взаимнаго вспоможенія учащимъ и учившимъ въ низшихъ школахъ № 5—388.

სოფლის მასწავლებლების ექსკურსიები; გურია-სამეგრელოს და იმერეთის სამრეკლო სკოლების მასწავლებელთა კურსები ქუთაისში და კ. შკურნაღის ოინები № 6—462.

ქაჯაქისა და სოფლის მასწავლებელთა სა-ეურადღებოდ № 7—523.

Учебный планъ 1881 года № 7—525.

სახალხო მასწავლებელთა საეურადღებოდ, ხონის კურსები № 7—537.

ხმა ქართლიდან № 7—538, უმატიონის შუადგომები № 7—539.

კახაბერი —საერთაშორისო ომი, მოუსაგ-ლობა, თეატრის დაწვა, ქაჯაქის ქართული სკოლები და გოგებაშვილის რუსული სახელმ-ძღვანელობები № 8—621, ერთი დიდი ჰე-დაგოგოური შეცდომა № 8—627, „განათლე-ბის“ საზოგადოების სკოლა, განზრახვა ამ სკოლის საისტატო სემინარიად გადაკეთებ-სა; ბ-ნი კრუპსკი და მიხევეის სახელმძღვანე-ლო № 10—772.

აკაკი—წერილი ომის შესახებ № 9—685.

დედა-ენის სწავლება სახალხო სკოლებში № 9—703.

ლ. ჩიმაკაძე—სოფლის მასწავლებელთა საკულისხმოდ. პროგრამა სამშობლოს შესას-წავლი მასალების შესაკრებად № 10—752.

## VI

### რუსეთი

დ. თ. პროფესორ მარკის ჰატივისაცემი საღამო (ფურცელი კიევიდან) № 1—66, № 2—154.

მასწავლებელთა კრება ჰეტროგრაფში (ჟურ-ნალ-გაზეთებიდან) № 1—68.

ფარი—სრულიად რუსეთის სახალხო მას-წავლებელთა კრება № 2—142.

დ. თ—ლი ფურცელი კიევიდან. სურათე-ბის გამოფენა № 3—227.

ლალო ბზვანელი—განგაში საერობო სკოლის კარშემა № 5—378. თათბირი მას წავლებელთა სპენსიო კასის გამგეობაში № 10—782.

## VII

### უცხოეთი

კატო ბაქ—ძე პირველ-დაწვებითი განა-თლება ბოლგარიაში № 5—347, № 6—423.

ლ. ბოცვაძე—სკოლა-ახალშენები ტუეში № 5—381.

ბარბარე ყიფიასის ასული—საერთაშო-რისო მუზეუმი № 6—479.

ტი—როგორ ზომებს ხმარობენ შვეიცარია-ში მტირეწლოვან ბავშვთა დანამაულის შესამ-ცირებლად № 8—634.

ლალო ბზვანელი—რამდენი ეძლევათ მასწავლებლებს მეომარ სახელმწიფოებში № 9—710.

სახალხო განათლება ოსმალეთში № 8—775

მ. რევიო—საერთო სკოლები № 10—780.

VIII

მოწერილი აშბები

მასწავლებელი — ტერ-გასპარაიანი და გადაგვარებული მასწავლებლები (წერილი გურიიდან) № 1—36.

ვ. ოზიელი — ბაქოს სახალხო სკოლები № 2—137; ბაქოს სამრეწველო სკოლები № 3—230.

მ. ჯალელი — ღია წერილი ბ. წაქაძეს № 2—151.

ქიემილ ეფენდი ალმასხანიძე — გურიის სახალხო მასწავლებლები უწინ და ახლა № 2 156; ქობულეთის სახ. სკოლ. აწმყო და მომავალი № 4—314.

ტრ. ინასარიძე — სავაჟო გიმნაზიის ბათუმში № 159.

ლადო ბზვანელი — ჩვენც დავაფასოთ № 3—234; დიდებული საქმე 7—555; ნუ ჩამოვრჩებით სხვებს № 8—630.

პავლე გურგენბეგიშვილი — ქართული კათოლიკეები № 4—316.

ერთი მშობელთგანი — ღია წერილი აკეთის საზოგადოების მასწავლებლებს № 4—478.

თ. ჯჷონდიდელი — ქვედა დიშის სკოლის ექსკურსია № 7—556.

მიხ. სიხარულიძე — მასხუხად ერთ მშობელთაგანს № 8—635.

არ. ფანცულაია — ცოტა რამ სოფლის მასწავლებელთა მოღვაწეობაზე № 9—700.

დ. ა—ძე ქართული ენა გურიის სახალხო სკოლებში — № 9—706.

გ. ა—ნი მცირე შენიშვნა № 9—709.

ზ. არჯევანიძე — ჩემი განმარტება № 9—712.

სამ. მუმულია — დაგვიანებული გამომხატვა № 10—778.

გ. საქარაქიძე — გამოცდები კიცხის სკოლაში № 6—457.

IX

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, ბიოგრაფიები, სიტყვები, ნეკროლოგები. იუბილე

კონსტანტინე დიმიტრის ძე ვიფიანი, 45 წლის სსსცენო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო, სურათით № 2—138.

ნარინი — სახალხო განათლების მოღვაწენი გიგო შარაშიძე № 4—302; ნინო შარაშიძისა № 5—368.

მლ. გერ. ხაუომია — სიტყვა კსტატის მოვალეობაზე № 4—313.

† ალექსანდრე სარაჯიშვილი № 6—456. ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე № 7—540.

ალ. ჭიჭინაძე — გამოსაღება № 7—541; მიმართვა მოწაფეებისადმი № 7—552.

მეგობარი — ისონ კაპანაძე № 7—543; № 8 573.

დეკ. კალ. ცინცაძე — სიტყვა სწავლის დაწეობის წინ № 7—551.

მღვ. გ. ხაუომია — აღ. ბეს. ჭიჭინაძეს გამოთხოვებისას № 8—631.

X

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ილ. ალხაზიშვილი — ქიშია, ვ. რცხილასის მიერ თარგმანი, გამოცემა მეორე, თბილისი 1907 წ. № 1—70; მტენარენი და ცხოველნი ვ. რცხილასისა № 4—317; № 5—398; № 6—475.

ილ. ფერაძე — მელ. კელენჯერიძე — გაბრიელ უნისკაზისი იმერეთისა № 2—149;

ეპისკოპოსის ლეონიდი. სიტუგანი და მოძღვრებანი № 3—236.

ბ. ბ—ძე ალ. ფრანკელი. მის არწივი შამილი, ისტორიული ამბავი № 3.—239.

—Петръ Миріанашвили Практичеки курси; Отто Липманъ. Очеркъ психологій. Румянцевъ. Проблема половаго восп. Ц. Балталонъ. Хрестом. система № 7—558.

ართმეტოკის კრებული შედგენილი ქუთაისის სათავად-აზნაურთა სკოლის მასწავლებელთა მიერ; ცხოვრება და მეცნიერება, ქართველ

სტუდენტთა კრებული, ანაბიოზი სტ. ზ. ქავთარაძისა № 8—617.

— ალ. ფრანკელი—დიდებული მესხეთი, დ. ჯანაშვილი. ისტორიული სურათები. წინაპართა აზრდინი ნ. ჯომოურისა № 9—713.

გახსოვდეს წერა ჯანაშვილის დროს ქართული გრამატიკის წესი პეტრე მირიანაშვილის მიერ პირველად გამოცემული. ფასი ორი შურბი № 10—784.

რედაქტორ-გამომცემელი  
ლ. გ. ბოცვაძე.



# განცხადება

მაქვს პატივი უმორჩილესად ვსთხოვო 1914 წლის ჟურნ. „განათლება“-ზე რაჭაში ჩემთან ხელის მომწერთ, —მათზედ დარჩენილი ჟურნალის ფასი და ყოველგვარი სხვა რედაქციის ანგარიშები გაასწორონ დ. ონის ნორმალურ ორ კლას. სკოლის ზედამხედველი სერგო ნიკ. რუხაძესთან, რომელსაც უკვე გაგზავნილი აქვს იმ პირთა სია, რომლებზედაც დარჩენილია რედაქციის მიმდინარე წლის ანგარიშები.  
დ. ონში უფილი აკენტი ჟურ. „განათლების“ ილია ვოგია.

მოიკითხეთ ყველა მეგობრებთან თბილისში, გაზეთი

## „ახალი ქართლი“

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით.

ცალკე ნომერი ერთი შაური.

დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ძალაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.



28 სექტემბრიდან გამოდის ყოველ-დღიური  
საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  
**„ახალი ივერია“**  
(წელიწადი ჰირველი)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა სახლი ოცხელისა.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція  
„АХАЛИ ИВЕРΙΑ“

რედაქციის კანტორაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათამდე და  
6—8 საათამდე.

---

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

**„კ ლ დ ე“**

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი ღირს წლიურად 5 მან., თვიურად 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოს-  
წავლელთ დაეთმობათ 4 მან.

ცალკე ნომერი ყველგან—ორი შაური

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3. რედაქცია „კლდე“.

დეპეშისა: თბილისი კლდე.

---

გამართულია ხელის მოწერა 1915 წლის

**„ხ მ ა პ ა ხ ე თ ი ს ა“** ზე

(წელიწადი მეოთხე)

1915 წელს გაზეთი გამოვა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით.  
გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მან. 50 კ., ნახევარი წლით 1 მან. 80 კ., ერთი  
თვით 1 მან. 40 კ. სიღნაღში და სოფლებში: ერთი წლით 2 მან. 50 კ. ნახევარი  
წლით 1 მან. 30 კაპ. ერთი თვით 1 მან. 25 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

მისამართი: г. Сигнахъ К. I. Ткавадзе.

დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის სალიტერატურო  
საპოლიტიკო და ეკონომიურ გაზეთი

# „შრომა“-ზე

წელიწადი მეორე.

გაზეთი 1915 წლის 1 იანვრიდან **ბამოვა უოველდლე** წინანდელი რედაქციით. გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ახალი ძალები.

წლიური ხელის მომწერლები პრემიით მიიღებენ **ბიჭტორ ჩერნოვის** წიგნს „**ფილ ო ფიური და სოციოლოგიური ვტიუდები**“ (ქართულ ენაზე, 300 გვერდი) არა ხელის მომწერლებისთვის წიგნი ეღირება 2 მან. გაზეთის ფასი.

1 წლით ✕ 6 თვით ✕ 3 თვით ✕ 1 თვით ✕ ცაღკე-ნომე-  
7 მან. ✕ 4 მან. ✕ 2 40 ✕ 80 კაპ. ✕ რი 5 კაპ.

საზღვარ გმრედ ორჯერ მეტი

წლიური ხელის მომწერლებს ფულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ. ხელის მოწერისას—3 მან. 1 აპრილს—2 მან. ივნისს—2 მან. რედაქცია ღიაა ყოველდღე დილის 9—2 საათ, საღამოს 5—8 საათ.

მისამართი: წერილებისა და ფულისათვის Кутаись редакция „ШРОМА“  
поч. ящ. № 47.

ბამოვა 1914 წ. საუმაწვილო შურნალი

## ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელის-მოწერა მიიღება შურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში. კოლფინის პრესბექტზე ზუბაღაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარზაში, თაგ. აზნ. ქარვასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის **12** წიგნი **3** მან. მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი **3** მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—**3** მან.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „**მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები**“, (მრავალ სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

# სნობები

ქ. ფ. ზერა-პითხვის გამავრცელებ.  
საზოგადოების მოქმედებისა.

## ო ქ მ ი

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა  
9 ნოემბერს 1914 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა პირველის 20 წუთზე. დაესწრო 120 წევრი.

გასარჩევია 1913 წლის ანგარიში.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე აღდგომით პატივი სცა საზოგადოების წევრის განსვენებულის ა. ი. საჯიშვილის ხსოვნას.

თავმჯდომარეს საჭიროდ მიაჩნია ანგარიშის განხილვამდე ორიოდე სიტყვა სთქვას ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ დღევანდელმა საერთაშორისო ომმა ბევრის სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად და საყოველთაო მწუხარება გაამეფა ხალხთა შორის. მაგრამ სამაგიეროდ კაცობრიობას უღიმის უკეთესი მომავალი და დღევანდელ ომს თან უნდა მოჰყვეს ერთა უფლების აღდგენა. ეს იმედები ნათლად გამოიხატა მეფის ნებით თქმულ უმაღლეს მთავარსარდლის სიტყვებში. ჩვენს საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელება. ჩვენი სკოლები უნდა იქნენ მანათობელი და დამამკვიდრებელი იმ იდეებისა. ამიტომ ჩვენ იმედით უნდა შევყურებდეთ ომის შედეგებს, მით უმეტეს, რომ ჩვენს ერს უკვე დიდი მსხვერპლი აქვს მისთვის შეწირული. მოგიწევთ მხურვალე ლოცვები წარუმძღვაროთ წინ იმ მემკვიდრეთ, რომ-

მელნიც ეხლა ბრძოლის ველზე არიან გასულნი და სამართლიანობისა და უფლებათვის იბრძვიან, სულით და გულით ვისურვოთ, რომ ანთებული მანათობელი უმაღლესი წინამძღოლისა მისულიყოს ბოლომდის კეთილდღეობისათვის ჩვენი საერთო სამშობლოსა.

თავმჯდომარემ კრებას აუწყა, რომ ანგარიში დაგვიანდა უპირველესად იმის გამო, რომ განყოფილებებმა თვისი ანგარიშები დროზე არ წარმოადგინეს და ომიანობის მიზეზით.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის ანგარიშის შესახებ და პასუხი გამგეობისა ამ მოხსენების გამო, რასაც მოჰყვა კამათი.

დ. ხართაშვილი, ი. ჩაშიშვილი და ბ-ნი მაღალაშვილის აზრით სარევიზიო კომისიის მოქმედება არ არის დამაკმაყოფილებელი, იგი ფაქტიურად უნდა ამოწმებდეს საზოგადოების ქონებას და არა ზეზეურად. სარევიზიო კომისიას არ უმუშავნია: აულია დაბეჭდილი ანგარიში და იმის მიხედვით გვეუბნება, ეს კარგად არის, ეს ცუდათაო. მან ფულის მთელი ანგარიში დაწვრილებით უნდა განიხილოს და შეამოწმოს, მართლა ინახება ფულები ბანკში და ნამდვილი საბუთებია თუ არა ფულის ის საბუთები, რომელნიც კასაში ინახება.

სარევიზიო კომისიის წევრებმა დ. ღუმბაძემ და ა. ღუჯაძემ უპასუხეს, რომ მათ ფაქტიურად შეამოწმეს საბუთები კასისა და საბუჰალატერო წიგნებთან და ყველაფერი წეს-რიგზე აღმოჩნდა. ხოლო ბანკებში სიარული, იმის შესამოწმებლად, მართლა ბანკის მოხელეებმა მოაწერეს ხელი საბუთებს თუ არა, შეუძლებელიცაა და უაზროც. ამის ნებას არც წესდება გვაძლევს. განა შეიძლება სკოლებში ფეხით ვიაროთ და ადგილობრივ შევამოწმოთ.

დ. კარიჭაიშვილი (გამგეობის წევრი) ჩვენ გვაქვს ბანკის ბილეთები ვადით შენახული ფულისა და  $\frac{0}{\infty}$ -იანი ქალაქების მოწმობები სახელმწიფო ბანკისა. თქვენის აზრით, სარევიზიო კომისიას უნდა ეარა ბანკებში, შეემოწმებინა ბილეთების სინამდვილე. აგრეთვე წასულიყო სკოლებში და იქაც ფაქტიურად მოეხდინა რევიზია. ეს შეუძლებელიცაა და მოუხვევებელიც. ბანკის გამგეობა არავის არ მისცემს შემოწმების ნებას, თუ გამგეობა არ მისწერს.

თედე კიკვაძეს არ აკმაყოფილებს გამგეობის მოქმედება. მისი აზრით, განსაკუთრებით სკოლები არიან უნუგეშო მდგომარეობაში. ცოტა ათავებს კურსს და მოსწავლეთა რიცხვი ცოტაა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საზოგადოებას არ ჰყავს გამოცდილი, მომზადებული და გლეხის ნამდვილი მეგობარი მასწავლებელი, რადგანაც მაწავლებლის შრომა ჯეროვნად არ აქვს შეფასე-

ბული. საზოგადოების მასწავლებელნი ძლიერ მცირე სასყიდელს ღებულობენ თავისი მძიმე შრომის ფასში. მნ თუმანი ძლიერ მცირე ჯამაგირია. თუ გვინდა ჩვენი სასკოლო საქმე წესიერ კალაპოტში ჩადგეს, საჭიროა შესაფერნი მასწავლებელნი იქმნას მოწვეულნი ცენზიანი, სემინარიელნი და არა სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და შესაფერი ჯამაგირიც დაენიშნოსთ. სჯობია ცოტა იყოს სკოლა, მაგრამ კარგი. საზოგადოების ზოგიერთს სკოლებში სწავლა იწყობა ოქტომბრიდან და სექტემბრიდან; საღვთო სჯულს ზოგან ქართულად ასვლიან, ზოგან ქართულათაც და რუსულათაც მაგ. ბაქოს სკოლაში. სკოლების მეთვალყურე თავის მოხსენებაში უსაყვედურებს ბათუმის მასწავლებლებს ანგარიშს მეოთხე განყოფილებაში რატომ ქართულად ასწავლითო და დასძენს, რომ ჩვენ ამის ნება არა გვაქვსო. ეს შენიშვნა სრულიად ეწინააღმდეგება გამგეობის მიერ შემუშავებულ სანიმუშო პროგრამის მოთხოვნილებას.

სკოლები მხოლოდ ექვსჯერ დაუთვალიერებიათ, მაშინ, როდესაც სკოლების საგანგებო მეთვალყურე ჰყავთ მოწვეული. ბოლოს ბ-ნი კიკვაძე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გამგეობაში ყველა პატივცემული პირია, მაგრამ წ. კ. საზოგადოების საქმეებისთვის საკმარისი დრო ყველას არა აქვს, რადგან საკუთარი საქმეებით არიან დატვირთულნი. ამიტომ ვისაც დრო არა აქვს იმან არ უნდა იკისროს ისეთი მძიმე და თან საპატიო მოვალეობა, როგორც წ. კ. საზოგადოების გამგეობის წევრის მოვალეობაა.

ეკატერინე ასთიანისა თავის განცვიფრებას აცხადებს; „ქართულ სკოლაში და ისიც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლაში, განა შეიძლება საღვთო სჯულის რუსულ ენაზე სწავლება?!

გრ. ბურჭულაძე უპასუხებს თედო კიკვაძეს და აღნიშნავს, რომ ანგარიში შეეხება გამგეობის 1913 წლის მოქმედებას; სკოლების მეთვალყურე კი მოწვეულია ამ 1914 წლის 1 იანვრიდან, მოწვევის დღიდან მას დაუთვალიერებია ყველა სკოლა, ზოგი ორჯერაც და სამჯერაც. დარჩა დაუთვალიერებელი სენაკის და ქუთაისის სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლები. წელს ესენიც იქნებიან დათვალიერებულნი. ამიტომ ბ-ნ კიკვაძის საყვედური, ექვსჯერ მეტად არ დაუთვალიერებიაო, ზედმეტია და უსაფუძლო. სწავლის გვიან დაწყების მიზეზი ის არის, რომ ოქტომბრამდე გლახს ათასი სამუშაო აქვს სახლში და შეილს სასწავლებელში არ გზავნის.

ლ. ბოცვაძე (გამგეობის წევრი) აღნიშნავს, რომ გამგეობაც მომხმარება საუკეთესო მასწავლებლების მოწვევისა, მაგრამ საქმის განხორციელება ძნელია: ჩვენც გვინდა ცენზიანი სემინარიელნი გვყავდეს, მაგრამ ვერ ვშოულობთ. ამიტომ იძუ-

ლებული ვხდებით მოვიწვიოთ ისეთებიც, რომელთაც სპეციალური პედაგოგიური განათლება არ მიუღიათ, მაგრამ თავისით მომზადებულან და საქმისადმი სიყვარულით აღჭურვილნი სასკოლო საქმეში დიდი უნარი გამოუჩენია. ასე მოხდა მაგალითად ყალამშიაში, სადაც არა სემინარიელმა იმდენი გამჭრიახობა და მხნეობა გამოიჩინა, რომ ხალხს სკოლა შეაყვარა, სკოლის შენობის აგებაში დიდი მონაწილეობა მიაღებინა და სწავლების საქმეც წესიერად დააყენა. რაც შეეხება სასწავლო გეგმას, ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჩვენის წესდებით და 1881 წლის გეგმით, რომლითაც საღვთო ჯულის სწავლება ქართულად წარმოებს ჩვენს სკოლებში რამდენადაც შეიძლება ჩვენც ვიცავთ მშობლიურ ენას. იქ, სადაც მასწავლებლები უხვევენ ჩვენს გეგმას, გამგეობა წინადადებას აძლევს განყოფილების გამგეობას მტკიცედ დაიცავან სანიმუშო პროგრამა და ყველა საგანი სამშოლო ენაზე ასწავლონ. ბუჭულაძის შენიშვნა ბათუმის სკოლის შესახებ სექციას და არც გამგეობას არ დაუღასტურებია.

თ. კიკვაძე. ბ-ნი ბოცვაძის შენიშვნა მის პასუხზე, რომ გამგეობასა და ბ. ბურჭულაძის შორის, ცხადია გაუგებრობა და წინააღმდეგობა ყოფილა, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩითვალოს; რაიცა შეეხება ცენზს, თუმცა მე ცენზის მომხრე არა ვარ საზოგადოთ, მაგრამ სემინარიაში, როგორც სპეციალურ სასწავლებლებში, კურს დამთავრებული, რომ უფრო ნაყოფიერად იმუშავენს, ექვი არ უნდა, ამიტომ უპირატესობა მათ უნდა მიენიჭოთ და შესაფერი ჯილდოც უნდა დაენიშნოთ. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის პიროვნებას, ამას წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მაგალითიც ამტკიცებს. ხსენებულ სკოლას ადგილობრივი მკვიდრნი ამ ბოლო დრომდის თანაგრძნობით არ ეპყრობოდენ და შეილებსაც ძლიერ ნაკლებად აზარებდენ, ხოლო ახლა, როცა სასწავლებელს გამგედ ჰყავს მკოდნე, გამოცდილი და მასთან ერთად ხალხის მეგობარი ადამიანი, — ხალხმა შეიგნო სკოლის სარგებლობა და შეილებიც ბლომად შეიყვანა შიგო.

ფ. ბოცვაძე. ჩვენი წ.-კ. მიზანია მდაბიო ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, არის ადგილები, მივარდნილი კუთხეები, სადაც უბრალო წერილის წამკითხველს სანთლით ეძებენ. აი ასეთ ადგილებში, რომ წერა-კითხვის ცოდნა გავავრცელოთ, ეს მე მგონია, უფრო სასაგებლო იქნება, ვიდრე მთელი ჩვენი ნივთიერი საშუალება მხოლოდ ორი-სამი სკოლის შენახვას მოვახმაროთ.

შ. ქაჩუშიძე ამბობს, რომ ამდენი ხანია არსებობს წ.-კ. საზოგადოება და ჩვენს გამგეობას ჯერ არ აქვს თვის მოქმედების გეგმა გარკვეული. არა აქვს გამორკვეული, როგორი უნდა იყოს ჩვენი სკოლა და ღირს თუ არა გახსნა კიდევ ახალი სკოლებისა იმ სახით, როგორც დღეს არის. მისი აზრით სკოლები უნუ-

გეშო მდგომარეობაშია, მასწავლებლების მდგომარეობაც არ არის სახარბიელო. ამიტომ ჯერ უნდა არსებული სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდეს და შემდეგ სხვა გაიხსნას. ბიბლიოთეკების მდგომარეობაც არ არის სანუგეშო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რაში გამოიხატება ამა თუ იმ ბიბლიოთეკის სიკარგე, რა დარგის წიგნებს უფრო თხოულობს ხალხი, რომელ მწერალს უფრო ეტანება და სხვა. საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს მივცეთ თუ არა მომავალ გამგეობას ახალი სკოლების და ბიბლიოთეკების გახსნის ნება, ვიდრე არსებული სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი და სულიერი მდგომარეობა არ იქნება გაუმჯობესებული.

კ. შალვაშვილი. როგორც ვაკვირდები, სარევიზიო კომისიას არ უმუშავნია. გამგეობას შეუდგენია ანგარიში, სარევიზიო კომისიას აულია დაბეჭდილი წლიური ანგარიში და იმის მიხედვით შეუდგენია თავისი მოხსენებაც. კომისია ამბობს, ბალანსი სწორია, მაგრამ სრულიად არა სჩანს შემოწმებულია იგი საბუჭვალტერო წიგნებთან ფაქტიურად თუ არა!

ს. ლუქაძე. ამისთანა ლაპარაკი განა შეიძლება, შეიძლება განა, რომ ჩვენ ზერელედ მოგვეხდინა რევიზია, მოხსენებაში ნათქვამია ანგარიში საბუთებთან არის შემოწმებული, მე მგონია ეს საკმარისი უნდა იყოს...

დ. დუმბაძე. ჩვენდა საბედნიეროდ, სხვა დაწესებულებებთან შედარებით წ.-კ. გამ. საზოგადოების საქმე გაცილებით უფრო კარგად არის დაყენებული. ყველაფერი წესიერადაა. მაღაზია, საწყობი, საქმის წარმოება. მხოლოდ ერთი რამ არის აღსანიშნავი, რომ ქონება დაზღვეული არ აღმოჩნდა.

ჰ. სუფარეჯიძე. ნება მიბოძეთ წესრიგისათვის ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება ნება მიეცეს ორატორებს შეეხონ საზოგადოთ ანგარიშში აღნიშნულ მუხლებს და გამგეობის მოქმედებას, რომელ დარგსაც მათი მოქმედება არ უნდა ეხებოდეს.

თავმჯდომარე ნებას აძლევს.

ა. ლუქაძე. კამათი უწესოდ სწარმოებს. ჯერ უნდა წაგვეკითხნა გამგეობის ანგარიში და შემდეგ კი სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე. შარშან თქვენ პრეტენზია განაცხადეთ, რატომ პირველად სარევიზიო კომისიის მოხსენება არ წაკითხეთ და წელს სწორედ თქვენი სურვილის თანახმად, პირველად მოხსენება იქნა წაკითხული.

ა. ლუქაძე. შარშან მე მოვითხოვე სარევიზიო კომისიის მოხსენების მუხლობრივ განხილვა. და არა სარევიზიო კომისიის მოხსენების პირველად წაკითხვა. გთხოვთ ჯერ ანგარიში იქნას წაკითხული და შემდეგ ჩვენი მოხსენება.

პ. ჯაფარიძე. თხოულობს ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ გაიხსნას საზოგადო ბაასი.

თავმჯდომარე კითხვას გამორკვეულად აღიარებს და სთხოვს კრებას იქონიოს მსჯელობა ანგარიშის შესახებ საზოგადოდ.

პ. სეფარაძე. ქ. შ. წ.-კ. საზოგადოება ეს ერთად ერთი კულტურული და წესებულებაა ჩვენში და როგორც ასეთი, იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მისი მოქმედება ყოველ მხრივ აწონილ-დაწონილი უნდა იქნას ყოველი შეგნებული და გულშემატკივარი ქართველის მიერ. სწორედ ეს მოსაზრება მიკარნახებს აღვნიშნო ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლი გამგეობის მოქმედებაში. სარევიზიო კომისიის მოხსენება გვეუბნება და ანგარიშიც ამას ადასტურებს, რომ გამგეობის წევრნი კრებას არ ესწრებიან. რად იკისრეს ასეთი მოვალეობა, თუ ღრუნებას არ აძლევთ და არ შეუძლიანთ აქტიური მონაწილეობის მიღებით საქმე გამოაცოცხლონ, დიად საქმეს ჯეროვანი ხელმძღვანელობა და მეთაურობა გაუწიონ, მაგრამ ეს ხომ ჩვენი საზოგადო სენია. გამგეობა უნდა იჩინდეს ინიციატივას, ადგენდეს სამოქმედო გეგმებს და ამ გეგმებს უდგენდეს განსახილველად საზოგადო კრებას. ეს არ სჩანს. საჭიროა ხოლმე დაევალოს ყველა ახლად არჩეულ წევრთ, ან თავიდანვე უარი განაცხადონ, ან თუ იკისრებენ გამგეობის წევრობას, პირნათლად და სინდისიერად იმუშაონ.

სკოლების რევიზიის საქმე ძლიერ ცუდად ყოფილა დაყენებული. ნუ თუ გამგეობას არ შეეძლო, თუ მის წევრთ დრო-მოცალეობა არ ჰქონდათ, გარეშე მცოდნე პირისთვის დაევალებინა სკოლების დათვალიერება, მისი ავ-კარგის გაგება? განა შეიძლება 16 სკოლიდან მხოლოდ 4 დათვალიერება და დანარჩენების უყურადღებოდ დატოვება?

გამგეობას რომ მოქმედების უნარი გამოეჩინა, შეეძლო სავსებით გამოყენებინა წესდება და მის ფარგლებში ემოქმედნა.

რა მიზანი აქვს დასახული საზოგადოებას და როგორ ემსახურება ამ მიზანს გამგეობა? საზოგადოებას აქვს უფლება გამართოს კურსები, მოიწვიოს მასწავლებელთა სიესდები, გამართოს სახალხო კითხვები, ლექციები და სხვა. როგორც სჩანს, არც ერთი ეს გამგეობას არ განუხორციელებია. გამგეობას შეუდგენია სკოლებისთვის სანიმუშო პროგრამები, ეს პროგრამები შედარებით, საღი პედაგოგიური მოთხოვნილებების მიხედვით არის შედგენილი. ამ პროგრამებით ყველა საგანი სამშობლო ენაზე უნდა ისწავლებოდეს. საზოგადოების ზოგიერთ სკოლაში კი, როგორც ბ. ბურჭულაძის მოხსენებიდანა სჩანს, სამღვთო სჯულს და არითმეტიკას რუსულად ასწავლიან. ეს, მე მგონია, შეუძლებელია. ქართულ სკოლაში



სწავლება ქართულად უნდა სწარმოებდის. დედა-ენა უნდა იყოს ყველა საგნების სწავლის იარაღად. ზოგიერთ სკოლებში საღვთო სჯული ქართულადაც უსწავლებიათ და რუსულადაც. ერთი მითხარით, ეს რომელ საღვთაგოგიურ მოთხოვნის უპასუხებს? განა საკმარისი არ არის ამ საგნის მართლ ქართულ ენაზედ სწავლება, როცა თვით მთავრობის გეგმაც არ არის ამის წინააღმდეგი?! დრო არის ბოლო მოელოს ასეთს გულგრილად საქმისადმი მოპყრობას; საჭიროა დავალოს ახალ გამგეობას, სისრულეში მოიყვანოს წესდების ის მუხლი, რომელიც ნებას გვაძლევს გავმართოთ მასწავლებელთათვის კრებები, სისტემატიური კურსები, ექსკურსიები და სხვა. საჭიროა საქმის მოყვარულნი და ენერგიით სავსე ხალხი შევიდეს ამ დიად ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებაში და შეიტანოს შიგნიანი ციხე, სიციცხლე და მოქმედების უნარი.

მ. რეხილაძე (გამ. წევ.) ექვი არ უნდა, რომ გამგეობას აქვს ნაკლი, განა უნაკლოა რაიმე საქმე შეიძლება! მაგრამ ასეთი ბრალდებებისა და საყვედურების წამოყენება, რომელიც წინანდელმა ორატორმა აღნიშნა გამგეობის მოქმედებაში, სიმართლეს მოკლებულია. ბ-მა საყვარელიძემ ბრძანა, რომ სანიმუშო პროგრამები საღვთაგოგიური პრინციპების მიხედვით არის შედგენილი. პროგრამა გამგეობამ შეადგინა, აღბად იმ მიზნით, რომ იგი გაეტარებინა სკოლებში და სწავლაც ქართულ ენაზე მოეწყო და კიდევაც მტკიცედ იდგა და ადგია ამ გზას, მაგრამ ზოგიერთ სკოლებში მოხელეები წინააღმდეგობას გვიწევენ. ხშირად ეს წინააღმდეგობა იქამდის მიდის, რომ საზოგადოების დახურვასაც კი გვიქადის. მაგალითად თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა ამ ნიადაგზე საჩივარი შეიტანა და განყოფილების დახურვას თხოულობდა. გამგეობა იძულებული იყო ცოტა დათმობის გზაზე დამდგარიყო ისევ საზოგადო საქმის გულისათვის. ახლა უკვე არსებობს ახალი კანონი კერძო სკოლათა შესახებ და ამიერიდან ჩვენ შეგვიძლიან თავისუფლად ვაწარმოვოთ ყველა საგნების სწავლება დედა-ენაზე, თუმცა იგივე მოხელეები ჩვენს სკოლებს კერძო ტიპის სკოლებად არ აღიარებენ, თქვენი სკოლები სამინისტრო სკოლებათ ირიცხებათ.

გამგეობა კურსების გამართვასაც კი სცდილობდა მასწავლებელთათვის, მაგრამ ამას უნდოდა საღვთო და, შემცდარი აზრია, როცა ორატორი ფიქრობს, რომ უსაღვთოადაც შეიძლება კურსებისა, ლექციებისა, სახალხო კითხვებისა და სხვ... გამართვა. მასწავლებელთა კრებები კი, დროგამოშვებით იმართება, რასაც სასკოლო სექციის მხრივ ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. სასკოლო სექციის დავალებული აქვს აგრეთვე გამგეობისაგან შეიმუშაოს ვრცელი გეგმა, თუ როგორ და რა სახით მოეწყოს საზოგადოების სკოლებისათვის მასწავლებელ-

თა მომზადების საქმე. სახალხო კითხვების მოწყობასაც აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. გამგეობასთან არსებული სახალხო კითხვებისა და ბიბლიოთეკების მომწყობი სექცია უკვე შეუდგა ამ საქმის მოწესრიგების თადარიგს. და, თუ ენერჯიას გამოიჩინენ მოხსენებელი სექციის წევრი, ეჭვი არ უნდა, საქმე ჯეროვან მსვლელობას მიიღებს და სახალხო კითხვების მოწყობის საქმეც კარგად წავა. შენიშვნა სკოლების რევიზიის შესახებ საფუძველს მოკლებულია: მდგომარე წლის იანვრიდან გამგეობამ მოიწვია განსაკუთრებული პირი, რომელიც მოვალეა სკოლების რევიზიის საქმეს სისტემატიური ხასიათი მისცეს და სწავლის მსვლელობის ავ-კარგის შესახებ მოახსენოს ხოლმე გამგეობას სასკოლო სექციის საშვალეობით. გამგეობას საზოგადოების მიზანი კარგადა აქვს გათვალისწინებული: შწ წლის არსებობის განმავლობაში ყოველთვის ადგენდა სამოქმედო გეგმას და ამ გეგმის მიხედვით აწარმოებდა საზოგადო საქმეს იმდენად, რასაკვირველია, რამდენადაც მას ნივთიერი საშვალეობა ხელს უწყობდა. სკოლებს ხსნიდა იქ, სადაც ქართულ ენას მეტი დევნა და განსაცდელი მოელოდა და მოელის კიდევ, მაგ. ზუგდიდის მაზრაში, თერგის ოლქში და სხვა. ვიმეორებ, რომ გამგეობა შეძლებისა დაგვარად მუშაობდა და ატარებდა ცხოვრებაში წინდაწინვე შემუშავებულ მოქმედების გეგმას ივდენად, რამდენადაც მას ხელს უწყობდა ნივთიერი ღონისძიება.

შ. შიქელაძე (გამ. წევ.) წინანდელმა ორატორებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ გამგეობას არ მიუღია ზომები მასწავლებელთა კურსების გასამართავად. ეს უადგილო შენიშვნაა. გამგეობამ ამ ოთხი წლის წინად შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე მასწავლებელთათვის სისტემატიური კურსების გამართვის შესახებ ქართულს ენაზედ, მაგრამ ნებართვა ვერ მიიღო, ასეთი კურსების გამართვის ნება არ მოგვცეს, რუსულად კი კურსების გამართვა, როგორც მიზნის წინააღმდეგი გამგეობამ სასურველად არ დაინახა. საზოგადოებას აქვს თავიანთი სკოლებისათვის სანიმუშო პროგრამა, რომლის მიხედვით ყველა სკოლის მასწავლებელი ვალდებულია აწარმოვოს სწავლა. და თუ ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლებმა ამ პროგრამას გადაუხვიეს, გამგეობამ ამის წინააღმდეგ შესაფერი ზომებიც მიიღო.

იჩაკლი რამიშვილი.—საზოგადოების საქმე რომ უფრო კარგად წავიდეს, მეტი სიცოცხლე დაეტყოს მის მოქმედებას, ამისთვის საჭიროა გამგეობას ყავდეს მოწვეული, იმ ორი პირის გარდა, რომლებიც ახლა მსახურობენ, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი, პირი, რომელიც გაცნობილი უნდა იყოს დასავლეთ ევროპის კულტურულ დაწესებულებათა ისტორიას. ეს პირი საზოგადო საქმეში შეი-

ტანს სიცოცხლეს, ინიციატივას და, ექვი არ არის, დღეს თუ საზოგადოების საქმე კულს ნაბიჯით მიდის და გამგეობის წევრნი თავიანთ მოვალეობას ზერელე ასრულებენ, მაშინ ამ ნაკლს ადგილი აღარ ექნება და საქმე უფრო ნაყოფიერად წავა.

დაჯ. ხართიშვილი. ადვილია სხვის ნაკლზე ლაპარაკი. სარევიზიო კომისია გამგეობის ნაკლზე მიგვითითებს და თავის ნაკლს კი არ ამჩნევს. სარევიზიო კომისია ვალდებულია გამგეობას კვალდაკვალ მიჰყვეს და რევიზია უკეთოს; მას კი მხოლოდ წლიური ანგარიში შეუმოწმებია და ფაქტური „რევიზია“ კი არ მოუხდენია. ეს, ჩემის აზრით თავის ვალდებულობის შესრულებლობაა. სარევიზიო კომისია გამგეობას უსაყვედურებს საგურამოს მამულის აოხრებას და თავის თავსა კი არა სთვლის ამაში დამნაშავეთ. სარევიზიო კომისიას რომ თავისი ვალდებულება შეესრულებინა, თავის დროზე მისუღიყო საგურამოში მამულის დასათვალიერებლად, მას ჯერ კიდევ ძველი მოიჯარადრეების დროს ეცოდინებოდა, რომ მამული გამგეობის უყურადღებობით ოხრდება... არც ჩვენ, საზოგადოების წევრნი, ვართ ამ საქმის დაკნინებაში უდანაშაულო, თვით დღევანდელი კრების მრავალრიცხოვანობაც ამას მოწმობს. კრებას მხოლოდ არჩევნების დროს ესწრებიან წევრები და სხვა კრებებზე კი ძლიერ მცირე ყოფილა ხოლმე. საზოგადოდ საქმის გამობრუნება-წარმატება მოითხოვს გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და თვით საზოგადოების წევრთაგან მეტს ყურადღებას და თვით საქმის შესაფერისად შესწავლა-შეთვისებას. საჭიროა ყველამ მივიღოთ საქმის წარმოებაში მონაწილეობა იმდენად, რამდენადაც, ვის შესწევს ძალ-ღონე. ბ-ნი რცხილაძე ამბობს: „უნაკლოლო არავინ არის და არც ჩვენ ვართ უნაკლოლო“ ბ.ბ. ესე რომ იყოს საქმე, მაშინ ხომ არა გვეთქმოდა რა, მაგრამ სამწუხაროც ის არის, რომ ამ საქმეში მეტის-მეტად კოჰლობთ, ამის მიზეზი სხვათაშორის ისიც არის, რომ ბევრი თქვენგანი მრავალ ალაგას არის ამორჩეული და ასე ძალღონე ქუცმაცდება და ველარსად რას აკეთებთ. გარდა ამისა მე მინდოდა მეკითხნა გამგეობისათვის აქვს თუ არა ცნობაში მოყვანილი, თუ რამდენმა მოწაფემ დაასრულა სწავლა ჩვენს სკოლაში, რა გზას დაადგნენ ისინი, ან თუ ითვლებიან ჩვენი საზოგადოების წევრებად... ახლა სტიპენდიების შესახებ: სტიპენდიებს გამგეობა აძლევს იმის მიხედვით, თუ რა სპეციალურ ცოდნას ღებულობს მთხოვნელი და ის კი არა აქვს გამორკვეული, თუ რა სპეციალური ცოდნისანი უფრო გვესაჭიროებიან. თქვენ უზასუხებთ კომისიას: ჩვენ ყველანაირი მცოდნენი გვინდაო. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ საჭიროებათა შორის არის პირველ ხარისხოვანი საჭი-

რობანი, რაც უნდა გამოარკვიოს და დააკმაყოფილოს სხვა საჭიროებებზე აღრე-  
გამგეობა კი ასე არ იქცევა სტიპენდიების მაცემის დროს.

მუზეუმის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მეტის-მეტად უყურადღებოდ არის მი-  
ტოვებული, მის შესახებ არ არსებობს მუშაობა ორგანიზაციულად მოწყობილი.  
საჭიროა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა შევისწავლოთ და ძველი ჩვენი დიდე-  
ბის ნაშთები მოვნახოთ და შევინახოთ.

რაც შეეხება რუსულადა და ქართულად ზოგიერთ ჩვენს სკოლებში საღვთო  
სჯულის სწავლებას, ეს იმით არის გამოწვეული, რომ შემდეგი სწავლის მისაღე-  
ბად შევირდები იძულებულნი არიან ისეთს სკოლაში შევიდნენ, სადაც საგნების  
ცოდნას რუსულად მოითხოვენ.

საჭიროა აგრეთვე გაიხსნას წ.-კ. განყოფილებები იქ, სადაც ჩვენი სკოლები  
არსებობს მაგალითად გერგეთში თამამად შეიძლება წ.-კ. გ. საზოგადოების გან-  
ყოფილების გახსნა.

დ. ჯუმბაძე. საყვედური საგურამოს მამულის შესახებ სრულიად უადგილოა.  
მამულის დათვალიერება მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიას და რომ  
მან თავისი ვალდებულება არ შეასრულა, ეს აღნიშნულია ჩვენს მოხსენებაში,  
ჩვენს მოვალეობას კი სრულიად არ შეადგენდა მამულში წასვლა და ადგილობ-  
რივ რევიზიის მოხდენა.

ჰეტრე გეჯეიშვილი. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას,  
რომ ჩვენს ერთად ერთ კულტურულ დაწესებულებაში გამეფებულია ბიუროკრა-  
ტიზმი, ხალხსა და საზოგადოების გამგეობის შორის ამართულია ჩინეთის კედელი:  
ხალხს არ უშვებთ სამუშაოთ, არ გვინდა მან თავისი საქმეები თვითონ მართოს,  
რამდენი ხანია ვლაპარაკობთ საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ და ეს  
საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. საჭიროა შემცირდეს საწევრო გადასახადი, რათა  
მდაბიო ხალხს შეძლება მიეცეს შეიტანოს ეროვნულ-კულტურულ საქმეში თავისი  
წვლილი და დამერწმუნეთ, რომ ამის შემდეგ საქმე გამოცოცხლდება, საქმიანო-  
ბას უნარით აღიჭურვება.

პრაკოპი ჯაფარიძე. ბ-ნო! გონიერი ანდაზა ამბობს: „როგორც მღვდელი,  
ისეთი მრევლიო“ აქ კი მღვდელი სხვაა და მრევლი სხვაა. გამგეობამ უნდა  
აასრულოს ის, რასაც დააკისრებს საზოგადოება. და საზოგადოების მიზანი წერა-  
კითხვის გავრცელებისა სახლში, მაშინ მიიღებს ჯეროვან სახეს, როცა თვით ხალ-  
ხი იქნება დაინტერესებული, როცა თვით ხალხი თავიანთი წარმომადგენლების  
სახით შევა გამგეობის შემადგენლობაში. გამგეობის წევრნი თავს იმართლებენ  
საღსარი არა გვაქვსო, მაგრამ მარტო საღსარი რას გვიშველის, თუ ხალხი დაინ-  
ტერესებული არ არის იმ საქმით, რომელიც თვით ხალხს ეხება.

გიორგი ჯომთათიძე. ყოველთვის უსაღსრობის ბრალი არ არის საზოგადოების საქმეების ცუდად წაყვანა. დამნაშავეს მე არ ვეძებ. საქმეს დაუახლოვდეთ, ყველაფერს გამგეობას ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ არ შემიძლიან არ მიუთითო ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც უნდა აღინიშნოს გამგეობის მოქმედებაში: მაგილითად განსვენებულმა ხრამელაშვილმა უანდერძა თავისი სახელმძღვანელო წიგნები წ.-კ. საზოგადოებას. ერთმა ქართველმა ვაჟარმა ეს წიგნები მიითვისა, ქურთულად დაბეჭდა იგი ციხის სტამბაში, გამოცემის თარიღის აღუნიშვნელად. ხმები: ვინ არის ეს ვაჟარი? მერკვილაძე ხომ არ არის?“ ლომთათიძე—ღიან, მერკვილაძე გახლავთ. ჩვენ ამ წიგნებს მისგან ვყიდულობდით და ისე ვყიდდით. გამგეობას შეეძლო „არესტი“ დაედო გამოცემულ წიგნებზე და არ მიეცა ნება მერკვილაძისათვის ჩვენი ქონებით ესარგებლა.

აქ არ იყო საჭირო არაფერთარი საღსარი, მხოლოდ საჭირო იყო მოქმედება და მოქმედების უნარის გამოჩენა. ამის გარდა სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე გამგეობის პასუხში ნათქვამია, რომ მარტო „რუს. სლოვ.“ მეორე ნაწილის გამოცემამ დაიგვიანაო. ეს მართალი არ არის. „რუსკ. სლოვ.“-ს გარდა ბუნების კარის გამოცემამაც დაიგვიანა.

შემთხვევით გახლდით კავთისხევის ბიბლიოთეკაში, შევედი და წიგნების და გაზეთების მაგივრად ლუდის ბოთლები ეწყა მაგიდაზე. მერწმუნეთ ბ-ნო თუ თქვენ გნებავთ საქმეს მოქმედების უნარი დაეტყოს ჯერ ამისათვის უნდა მოამზადოთ ნიადაგი.

აქქანდრე ჯომთათიძე. ჩემთვის რომ ეკითხათ, რომელია ქართველი ერის კულტურის გამომნატველი დაწესებულებაო, მე მიუთითებდი ქართულ თეატრზე და წ.-კ. საზოგადოებაზე. ქართული თეატრი დაგვეწვა, დაგვჩა ერთადერთი ეროვნულ-კულტურული სახის გამომნატველი წ.-კ. გამავრ. საზოგადოება, რომელსაც უნდა მიექცეს უმთავრესი ჩვენი ყურადღება. ყოველი ნაკლი წ.-კ. საზოგადოებისა აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ შემდეგში იგი არ განმეორდეს. ჩვენ არ უნდა ვფარავდეთ ჩვენს წყულებს, რადგანაც უფრო გაავდება. ზოგიერთების სურვილი იყო ამ ნაკლთა მხილება, მაგრამ ამასთან იყო მიფუჩეჩების სურვილიც. არ არის აგრეთვე გადაჭრით აღიარებული, თუ რა საშუალებას მივმართოთ საქმის გამოსაკეთებლად და გასაუმჯობესებლად. სკოლები უნუგეშო მდგომარეობას განიცდიან, არ იმართება სახალხო კითხვები და ლექციები ხალხისათვის. წიგნის მაღაზიის საქმე რიგიანად ვერ მიდის. თუ გვინდა ღირსეულად იარსებოს ჩვენმა საზოგადოებამ და თავისი დანიშნულება შეასრულოს, უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სახალხო წიგნების გამოცემის მოწყობის საქმეს. სკოლები უნდა გვეკონდეს ცოტა და კარგად მოწყობილი.

სტიპენდიების უმრავლესობა იმედს არ ამართლებს, ამიტომ უმჯობესი იქნება და სასარგებლოც, რომ ის ფული, რომელიც სტიპენდიებზე იხარჯება, სკოლების გაუმჯობესობის საქმეს მოხმარდეს. ჩვენ აქ დავვისახელეს ერთი მიზეზი, რომლის გამო გამგეობას მასწავლებელთა კურსების მოწყობაზე უარი განუცხადებია: ქართულად კურსების გამართვის ნება არ მოგვცეს, რუსულად კი კურსების გამართვა სასურველად არ ვსცანიოთ“. ჩემის აზრით გამგეობას მხედველობაში უნდა მიეღო დღევანდელი პირობები და მოხსენებული კურსები მოეწყო რუსულ ენაზე მაინც, რაც ეჭვი არ უნდა ცოტაოდენს სარგებლომას მაინც მოუტანდა ჩვენს მასწავლებლებს, რომელნიც მიღებულ ცოდნაში ქართულად გაავრცელებდნენ ხალხში.

თუ ეს დაწესებულება გვიყვარს აუცილებლად უნდა მივადებინოთ ხალხს აქტიური მონაწილეობა ყველა ჩვენს საქმეებში, კარი გაუღოთ, შემოვიყვანოთ, ჩვენი მომავალი იმედი ახალგაზრდა საქართველოსი—ხალხი. ვიდრე ეს არ მოხდება, საზოგადოება ვერ დაახწევს თავს ამ მოჯადოვებულ წრეს.

ს. კეღია. ორატორები იმეორებენ იმას, რაც ნათქვამი იყო, უმჯობესია მოისპოს კამათი საზოგადოდ გამგეობის მოქმედების შესახებ და განხილულ იქნას ანგარიში მუხლობრივ.

თავმჯდომარე. ეს საკითხი უკვე გამორკვეულია და კრებას უფლება აქვს იმსჯელოს საერთოდ გამგეობის მოქმედების შესახებ.

გ. ცხცაძე. საჭიროდ არ მიმაჩნია ვაგიმეორო ის, რაც წინანდელმა ორატორებმა სთქვეს, აღენიშნავ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტიურ მხარეს გამგეობის დაუდევრობისას, გადაშალეთ ანგარიშის მე-70 გვერდი და თქვენ ნახავთ, გერგეთის სკოლა, რომელიც დაარსებულია 1910 წელს შეუფერებელ და ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაშია მოთავსებული. ასეთივე პირობებშია გომარეთის სკოლის შენობაც, ნავთლულის სკოლა ხომ ნამდვილ სარდაფშია მოთავსებული. მე მგონია გამგეობას შეეძლო ცოტაოდენი უნარი რომ გავოეჩინა, გაეუმჯობესებია ამ სკოლების საქმე, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მომხდარა.

სტიპენდიებს უნიშნავენ იმათ, ვინც რაიმეს დასწერს. ვინც იღებს სტიპენდიას, ის არ ჩნდება საზოგადო სარბიელზე...

სამსონ დადიანი. ჩვენი საზოგადოების მოქმედების უფერულობა იმით კი არ აიხსნება, რომ საწევრო გადასახადი არ არის შემცირებული, არამედ იმ ისტორიული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ერი. მიეცით მას ფართო თავისუფლება და მაშინ ფართო ადგილი ექნება იმ აქტივობას, რომელიც საჭიროა ხალხისთვის თავიანთ ეროვნულ-კულტურულ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. დღევანდელ პირობებში კი, ვისაც სიყვარული აქვს საზოგადო საქმის, მისთვის კარები ყოველთვის ღიაა, მობრძანდეს და იმუშაოს.

ინახი ამიწახი. ყოველ სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს და ამ კანონების ფარგლებში მოქმედობს. წ.-კ. საზოგადოებასაც თავისი წესდება აქვს და ამ წესდების მიხედვით მოქმედობს. სარევიზიო კომისიის მოხსენებაც ამ წესდების თანახმად შედგენილი. ამ წესდების ძალით სარევიზო კომისიას უფლება არა აქვს საგანგებო კრების მოწვევისა, თუნდა ამის საჭიროებაც იყოს, ყველა ის ბრალდებები, რომელიც გამგეობის შესახებ წარმოითქვა საფუძველს მოკლებულია. გამგეობა მოქმედებდა სამართლიანად, ისე, როგორც მას უკარნახებდა წესდება.

კ. მაღაღაშვილი. სკოლა რომ ხალხს ემსახუროს და მეტი ნაყოფი მოიტანოს, საჭიროა დაარსდეს სკოლებთან სამეურნეო განყოფილებები.

თავმჯდომარე: საკითხი გამორკვეულია. კამათს ვსპობ. თქვენი აზრი ოქმშია შეტანილი, ოქმი წაგეკითხებათ შემდეგ კრებაზე, რომელსაც ვნიშნავ ხვალ, საღამოს 7 საათზე, ვინც მოისურვებს ნათქვამის შესწორებას, შეუძლია დასწეროს და წარმოადგინოს.

ექიმი კაკაღაშვილი. ბ-ნო თავმჯდომარე! გთხოვთ კრება დანიშნოთ კვირას, რადგან მუშა ხალხს საქმე დღეს მოცალეა არა აქვს და სხოლოდ უქმე დღეს შეუძლიან კრებაზე მოსვლა.

კრების უმრავლესობა ემხრობა კიკალიშვილის აზრს. ამნაირად შემდეგი კრება დაინიშნა კვირას, 16 ნოემბერს, ახალი კლუბის დარბაზში, დილის 11 საათზე. კრება დაიხურა 4 საათსა და 20 წუთზე.

კრების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი.

კრების მდივანი ვარ. ბურჯანაძე.



# განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება  
აცხადებს, რომ წელს, ნ. ლობჯინაძის სახელობის თანხის სარ-  
გებელდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუ-  
კეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრა-  
ფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლო-  
ბჯინაძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე  
დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოადგენილ იქნას რუ-  
სულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტო-  
რიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი  
გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო  
ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე)  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართუ-  
ლი სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა)  
პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წირსული ცხოვრებისა ან რომლი-  
სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელიმე  
ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრუ-  
ლი, ისე რომელიმე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ)  
მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:  
ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლო-  
ბის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე  
ერთის ან რამდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავ-



ლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელიმე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თბზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკავებიდან, ხალხურ სიტყვიერებიდან, ცრუმორწმუნოებიდან, ზნეჩვეულებიდან, ფიზიკურ აგებულებიდან და სხვა და სხვა დარგებიდან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

**შენიშვნა:** საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თბზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თბზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 ჯლისა.

8. საკონკურსო თბზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე ადრე გამოცემული.



## ცნობები ქ. შ. წერბაკითხვის გამავრც. საზოგადოების მოქმედებისა

№ 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების კრებისადმი. გამგეობის მოხსენება საზოგადოების წევრთა კრებისადმი. ოქმი საზოგადო წევრთა კრებისა 1913 წლის 14 გიორგ., 17 გირგობ. განცხადება გრიგოლ დადიანისა და ნ. ლოლბერიძის საპრემიო თანხის შესახებ.

№ 2. საზოგადო წევრთა კრების ოქმი 1913 წლის 24 გიორგ. კომისიის წევრის ივანე ზურაბიშვილის მოხსენება ინსტრუქციის შესახებ. სია საზოგადოების წევრთა 1913 წელს გამოცემული წიგნების ანგარიში.

№ 3. ანგარიში სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა-გამოცემისა; ანგარიში განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მიერ ნაანდერძვე სახელმძღვანელო წიგნების გასავლისა. ბათუმის განყოფილების მოქმედების 1913 ანგარიში, სენაკის განყოფ. მოქმ. 1913 წ. ანგარიში. ბორჯომის განყოფ. 1913 წ. ანგარიში. ყვირილის განყოფ. 1913 წ. ანგარიში; განცხადება.

№ 4. სოხუმის განყოფილების მოქმედების მოკლე მიმოხილვა; ზუგდიდის განყოფილების 1913 წლის ანგარიში; განცხადება.

№ 5. ზუგდიდის განყოფილების ანგარიში, საზოგადო დახასიათება მაჩხაანის განყოფილების გამგეობისა მუშაობისა 1913 წ.

№ 6. ბაქოს განყოფ. 1913 წ. მოქმედების ანგარიში; განცხადება.

№ 7. 1914 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. მოხსენება სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურისა: სოხუმის, ბათუმის, საგურამოს, ბაქოს სკოლის შესახებ. განცხადება.

№ 8. მოხსენება გერგეთის სკოლის შესახებ; საგურამოს სკოლა; ნალჩიკის სკოლა; შრომის სკოლა; თელავის სკოლა; წინარეხის სკოლა. ხონის განყოფილების 1913 წლის ანგარიში.

№ 9. ხონის განყოფილების 1913 წლის მოქმედების ანგარიში. სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების კრებისადმი. გამგეობის განმარტება სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე. განცხადება.

№ 10. ოქმი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა 9 ნოემბერს 1914 წ.



ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

# „სახალი აზრი“

(წელიწადი მეორე)

გაზეთი სამხედრო ტენზურის ნებათვით გამოდის და ამიტომ უზრუნველყოფილია შეჩერება-დასურვისაგან.

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად თბილისში—4 აბაზი. თბილისს გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

## თითო ნომერი ერთი შაური

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზ-დობას კი 50 კაპეკათ.

რედაქცია იმყოფება: ორბელიანის ქუჩა № 36.

ფულის გამოსვლას მისამართი: Тифлисъ, Орбелянская ул. № 36.

Георгію Григорьевичу Бежівашвили.

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

# „სახალხო აზრი“

(წელიწადი პირველი)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებებისათვის: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებების ნომერი (კვირის) 7 კაპეკი. აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо Пурцели“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1915 годъ на газету

## „Закавказская Рѣчь“

Годъ изданія седьмой.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

• съ доставк. на домъ: Въ Тифлисъ Въ провинц.	
за годъ . . . . .	6 руб.—коп. 8 руб.—коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп. 2 р. 25 к.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 70 коп. — 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“ Дворцовая ул., домъ Д. З. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ кн. К. П. Гумановъ.

Издатель Э. А. Горделадзе.

საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

# თეგნი

(წელ. მეოთხე)

წლიურად 2 მან. 50 კაპ. ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის აღრესი:

Олгинская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი

გრ. დიასამიძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი შერვე)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორისთვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ უკვე ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „მრავალჟამიერ“ მუ-სიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალთათვის გუნდისათვის. **პესტალოცის, ჰერბერტ სპენსერის, რუსსოს და კომენსკის სურათებს**, რომელთა მაგიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისა“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვი-ლის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ **კიკნაძესთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთილში“, **სამტრედიაში** წ.კ. საზოგადოების კიოსკში **მ. კობალეიშვილთან**, ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას სმარობს ჟურნალის

თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

